

F-567
1996



პოლიქარბე ქაქაბაძე

100

ყვარყვარე თუთაბერი

ლ რ ვ ი ა ნ ე

თეატრი
და

3

1996

ცხელეუბა

თეატრი და ცხოვრება



საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ეთერ გუგუშვილი,
ნოდარ გურაბანიძე,
ვასილ კიკნაძე,
მანია კობახიძე,
ნათელა შრუშაძე,
როზარტ სტურუა,
ნინო შვანდირაძე,
თემურ ჩხეიძე,
თამაზ ზილაძე.

პასუხისმგებელი შიდივანი
მამუკა ბერძენიშვილი

3

1996

გაიხი-
ივნისი

შინაარსი

მანანა კაკაბაძე — „ყვარყვარე თუთაბერი“ და „ლო-
პიანე“ ერთად იბეჭდება . . . 3

პოლიკარპე კაკაბაძე

ყვარყვარე თუთაბერი (კომედია ოთხ
მოქმედებად) 5

ლოპიანე (კომედია ერთ მოქმედებად) . . . 61

მანანა კაკაბაძე

„უვარყვარე თუთაბერი“ და „ლოკიანი“ ერთად იბეჭდება


წამის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა პოლიკარპე კაკაბაძის უკუდავ ქმნილებათა გამოცემები. „უვარყვარე თუთაბერს“ მოწადინებული მკითხველი დღეს ამაოდ ეძებს წიგნის მაღაზიების თაროებზე. იგი დიდი ხანია არ გამოცემულა. 1971—1972 წლებში გამოვიდა მისი „დრამატული პოეზია“, ორტომეული, რომელიც ხელისმომწერთაც კი არ ეყოთ, ოცდაათი ათასის ნაცვლად (გამომცემლობამ მხოლოდ ათი ათასი ცალი დასტამბა, რაც ოდნავადაც კი არ აკმაყოფილებდა საზოგადოების მოთხოვნებს. ამის შემდეგ მხოლოდ ერთხელ, ისიც რუსულ ენაზე, გამოვიდა მწერლის ერთტომეული, 1986 წელს. ამ გამოცემას ავტორი მთელი ოცი წელი ელოდა და ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ ვერ მოესწრო.

უკვე კარგა ხანია „უვარყვარე თუთაბერს“ ქსეროს აპარატზე იღებენ ასლებად და ისე კითხულობენ ჩვენი მოქალაქენი.

მათ სურთ წიგნად გამოცემული „უვარყვარე თუთაბერი“. მათ ენატრებათ და უნდათ იგი, როგორც სულიერი საზრდო, სადაც ჰპოვებენ პასუხებს თავიანთ ტკივილებზე, კითხვებზე, დღევანდელობა რომ ბადებს. სოფლის ბრუნვისაგან, ამაო ზრუნვისაგან დაღლილ ადამიანებს ენატრებათ ეს წიგნი, მათ სულელებს რომ განწმენდს და დააფიქრებს წარმავლობის და მარადიულობის პრობლემებზე.

პოლიკარპე კაკაბაძის კომედიური ჟანრის პირველი ნაწარმოებია „უვარყვარე თუთაბერი“. მანამდე იგი ცნობილი იყო როგორც უაღრესად პოეტური, მეტად შთაბეჭედავი, დიდებული დრამების ავტორი, მოღვაწე, ჟურნალების „შვიდი მნათობის“ და „მნათობის“ დამაარსებელი.

„უვარყვარე თუთაბერით“ დაიბადა პოლიკარპე კაკაბაძე როგორც დიდი კომედიოგრაფი, მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედი, გენიალური მწერალი. მისი



სული აქ ეწიარა იმ დიდ, ღვთაებრივ
საიდუმლოს, რომელიც მხოლოდ გენი-
ოსთათვის იხსნება და რომელიც მარა-
დიული ნათლის განუყოფელი ნაწილია.

დღეს აღარ არის სიხალე თქმა იმ
რომ ყვარყვარე თუთაბერი თამამად უმ-
შვენებს მხარს სერვანტისის დონ-კიხოტს,
მოლიერისა და შექსპირის სწორუბოვარ
გმირებს.

პოლიკარპე კაკაბაძეს სიცოცხლეშივე
უწოდებდნენ კლასიკოსს. მაშინ ამ ტი-
რმინს ადვილად არ იყენებდნენ. მეოცე
საუკუნის ცოცხალ მწერალთაგან საქა-
რთველოში მას არავისთვის იმეტებდ-
ნენ. პოლიკარპე კაკაბაძეს „ცოცხალ
კლასიკოსს“ უწოდებდნენ, მიუხედავად
იმისა, რომ იგი განიცდიდა მუდმივ დე-
ვნასა და შევიწროვებას სრულიად გასა-
გები მიზეზების გამო.

მან, როგორც პიროვნებამ, გაიარა ვი-
წრო და ეკლიანი გზა, რომლითაც შე-
დიან მართალთა საუფლოში.

როგორც შემოქმედმა, ატარა ეკლის
და დაფნის გვირგვინი ერთად.

დღეს ყურნალის ფურცლებზე ქვეყნ-
დება მისი ორი უდიდესი ნაწარმოები,
საქვეყნოდ ცნობილი „ყვარყვარე თუთა-
ბერი“ და ყველასათვის უცნობი „ლო-
პიანე“.

თუკი „ყვარყვარე თუთაბერი“ არის
პოლიკარპე კაკაბაძის პირველი კომედია,
„ლოპიანე“ „ცხოვრების ჭარასთან“ ერ-
თად, მწერლის ბოლო კომედიური უან-

რის ქმნილებებია.

„ცხოვრების ჭარა“ „ლოპიანეს“ გაგ-
რძელდება, მისი მეორე ნაწილია. „ცხო-
ვრების ჭარა“ რამდენიმეჯერ დაიბეჭდა
და დაიდგა, ხოლო „ლოპიანე“ ქვეყნ-
დება პირველად, იგი არასოდეს დადგ-
მულა და დაბეჭდილია.

„ლოპიანეს“ გამოქვეყნება შეუძლებე-
ლი გასლდათ, იმდენად მკვეთრად და
პირდაპირ იყო გამოხატული არსებული
სინამდვილის კრიტიკა.

„ლოპიანე“ დაიწერა 1958 წელს. იგი
ერთმოქმედებიანი კომედიაა. მისი მეო-
რე ნაწილი, „ცხოვრების ჭარა“ ავტორ-
მა 1964 წელს დაასრულა და მაშინვე
გამოაქვეყნა.

პოლიკარპე კაკაბაძე თავის სიცოცხ-
ლეში „ლოპიანეს“ გამოქვეყნებას ვერ
მოესწრო. მაგრამ სულ ოცნებობდა მის
დადგმასა და დაბეჭდვაზე.

დღეს ასეთი დროც დადგა. „ლოპიანე“
გაცოცხლდა წიგნის ფურცლებიდან,
იგი აღარ არის დამარხული მწერლის
არქივში, ლოპიანეს შეუძლია იაროს
ქვეყნად თავისი სიცოცხლით, რომელსაც
ვერასდროს ვერაფერი დააზრობს. იგი
იცოცხლებს როგორც ყვარყვარე, რო-
გორც პოლიკარპე კაკაბაძის სხვა უკვ-
დავი გმირები და მოუტანს ადამიანებს
შვებას და სიხარულს. ხოლო მისი ახა-
ლი სიცოცხლე ოდესმე სცენიდანაც მო-
ვა უცილობლად.

ყვარყვარე თუთაბერი

კომედია ოთხ მოქმედებად

მოქმედი პირები

ყვარყვარე თუთაბერი, მეტსახელად ნაცარქექია.

ქაქუტა | გლეხები.

ქუჩარა

მეწისქვილე.

გულთამზე, მეწისქვილის ასული.

სევასტი, რევოლუციონერი.

ლირსა, ქაქუტას ცოლი.

1-ლი ოფიცერი.

მე-2 ოფიცერი.

ადიუტანტი, არმიის შტაბის საიდუმლო მაგიდის გამგე.

მწერალი, მისი თანამშრომელი.

გენერალი.

პოლკოვნიკი.

სამხედრო გამომძიებელი, პოდპოლკოვნიკი.

ჯარისკაცი, შიკრიკი.

რწმუნებული, დროებითი მთავრობისა ამიერკავკასიაში.

მდივანი.

შიკრიკი.

ტიტე ნატუტარი, მაზრის კომისარი.

რევკომის თავმჯდომარე.

ქალი.

გლეხები, აბრაგები, რაზმელები, ტუსაღები და წითელარმიელები.

მოქმედა პირველი

რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ხაზთან სოფლის წისქვილი. შუა ცეცხლთან

ზის ყვარყვარე თუთაბერი, მეტსახელად ნაცარქექია, და ქექავს ნაცარს. მეწის-

ქვილე ფქვილს მინდავს და ჩუმად ღიღინებს.

ყვარყვარე — კმარა, მუდამ ხომ არ უნდა იღიღინო?!

მეწისქვილე — შენ რას გოწლი?!

ყვარყვარე — (თავაულებლად) ფიქრს ნუ მაწყვეტინებ.

(დუმილია).

მეწისქვილე — (ხელის მოსათბობად დაიხრება კერასთან და აკვირდება ნაცარს) ეს რა მოგიქარგავს ნაცარში?!

ყვარყვარე — გეგმაა, ხომ გესმის, ბებერო. დახედე აქ, რა ამბავია... ეს არის რკინიგზა, აი, აქ იწყება, ასე მიდის... ა... ასე უხვევს და მიადგება ამ მთალ მთას, ახლა აქედან გზა სად წავა, შე ძველო, აბა, თუ მი...

მეწისქვილე — (აკვირდება) რა ვიცი!

ყვარყვარე — აქ გვირაბი საჭირო.

მეწისქვილე — გვირაბი რა საჭიროა?

ყვარყვარე — მაშ, ხომ არ გადაახტება მატარებელი ამოდენა მთას?

მეწისქვილე — მერე, შეი კაცო, მთას რად უხვებდრებ წინ, ველზე გაუშვი, შენი ნება არაა?!

ყვარყვარე — მოდი და ასეთ კაცს ელაპარაკე! გესმის, რა არის გეგმა? არ გესმის.

მეწისქვილე — რა ვიცი!

ყვარყვარე — მთავრობას ამ მთის გარშემო გაჰყავს გზა და იმ უხვირო ინჟინრებს ფიქრად არ მოსვლიათ, რომ გვირაბი აქ გზას შეამოკლებს. (ამაყად.) აი, მე რომ ჩემს გეგმას უფროსს წარვუდგენ და მერე ლარივით რომ გავიყვან მთაში იმოდენა გვირაბს, შენ ის უნდა ნახო.

მეწისქვილე — ნელა ილაპარაკე.

ყვარყვარე — რატომ?

მეწისქვილე — მანამდე ბაყაყს კბილები ამოუვა.

ყვარყვარე — დიდი მოიჯარადრე. შევიქნები, დიდისაგან დიდი. კი ნახავ, ქრთამს სულ ქერივით დავაბნევ დიდკაცობაში. თვალი დავიბრმაკდება, რომ გაგივლი და არ შეგხედავ.

მეწისქვილე — (წყენით) ჰმ!

ყვარყვარე — გეწყინა? მაშ, როგორ გგონია, მე, ყვარყვარე თუთაბერს, რინთ შენ შემომიარ?

მეწისქვილე — რა ვიცი, პატარა ხიდის გაკეთება აიღე იჯარით და ისეთი ბუჭი დააყენე, თითქოს მთა და ბარი გქონდა გასასწორებელი და ის ხიდი მაინც ვერ გააკეთე.

ყვარყვარე — კი გავაკეთებდი, მარა დამეზარა ის ოხერი, ტვინი წაიღო იმისმა ანგარიშებმა, თავი მომძულა!

მეწისქვილე — ჰოდა, აი, აგერ შენი პირით გამოტყდი.

ყვარყვარე — შე უტვინო, ამას თავს ვერ გავართმევ?! დახედე?!

მეწისქვილე — (ღიმილით) ნაცარში გვარიანად ქარგავ.

ყვარყვარე — ვითომ იცინი, არა? დამალე მაგ ჩაქონქილი კბილები, თორემ!..

მეწისქვილე — (წყენით) ჰმ! (მიდის და ფქვილში ხელს ურევს გულმოსული). ასე რომ იწელები, ამ წისქვილის პატრონი მე ვარ, თუ შენა ხარ?!

ყვარყვარე — (არ უპასუხებს. განაგრძობს ნაცრის ქექვას. წისქვილი იწყებს ხრიალს)

მეწისქვილე — ეჰ, საფქვავე შემომელია. (ყვარყვარეს.) შენთან ლიტინს მიჩვევია წყალი გადავუშვა და წისქვილი შევასვენო. (მიდის.)

ყვარყვარე — ეე, ცეცხლი იფშუტება. სადაა შენა?! ჯირკს

მინც მოვაგორებ კერასთან. (დაეჭიდება ჯირკს და ვერ დაძრავს.)
მძიმეა. რა ზარმაცი მოსუცია, სულ იმას უყურებს, რომ მე და
შეშა და შემოვუტანო. მანამ ნუ გაითბობს გვერდებს, სანამ მე მას
შეშა არ დავუჩუხო! (შემოდის მეწისქვილე. კანკალებს, კერასთან
თბება.)

მეწისქვილე — თათრების მხარეზე რომ გავიხედე, გული
გადამიტრიალდა.

ყვარყვარე — რა მოხდა?

მეწისქვილე — თოფის სროლა აქეთ მოიწვივს. ეტყობა,
საქმე ცუდათაა.

ყვარყვარე — მაშ, შენი სიტყვით, დღეს აქ თათრები შე-
მოცივიან და დაგვკლავენ?!

მეწისქვილე — თუ ჯარმა უკან დაიხია, ვინ იცის.

ყვარყვარე — (აღშფოთებული) ჩერჩეტობ!

მეწისქვილე — განა ცოტა სასწაული მომხდარა?! (იხვევს
წელზე ძველ შალს.) ამისთანა დროს წელში ქარი გამიდგა და ვერც
გავიქცევი.

ყვარყვარე — რას ამბობ?! ტყუილა გული არ დამიშინო,
თორემ... ამ წისქვილს სულ რაირიად წავიღებ!

მეწისქვილე — მოერევი?

ყვარყვარე — რას ვერა, გინდა ახლავე შიგ გამოგქეშყო?

მეწისქვილე — ეს რა გადავიციდე. მე ისე ვატყობ, აქე-
დან გადენსაც მიპირებ.

ყვარყვარე — (მოლბება) არა, რატომ!.. (სიცვიისაგან შე-
აურყოლებს.) სად უნდა გავაგდო ახლა ამისთანა ამინდში.

მეწისქვილე — როგორ, ვინ უნდა გავიდეს აქედან, მე
თუ შენ?! ვისია ეს წისქვილი?!

ყვარყვარე — კარგი, გქონდეს.

მეწისქვილე — როგორ, შენი ნაჩუქარია?

ყვარყვარე — ახლა ეს ზამთარიც ილევა და რომ გამო-
ზაფხულდება, მერე მე ვიცი შენი სამაგიერო პატივისცემა. ისეთ
განიერ მუხის ჩრდილს გიშოვი, რომ მეფესავით წამოწვე. (ამთქნა-
რებს.) ზაფხულში ჩრდილს რა ჯობია, თქ, რა მადლაზე მოხვალ! მა-
შინ ნახე ჩემი მასპინძლობა, ჩიტის რძე რაა, იმას არ მოგაკლებ.

მეწისქვილე — (დაფიქრდება.) რა ვიცი, ახლა შენ არ იყა-
ვი... ისე ავარდი, რომ...

ყვარყვარე — რა ვუყოთ, კაცი ხან ავარდები, ხან დავარ-
დები... და... ბოლოს... ექ, ადამიანის ბოლო უბედურია, სიკვდილი
რომ გამახსენდება, სულ ჭინჭარივით გამბურძღლავს ტანში. ერთი
ეს ვითხარი, რაა კაცის სიცოცხლე?!

მეწისქვილე — არაფერი არაა, ჭირის დღეზეა კაცი გა-
ჩენილი.

ყვარყვარე — ჰოდა, აბა, სიამტკბილად მოგუქციოთ ერ-
თმანეთს ღრანჭი. მეტი რაა ქართველი კაცის სიცოცხლე.

მეწიქვილეთ — ამას ვარ ამბობ უკაცოდ. (ხელს უფრთხობს კერას.) ოჰ, ცეცხლიც გვეფშუტება.

ყვარყვარე — მაშ, ერთი, შენს გახარებას, წადი და შემა შემოიტანე.

მეწიქვილე — ხომ იცი, წელი რომ მტყვივა, შენ მოიტანე.

ყვარყვარე — ნელა ილაპარაკე. მე ყინვაში გავალ?! აქედან ახლა თოფითაც გერ ამბავდებ. ხომ ხედავ, არ მცალია.

მეწიქვილე — რას აკეთებ? შეშის დაჩეხა გიჭირს და გითომ მთების გათხრაზე ფიქრობ?

ყვარყვარე — სად შეშის დაჩეხა, შე უტყინო, და სად მთების გათხრა, რას შელაპარაკები?! მე ხიდის იჯარასაც იმიტომ გავუშვი ხელი, რომ პატარა საქმე ჭირივით მეზარება! (აღშფოთებული.) და ახლა შენ ისე ამიგდე, რომ შეშის მჩეხველად მხდი?!
მეწიქვილე — ეს რა გადავიკიდე. სამი ნაცოლვევი კაცი ვარ და ამისთანა გაჭირვება არ დამდგომია. ქუჩიდან კაცი შემოვიხიზნე, ვიფიქრე, კედელყურეს გამიცოცხლებს-მეთქი, ეს კი სულ მომხდურივით არის. (აღშფოთებული.) მორჩა და გათავდა, შენი შემხიზნელი აღარა ვარ!

ყვარყვარე — კტუაზე მოდი, ეს კერა არ გამიცვივო, თორემ... (მუშტს მოუღერებს.)

მეწიქვილე — რას მემუქრები?

ყვარყვარე — სულს ამოგაცილო, თუთაბერი ვარ, სულ-ძალლი!

მეწიქვილე — ბიჭო, ხელი დასწიე!

ყვარყვარე — ყვარყვარე ვარ, ყვარყვარე! ძველებური ვაჟკაცის სახელი მქვია. ასე გავადენ ბღღვირს აქაურობას! (ნაცარს ურტყამს ჯოხს.)

მეწიქვილე — (აღშფოთებული) ეს რა ბული დამიყენე! (მიდის კარისაკენ.) ჩემს წისქვილში მე არ მეცხოვრება. (გააღებს კარს და კარიდან აწვდის ხმას.) მართალი მითხრა გულთამაზემ, ვინმე მაწანწალა არ შეიხიზნო წისქვილშიო. ნამდვილად გულთმისანია ის ჩემი გოგო. დღეს უნდა მოვიდეს და ვეტყვი, რაც შენგან შავ დღეში ვარ.

ყვარყვარე — რაო, დღეს მოვა შენი ქალიშვილი? (მდეღვარედ.) მეჩე, მაგ კარში, კაცო, რად ცივდები? შემოდი, არ გრცხვენია, ავად რომ გახდე?!

მეწიქვილე — არა, უნდა წავიდე. გაიგოს, რა ცეცხლში ვარ.

ყვარყვარე — (თავისთვის) ოჰ, რა ბებერი ძალლია! (მივა კართან და ეძახის.) მასპინძელო, მოდი, იმ წმიდა კვირიკეს ხატს გაფიცებ, გუშინ რომ ამბობდი, სასწაულომოქმედიარო...

მეწიქვილე — (ყოყმანით მობრუნდება) ჩვენი შერიგება, რაც უნდა ხატზე დამაფიცო, არ მოხერხდება.

ყვარყვარე — შენ პირდაპირ ნაწილებად დასარიგებელი

კაცი ხარ... ჩამოჯექი ერთი, იმ ქალის ამბავი მომიყვები.

მეწისქვილე — აბა, უპატრონო გგონივარ?!

ყვარყვარე — დღეს უნდა მოვიდეს?

მეწისქვილე — როცა ბარზე მუშაობამ გამტეხა, იჯარით ეს დოლაბი ამაღებინა.

ყვარყვარე — მან გაშოვია ეს წისქვილი?

მეწისქვილე — ჭკუიანი ქალია ჩემი გულთამზე, სახიერიც კარგი დადგა. მოწყალე დეზში იმისთანა მეორე გერ მოგართვეს.

ყვარყვარე — ეს სიტყვები შენი ენიდან პირდაპირ თაფლივით მეწვეთება გულში.

მეწისქვილე — ყველა მადლიერი ჰყავს სიკეთისათვის.

ყვარყვარე — ალბათ, სახეც ნახატევით ექნება, ა?

მეწისქვილე — არ ვიცი, შენ და ის როგორ მორიდდებით. მე ერთხელაც შენი ამბავი რომ მოვუყევი, ასე მითხრა: წისქვილიდან გააგდეთ, იქ რომ მოვალ, არ დამხვდესო.

ყვარყვარე — არ დამხვდესო? (გაანჩხლდება.) ის შენი გულთამზე, როგორც ვატყობ, ხრონჩებიანია, ცხვირი იმას წეროსავით ექნება.

მეწისქვილე — ბოლოს კი, ღვთის წინაშე, როდესაც ავუხსენი, არსად ბინა არა აქვს-მეთქი, კვლევ შეებრალე, იყოსო.

ყვარყვარე — შევებრალე? იცის კაცის შეებრალება?!

მეწისქვილე — მამ, რა ექნება? როცა ქალი ომში და ტყვიაში მიდის დაჭრილების მოსაველეად, ალბათ, გულმოწყალეა.

ყვარყვარე — (სასოებით) ძალიან გულმოწყალეა! იმ ღამაზ სახეზე კბილები მარგალიტევით ექნება ჩაჩხრიალებული. (შემოდინ კაკუტა და ქუჩარა — სანგრის მთხრელი მუშები.)

ქუჩარა — ბიჭო, კაკუტა! აქ რა სიტბოა, ა? ხომ ხელდავ, ჩვენი ნაცარქექია სულ კარგ ყოფაშია!

კაკუტა — (მოიკუტება) ეგება აქ, ჩემო ქუჩარა, სადმე პურის ნატეხი ვიშოვოთ სულის ჩასაბრუნებლად.

მეწისქვილე — რა ქარმა გადმოგავდოთ, გამარჯობა მაინც გვითხარით!

კაკუტა — თაგიც რომ დაგვაიწყდა?!

ყვარყვარე — რა დაგემართათ, თქვე გლახაკებო? სულ ასე უნდა იწაწალოთ, უთათურებო? თქვენი კაცად გახდომა ვერასოდეს რომ გერ მოვანებრხე! აფსუსს, თქვენ ჩემი მეზობლები იყოთ, სწორედ მერცხვინება.

ქუჩარა — იმ შეჩვენებულმა მოიჯარადრემ ჯარისთვის სანგრები გვათხრევინა, ასე თქვა, ფულს აიღებთო... და სოფელში სახლს დაიდგამთო... მაგრამ თათრის ყუმბარები სულ ხეს და მიწას რომ გლეჯენ, სამუშაოზე რა გაგაჩერებს?!

კაკუტა — ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია და მე და ქუჩარამ ნიბები მივაყვდეთ თხრილში და რომ ვიბრუნეთ პირი, სულ დათვებით მოვძუნძულდებით. რას იჩხამთ, კაცნი ვართ.



ქუჩარა — ყურებთან რო ტყვიები აზუზუნდა, გიფიქრე...
ცარქეკიამ...

ყვარყვარე (გაწყვიტინებს) ვინ არის ნაცარქეკია? მაგ სახელის შემრქმევი თუ მოვიგდე ხელში!..

ქუჩარა — არა, ყვარყვარე თუთაბერმა-მეთქი. ჰო, ასე გიფიქრე, ჭკუა მოიხმარა და იჯარაზე ხელი აიღო-მეთქი. (შარვალზე ანახებს ღიმილით). აგერ ტყვიამ ხორციც გამიწვა, (თითის თავს აზომებს.) ამოდენაა ის თხერი და სულს კი ამოგაცლის.

ყვარყვარე — მე ჭკუით ვცხოვრობ.

კაკუტა — ისეთ უბედურ საშუშაოზე მიგვაყენა მოიჯარადრემ, რომ მე და ქუჩარას ხელისგული აბედივით გაგვიხდა, ფული კი სადაა!.. რამდენია ჩვენი ფული, ქუჩარა, საგზლად გვეყოფა?

ქუჩარა — ერთი კიდეც დავთვალათ. (კაკუტა და ქუჩარა გაყურდებიან და ფულს ითვლიან.)

კაკუტა — კიდეც დავითვალათ.

ქუჩარა — თუ გინდა, დავითვალათ, მაგრამ... (შეჩერდება.) ეს არის რა... ათასჯერ რომ დავთვალათ, ეს არის. კიდეც კარგი, ბედი გვეწია, თორემ... ეს რომ არ გვეშოვა... (მიუთითებს შეხვეულზე.)

კაკუტა — ჰო, ეს რომ არ გვეშოვა, ჩვენზე უცოდვესი ძალი არ იქნებოდა.

ქუჩარა — მაინც გაჭრა ჩვენმა იღბალმა.

კაკუტა — გაჭრა, პირდაპირ გაჭრა.

ყვარყვარე — რა იშოვეთ?

ქუჩარა (კაკუტას) ნუ ეტყვი, დამალე. (კაკუტა მალავს შეხვეულს. ყვარყვარეს.) არაფერია, აგერ, სალაც, ერთ მკვლარს წააწყდით.

ყვარყვარე — მკვლარს წააწყდით? მკვდრები კიდეც მკვლარს წააწყდით?!

ქუჩარა — საქმეც ეს არის, მკვლარი იყო და ამიტომ გავძარცვეთ, თორემ, ცოცხალი რას გაგატანს. (კაკუტას.) არ ანახო, მოიტა, მე დავიჭირ (გამოართმევს შეხვეულს.)

მეწისქვილე — ეჰ, მკვლარი გაძარცვეთ? ღმერთო, შენ შემეწიე! როგორ გაფუჭდა ხალხი, მართო ამის გაგონება წაწყმედს ქრისტიან კაცს.

კაკუტა — ჩვენი რჯულის არ იყო და...

ქუჩარა (კაკუტას) ო, არ წამოგცდეს. (კაკუტა დაღუმდება.) თათარი გაძარცვეთ.

ყვარყვარე — მკვლარი თათარი სად ნახეთ, თქვე ბრძებო?!

ქუჩარა — იმ სანგრებოდან რომ გამოვიქცეით, აურზაურში მხარი გვეცვალა და სხვა ხევში შეესულვართ. მერე, ვხედავთ, აგერ, ჩვენ წინ, თათარი გაშოტილა, ერთ გულზე კიდეც შევშინდით, მაგრამ ვხედავთ, მკვლარია და ძვირფასად აცვია... მერე კაკუტამ ვერ მოითმინა და...

კაკუტა — ქუჩარამაც ვერ მოითმინა.

ქუჩარა — ცოცხალი კაცის მოკვლისათვის ჯვარს აძლევენ,
და ჩვენ...

მეწისქვილე — წაწყდებით, თქვე წაწყდებით.

ყვარყვარე — მანახეთ ერთი, რა ავიღლებით.

ქუჩარა — (გაშლის თურქულ ძვირფას სამოსელს) ო, რა
თვალსანახავია!

კაკუტა — ო, რა ჩასირმულია!

ქუჩარა — ხომ ფასად გაიყიდება?

ყვარყვარე — (სინჯავს ხელში) გისაც ვაჭრობის შნო აქვს,
კი გაყიდის. ამას მე გავეყიდი. (მხარზე გადაიდებს.) თქვენ ხომ მაინც
ტყუილად დაკარგავთ.

ქუჩარა — (ხელს სტაცებს სამოსელს) ხელი გაუშვი!

ყვარყვარე — (არ უშვებს ხელს) დამანებეთ, თორემ, თუ
სისხლი ამიგარდა თავში, ხომ იცით, რას გიზამთ!

ქუჩარა და კაკუტა (ხელს გაუშვებენ) შენით მოგვეცი,
ჩქარა მოგვეცი!

ქუჩარა — სულ ერთია, არ მოგეშვებით.

ყვარყვარე — (მუქარით) ჩვენს სოფელში, ერთხელ ხე-
ლით რომ ხე მოვთხარე, არ გახსოვთ?!

ქუჩარა — არ ვიცი.

ყვარყვარე — გზაში რომ დიდი ლოდი მოვხეთქე და მთი-
დან გრიალ-გრიალით დავაგორე, ის ხომ თქვენი თვალით ნახეთ!

კაკუტა — როდის ვნახეთ?

ქუჩარა — (ყვარყვარეს) ამ ნასისხლარს თუ მოგვეცემ, ყვე-
ლას ისე ვეტყვი, რომ მართალია-თქვა.

კაკუტა — სულ ბატონო ყვარყვარეს დაგიძახებთ, სხვამ რომ
გაგინოს, ჩვენ არ გვერევი.

მეწისქვილე — დაუბრუნე, კაცო, მათი ნაცოდვილევი,
მთელ ქვეყანაში გაგლანძლავენ, რად გინდა?

ყვარყვარე — (დაშოშმინდება) მე, რასაკვირველია, ფულს
სახელი მიჩვენია.

კაკუტა — (ქუჩარას) დაშოშმინდა.

ყვარყვარე — გული არ მომწყვანით, იცოდეთ, არ გამაბ-
რაზოთ... თორემ, ფეხებში რომ მოგკიდებთ ხელს, თავებით მიგა-
წყვეტთ ამ წისქვილის ქვაზე.

ქუჩარა — ცხრა მთას იქით მეზობელს შეგეყარეთ და აქ
გაწყენინებთ?

ყვარყვარე — მე იმნაირი ხასიათის ვარ, ხანდახან კაცი
თუ არ მოვკალი, ავად ვხდები.

ქუჩარა — კი... ასეა...

კაკუტა — ახლა, მოგვეცი ბარემ.

ყვარყვარე — მაშ, თუ გინდათ ეს მიიღოთ, შეშა დამი-
ჩებეთ.

კაკუტა — დაჩვენოთ.



ყვარყვარე — აი, იქ, შემოსავალში რომ ბოძია, დაქუჩაში და შემოიტანეთ. ამ საწყალი მოხუცის ხათრით გეუბნებით.

ქუჩარა — იმოდენა ძელი? (კაკუტას) დავაპოთ.

კაკუტა — სულ მარილივით დავფშენით... (აპირებენ წასვლას.)

ყვარყვარე — დაიცათ, ჯერ ეს ჯირკი მოაგორეთ ამ კერიასთან.

კაკუტა — (უცბად აიღებს და დააგდებს დიდ ჯირკს კერიასთან) კიდევ ათი რო იყოს, რა არის...

ქუჩარა — ახლა — იქ. (აპირებენ წასვლას.)

ყვარყვარე — ეს რა გიქნიათ! (ჯირკზე უთითებს კაკუტას.)

შევირო, ა, დასალუპავად დავასაქმეთ?

კაკუტა — (დაბნეულად უყურებს ჯირკს) ის ვქენი, რომ მიტხარი.

ყვარყვარე — (ანჩხლად) რა გიქნია, მკვდარო, ა? შეიძლება ჯირკის ასე შემოდება კერიასზე?

კაკუტა — შევადრუნო? (ასწორებს ჯირკს.) ასე?

ყვარყვარე — ახლა — გარეთ! (კაკუტა და ქუჩარა ხელებს წაიკაპიწებენ და მიდიან.) მაგათ ჰგონიათ, ერთი ბოძის დაჩხისათვის დაეუბრუნებ ამ ტანისამოსს.

მეწისქვილე — როგორ, კიდევ პირს უტეხ?

ყვარყვარე — სულ ვამუშავებ და მომეშვებიან, აბა, რას იზამენ.

მეწისქვილე — (წყენით) იმი!..

ყვარყვარე — თვალი სულ კარისაკენ მაქვს, რად არ გამოჩნდა, აღარ მოდის?

მეწისქვილე — ვინ?

ყვარყვარე — შენი სანაქებო ქალი, ის... გულმოწყალე.

მეწისქვილე — გულთამზე?

ყვარყვარე — (კმაყოფილად) ეჰ, რა დაგირქმევია, ქალისათვის, პირველი საქმე სახელია.

მეწისქვილე — ცუდად დამირქმევია, რას იტყვი?

ყვარყვარე — თამარ მეფეს ეკადრება, ისეთი სახელია.

(დუმლია. ქეჩავს ნაცარს.)

მეწისქვილე — რომ თქვას კაცმა, კარგი მუშებია ეს კაკუტა და ქუჩარა, ხომ გესმის, როგორ მარჯვედ ქრიან.

ყვარყვარე — (ქეჩავს ნაცარს, თავს არ იღებს) დამაცადე.

მეწისქვილე — (დუმლის შემდეგ) სწორედ საქები მუშებია, ოღონდ ბევრს თუ არ ანაფოტებენ იმ ნაჯახით.

ყვარყვარე — (თავს არ იღებს) ნუ მიწლი!

მეწისქვილე — რას უნდა გიწლიდე... (აკვირდება ნაცარში.) ეს რა მოგიქარავს?!

ყვარყვარე — (დუმლის შემდეგ) სასახლე, გალავანი, ბაღები... ვერ ხედავ?! აი, აქ, შეხედე, აქ სულ ჩიბებია.

მეწისქვილე — სად?

ყვარყვარე — ეს არის მარმარილოს კიბე. აქედან შეიძლება დანდობა შენი ქალიშვილი. აქ ამ განიერ დარბაზში, გვრიტივით მოგომანდება და აქ ნესვივით გაგორდება.

მეწისქვილე — სად, ამ ნაცარში?

ყვარყვარე — ნაცარი კი არა, ეს ჩემი სასახლეა.

მეწისქვილე — ეს?

ყვარყვარე — რომ ვერ გვაგებინე ამ კაცს, რა არის გეგმა?! იცი, რა არის გეგმა?

მეწისქვილე — მე რაც გლფხკაცს შეეფფერება, ვიცი.

ყვარყვარე — იცი, რა არის კაპიტალისტი?

მეწისქვილე — რა უნდა იყოს, ვთქვათ...

ყვარყვარე — კაპიტალისტი — ფულია. იცი, რა არის სოციალისტი?

მეწისქვილე — ჰო...

ყვარყვარე — ბებერო, შენ აწი ხომ მალი დაგელევა სოცოცხლე, აბა რა, წელსაც ვერ აბრუნებ.

მეწისქვილე — ეს ასეა რას იზამ?!

ყვარყვარე — სოციალისტი ამბობს, რომ საიქიოს ვერ ნახავო.

მეწისქვილე — რატომ ვერ ვნახავ?

ყვარყვარე — რატომ?! შენ იცი, ღმერთი რომ არ არის, ა?

მეწისქვილე — (აღშფოთებული) იმე! (თოფის ხმა.)

ყვარყვარე — (შემკრთალი) რა ამბავია?

მეწისქვილე — რისხვა არ იყოს, პირვეარი მანც დაიწერე, შე წაწყმედილო! (კაკუტა და ქუჩარა კარებში შემოყოფენ თავს.)

კაკუტა და ქუჩარა — (ერთად) გესმით?

მეწისქვილე — (უცხად წამოდგება) რა ამბავია, ბიჭებო?

ქუჩარა — ვითომ თათრის ჯარი შემოიჭრა, ისეთი ბრძოლაა.

კაკუტა — აგერ ქალი და კაცი მორბის.

მეწისქვილე — სწორედ უბედურებაა.

კაკუტა — ხედავთ, ქალი და კაცი აქეთ რომ მოძუნძუნებენ?!

ქუჩარა — (კაკუტას) ჩვენც მოუსვათ, რაღას ვუცდით?

მეწისქვილე — (კართან) თავს უშველეთ! (მეწისქვილე, კაკუტა და ქუჩარა გარბიან.)

ყვარყვარე — (აპირებს გაქცევას. ჩაიკეცება და წამოდგება, მიიბრუნს კარებთან) გარეთ ტყვია რომ მომხედეს?! (შიშით დააყურებს.) ფეხის ხმა მესმის (უცხად დააკვირდება მხარზე გადაკიდებულ თურქულ სამოსელს და ხელს ჩაავლებს.) ჰა, ეს ხომ მიშველის ახლა! (იცვამს ტანისამოსს და თან უკან იხევს.) ახლა თათარი თათარს ხომ არ მოკლავს... მათი ენა რომ არ ვიცი?! აა, მუნჯი ვარ, ვითომ მუნჯი ვარ... მუნჯური ხომ ყველა ენაზე ერთნაირია! (მოისმის ფეხის ხმა.) მოდიან, მოდიან... და, ახლა რომ არ მომკლან, სწორედ ძაღლის იბაღია საჭირო!.. (ყვარყვარე იმალება. წისქვი-



ლში შემოდინ გულთამზე და სევასტი.)

სევასტი — (უჭვრეტს კარში) ჩაიარეს, სხვა კვამლია ტყუა!

გულთამზე — დაჭრილი არა ხარ?

სევასტი — არა.

გულთამზე — პროკლამაციები ცეცხლში ჩაყარე, აგერ ცეცხლი.

სევასტი — არ დამრჩა.

გულთამზე — (მიმოიხედავს) ნეტა სად გაქრა მამაჩემი, რა მოუვიდა? (ჩამოიღებს კედლიდან მეწისქვილის ტანისამოსს.) აი, გადასაცმელი.

სევასტი — (ათვალიერებს და იცვამს) ისეთია, ჩემს გაჭირვებას რომ მოუხდება?

გულთამზე — ბედს ვუმაღლოდეთ, თუ გადავურჩით... სამხედრო ფორმის მითვისება და ჯარში პროზაგანდა. რომ მოგვწოდნენ, ხომ დავიღუპებოდით!

სევასტი — ხანდახან გმირობაც მართო ესაა — არ ფიქრობ, რა მოგეღის.

გულთამზე — აწი მაინც ვერ გაიჭაჭანებ ამ არემარეზე.

სევასტი — ფრონტი დიდია. სადაც წავალ, ყველგან გიპოვი თანაგრძნობას.

გულთამზე — მე რომ აქ ვარ სამსახურით დაბმული?

სევასტი — მერე რა მოხდა, მაგ დაბრკოლებას განა ვერ გადავლახავთ?

გულთამზე — როგორ არა, მე ისე გამბობ, თორემ... ჩვენ ერთმანეთს ისე შევეთვისეთ, სიკვდილის მეტი არ ვიცი, რა გავითიშავს.

სევასტი — ჩვენ ისეთი გზა ავირჩიეთ, ყოველ ნაბიჯზე გველოდება რაიმე ხიფათი, ამიტომ უნდა შევეჩვიოთ განსაცდელს და მუდამ გულგრილად უნდა შევხედეთ. (უჭვრეტს კარში.) ეჭი, გამოჩნდნენ!

გულთამზე — ისევ აქ ტრიალებენ?

სევასტი — ეს წისქვილი საიმედო არაა.

გულთამზე — მაშ?

სევასტი — სადმე ბუჩქებში შევძვრები და მერე, როდესაც დაღამდება, გავიპარები.

გულთამზე — (ხელს ხელზე ურტყამს) მერე მე?.. მე სად შეგეყარო?

სევასტი — შეგატყობინებ... ახლა უნდა დაგემწვიდობო... როგორ მიყურებ? ნუ გეშინია. შენ გგონია, უკანასკნელად გხვდებით ერთიმეორეს?.. რად კანკალებ?!

გულთამზე — სიცოცხლე! (ერთმანეთს ეხვევიან.)

ყვარ ყვარე — (თავი წამოყო) რა ხვევენ-ალერსია, ეე, რას შერბობთ! (სევასტი და გულთამზე მოიხედავენ.)

ს ე ვ ა ს ტ ი — (გულთამზეს) აქ ოსმალთა საიდან გაჩნდა?!

გ უ ლ თ ა მ ზ ე — (გაკვირვებული) არ ვიცი.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — აქეთკენ თათრები არ გადმოჰრილან?

ს ე ვ ა ს ტ ი — არა.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (გამოდის) მაშ, რა იყო, ასე გულის გასახე-
თქად რომ შემთვარდით? (გულთამზეს დააკვირდება.) ოჰო, ოფო-
ფივით ქალია.

ს ე ვ ა ს ტ ი — უკაცრავად, ბატონო.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — უკაცრავადო!

ს ე ვ ა ს ტ ი — თუ შეგაწყუხეთ, ბოდიშს ვიხდით.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მესმის, (თავისთვის.) ცხოვრების წესი მე
ასე გამიგია, კაცს კბილი უნდა გაუსინჯო, თუ ირყევა, მოთხარი;
მაგრამ, თუ მაგრადაა — გაქვევა მოასწარი, რომ არ გაქველოს...
(სევასტის.) ბოდიშს იხდი?

ს ე ვ ა ს ტ ი — მე მგონია, ვითხარი.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მირე, აქ სააღერსოდ რომ შემოხიზნულხარ,
რა წესია? თქვენც კუთხე მოგინახავთ, რაღა! წყალი კი არა მაქვს
ამ ძარღვებში, მეც ვაჟკაცის სისხლი მაქვს. სულ არ მერიდებით მა-
მაკაცს?!

ს ე ვ ა ს ტ ი — დამშვიდდით. (ამოიღებს უბიდან პაპიროსს.)
თქვენ, პაპიროსს ხომ არ იხებებთ, მიირთვით.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — კი. (გამოართმევს. თავისთვის.) იტყობა, ძა-
ლიან მშიშარაა.

ს ე ვ ა ს ტ ი — აქ, თურმე, შესანიშნავი სანადირო ადგილებია.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ოო, მონადირის ნანადირევი მე ძალიან მიყ-
ვარს. (გადახედავს გულთამზეს.) ეს ოფოფი ვინ არის?

ს ე ვ ა ს ტ ი — ეს გახლავთ ამ მეწისქვილის ქალი.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — გულთამზე?

გ უ ლ თ ა მ ზ ე — დიახ. (გაკვირვებით.) თქვენ ვინ ბრძანდე-
ბით?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (უცბად) შენ ამის ცოლი ხომ არა ხარ?

გ უ ლ თ ა მ ზ ე — არა.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (მღელვარედ) მაშ, რა იყო, ამან რომ გულ-
ში ჩაგიხუტა?

ს ე ვ ა ს ტ ი — ეს რა თქვენი საქმეა?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჰუჰ, რა ქალს აფუჭებს!

გ უ ლ თ ა მ ზ ე — ძალიან რომავ, ვილაცა ხარ!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (გულთამზეს) შენ გაჩერდი შენთვის! (სე-
ვასტის.) შენ ახლა ჩემთან გაქვს საქმე და, თუ ვაჟკაცი ხარ, გამი-
მაგრდი!

ს ე ვ ა ს ტ ი — (მოემზადება თავის დასაცავად) არ გაბედო, თო-
რემ ცუდ პასუხს გაგცემ!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (ძრწოლით) ეს კაცი ახლა შემომაკვდება, არ
გავუშვებ...



გულთამზე — (შეშინებული გააღებს კარს) წავიდეთ ^{საქართველოს} სევასტი — ჰო, კარგი, გავშორდით ამ თავხედს.

ყვარყვარე — (გულთამზეს) შენ აქ დარჩი (მოიგდებს მკლავით გულთამზეს.) იმას კი ნამდვილად დაგვლეჯ... დაე... დაე... მაგრამ თუ ბედი აქვს და გამსაწრო, რა...

გულთამზე — რა ამცებელი ნადირია!

სევასტი — (სასოწარკვეთილებით გაიწევს ყვარყვარეზე. ყვარყვარე მოულოდნელად გარბის და ცხარება ტომრებს.)

გულთამზე — (იცინის) როგორ უცბაო მოიკუნტა.

ყვარყვარე — (კანკალებს) თუ ისეთი რამე მოვახერხე, რომ არ დამახრჩო, სწორედ მოსალოცი ვიქნები. (სევასტის.) შეე კაცო, ხელმწიფეები შერიგებულა და ჩვენ რა...

სევასტი — სულ მთლად უსუსურია.

ყვარყვარე — (სევასტის) ღონე კი მაქვს, მაგრამ შინისთანა პატიოსან კაცს თითო როგორ დააკარო?! კაცს ხელს როგორ შემოვარტყამ, სინდისი გობაქვეშ კი არ შემინახავს?!

სევასტი — უტიფარია, ვიღაცაა.

გულთამზე — ოო, ეს კაცი, ალბათ, ის არის, მამამ რომ მითხრა, (იცინის.) ნაკარქეჩიაა!..

სევასტი — რას ამბობ! (ყვარყვარეს.) შენ ვინა ხარ?

ყვარყვარე — ყვარყვარე თუთაბერი.

გულთამზე — დიახ!

სევასტი და გულთამზე — (ერთად) ყვარყვარე თუთაბერი! (იცინიან. მოისმის სროლის ხმა. დააყურებენ.)

გულთამზე — სიცილის დროც არა აგაქვს.

სევასტი — (იციპირება ჭიტანოში) წავალ, თორემ... მაგვიანდება.

გულთამზე — ჯირ გავიხედოთ, უცაბედად არაგის შეიფეტოთ. (სევასტი და გულთამზე მიდიან.)

ყვარყვარე — ეე, რას იზამ, კიდევ არა უშავს. რა უშავს! ენის მასალით ქალთან კაცი პირს ყოველთვის მოიბან. ეს იერ გამიგია, ზოგიერთი კაცი სირცხვილით მიწაში რომ ჩაძვრება, სირცხვილს რომ ჭამ კაცი, თუ ვარჯხარ, მაშინ თავი უფრო მაოლა უნდა ასწიო. ასეა... (ქეჭავს ნაცარს.) ახლა ისეთი რამე უნდა მოვიგონო, რომ მისი თეთრი პერანგი ხელში დაათრიალო... უპ, რა ქალია! (იციხლივით არ შემომენთო! რა დროს ნაცრის ქეჭვაა! (კრავს ფეხს ნაცარს.) გათაფდა, ყვარყვარე, შენთვის თბილი ნაცრის ქეჭვა. (წამოდგება.) ერთხელ დაუბადიბულვარ და ერთხელ უნდა მოგკვდე! (ბრაზით მიდის კარისაკენ. შეჩერდება.) ჰეჰე, ყვარყვარე თუთაბერო, მართალია, ერთხელ დავიბადე, მაგრამ მეორეჯერ კი არ დაიბადები... მოიამინე, ფეხის ერთი გაკვრით ბურთი ლელოზე ვის გაუტანია. ოო, ასეა... (ერთხელად გაყოფს თავს კარში.) ესენი კიდევ აქ არიან?! (დაღონებული შემოდინ სევასტი და გულთამზე.)

გულთამზე — ხომ ხედავ, როგორ დაგვიძებენ!



ყვარყვარე — მგონია, ვილაცას ემალებიან, ერთი გვეხსნის
ლო? (კარს გააღებს.)

სევასტი — (უკან გამოსწევს ხელით ყვარყვარეს) აქეთ!

ყვარყვარე — (თავისთვის) აა, მთავრობას ემალება! ნეტა
რის მოქმედია? რა გამეხარდება, თუ გავიჭვნი! (სევასტის ხმამაღლა.)
ნუ გეშინია, მე ქურდს და ყაჩაღს არ გავწირავ.

სევასტი — მაგაზე ვერ გეტყვი მადლობას, მე არც ერთი
არა ვარ.

ყვარყვარე — (თავისთვის) მაშ, ვინაა? სოციალისტი ხომ
არ არის? (სევასტის.) მე სოციალისტები უფრო მიყვარს, ისინი რომ
ქადაგობენ, სწორედ ჩემი საქმეა. რომელ სახლშიც გინდა შედი და
მოიროთხე მაგრად ფეხი, სმა-ჭამა სულ მუქთი იქნება. მე რომ მკი-
თხონ, სოციალისტების სურათებს ეკლესიაში დაგვიკიდებდი, სულ
წმინდანებოვით წვალობენ ხალხისათვის, მეც ხალხისათვის გწვალობ
ამ ქვეყანაზე და, ჩემი არ იყოს, შენც სოციალისტი ხარ.

გულთამზე — (რომელიც მღელვარედ იცქირებოდა ჭიბა-
ნოში) უი, აქეთ მოდიან, რა ვქნათ, კარს მოადგნენ.

სევასტი — მაშ, როგორც ვხედავ, ვერ გავძვრები. (ურტყა-
მენ გარედან კარს.)

ყვარყვარე — (ნეტარებით) გაება.

გულთამზე — ვინა ხართ?

ხმა გარედან — კარი გააღეთ!

გულთამზე — რა გნებავთ?

ხმა გარედან — კანონის სახელით მოვითხოვთ, გააღეთ
კარი!..

გულთამზე კედელს მიეყუდება, გარედან ურტყამენ კარს. კარი
ჩამოვარდება. შემოდის ორი ოფიცერი. ჭარისკაცები დგანან კართან.

პირველი ოფიცერი — (აღშფოთებით უთითებს ყვარ-
ყვარეზე) ხედავ?

მეორე ოფიცერი — (რევოლვერს უმიზნებს ყვარყვა-
რეს) თქვენ დატუსაღებული ხართ.

ყვარყვარე — მეე?

გულთამზე — ვერ გავიგე, ვის ეძებთ?


პირველი ოფიცერი — განა ეს ოსმალოა?

გულთამზე — არა, ეს ერთი საწყალი ნაცარქექიაა, მხო-
ლოდ გადაცმულია, ბატონებო.

მეორე ოფიცერი — (1-ლ ოფიცერს) ოო, ეს ქალიც
ადასტურებს, რომ გადაცმულია. (ოფიცრები იცინიან.)

პირველი ოფიცერი — ეს არის ფარულად მომუშავე
რევოლუციონერი. ოთხი თვეა, რაც შტაბის საიდუმლო განყოფი-
ლება ეძებს, მაგრამ ისე სცოდნია გადაცმა, რომ ეშმაკს თვალს
აუხვევს.

სევასტი — (გულთამეს ჩუმად) თუ ყვარყვარემ არ გამცა,
გადავრჩები. (ოფიცრებს.) რას ლაპარაკობთ? ღმერთმა დასწყევლოს,



თუ ეს ავი კაცია, სინდისის მაინც არ რცხვენია?!

მეორე ოფიცერი — უჰ, რამდენი ხანია ამას ვეძებთ!

პირველი ოფიცერი — ბოლოს მივაგენით, მაგრამ დი-
ლას აქეთ კი ვღვეთ.

მეორე ოფიცერი — ოო, რაც ჩვენ გავსავათლით!

ყვარყვარე — (გაბრუებული) ეს რა შავი დღის გადარეუ-
ლები მომადგნენ! (სასოწარკვეთილებით მოიხედავს, უეცრად შე-
ჩერებს თვალს სევასტის.) ააა, მივხვდი...

მეორე ოფიცერი — (ცეცხლისაკენ) ქარყინვამ ლამის სა-
ხე სულ დამითუთქა.

პირველი ოფიცერი — არაყმაც ვერ გვიპატივა, იმ
პირსაცეცხლემ! (ოფიცრები ცეცხლს ეთობიან.)

ყვარყვარე — ძლივს არ მივხვდი! ბატონო ოფიცრებო,
თქვენ რომ ეძებთ, ის კაცია...

ოფიცრები — (რევოლვერებით ემუქრებიან) ხმა გაკმინდე!

გულთამაშე — (ტუჩზე ხელს მიაფარებს.) არ წამოგცდეს.

ყვარყვარე — (იშორებს გულთამაშეს) თუ მომკლავენ?

გულთამაშე — (აღერსით ეჩურჩულება) ხვალვე გაიგებენ,
ვინცა ხარ და გაგიშვებენ. (ეაღერსება.) გემუდარები, არ დაგვლუპო!

ყვარყვარე — (აღელვებული, გულთამაშეს აღერსით) რას
მთხოვ, შე გვრიტო, (ციცხლმოციდიებული!) (ხვევს ხელებს.)

გულთამაშე — გაჰყევი, ხმა არ ამოიღო!

ყვარყვარე — სად წავიდე? (კოცნის.)

გულთამაშე — (წიწკლით) ნუ იმტლუშნები. (ოფიცრებმა
განკარგულება გასცეს კართან და პირი მოიბრუნეს.)

ოფიცრები — (ყვარყვარეს) აიბარგე.

ყვარყვარე — მე კი არა, ის კაცი, ეგერ...

გულთამაშე — (მუდარით) წადი! (ეაღერსება.) წადი...

ყვარყვარე — (ოფიცრებს) არა, ვისაც თქვენ ეძებთ...

გულთამაშე — (ტუჩებზე ხელს მიაფარებს, ყვარყვარე კო-
ცნის)

პირველი ოფიცერი — აკოცე?

მეორე ოფიცერი — ეს რა გულჩვილობაა! (გულთამაშეს.)
თქვენ თანაუგრძნობთ?

გულთამაშე — (ტუჩზე ხელს აფარებს ყვარყვარეს და თან
უპასუხებს ოფიცრებს) არა, მე ვემუდარები ყუმბარა არ გაისრო-
ლოს... დაგნებდეთ, ხომ ხედავთ, როგორ ვკანკალებ. მე მშიშარა
ქალი ვარ...

ოფიცრები — (უკან დაიხვევენ) რაო, ყუმბარაო! ისეთი აღ-
ყაა, ჩიტე ვერ გაფრინდება. (მიდიან კარისაკენ და იძახიან.) მარჯ-
ვედ, ბიჭებო, ყუმბარები ჰქონია, მოემზადეთ, ეცადეთ კი მაინც,
ცოცხლად წამოიყვანოთ! (მიდიან.)

ყვარყვარე — გამიგონეთ, ბატონო ოფიცრებო. (ხვევს სევასტის)
ჩქარა, გაჰყევი, შე პირუტყვო, შენი გულსისათვის არ დაგვწყვიტონ!



(გულთამზეს.) მოდი, ერთი აქ ჩამოჯექი. (ცდილობს მუხლზე დაისვენოს.)

ს ე ვ ა ს ტ ი — კმარა! ამ დამცირებას სიკვდილი მირჩევია! (გადაწყვეტილად.) წადი, ვერაგო, და გამაცხადე.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — (სევასტის) გიჟო, შენ ხომ იცი, რომ სასრ-
ხოებელა არ ავშორდებია. (მიუჯდება ყვარყვარეს და ელაპარაკება თა-
ნაგრძნობით.) იცი შენ, რა მოგელის ეს რომ ვასცე?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — კი, ხახვს დამაჭრიან.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — რევოლუციონერები მოგკლავენ, ეს არ იცი?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (აწრიალდება) ეჰე, ვაი, უბედურებას!

გ უ ლ თ ა მ ზ ე — ჩაშუშს დაგარქმევენ და იმ დღესვე ტყვიით
გაგაციებენ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — შერთლა მომკლავენ ის წყეულები. (წამოდ-
გება.) ამას რა ჭირს გადავეკიდე.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — ახლა გაჰყევი, ხმა არ დასძრა. იქ კი თქვი
შენი ვინაობა და გაგიშვებენ. რა გიჭირს, უდანაშაულო კაცი ხარ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჰოდა, იცოდე, კარგი ბუმბული დამახვედ-
რე. მე მაგის ტყავის გადასარჩენად რა თავს ვიტყენი!.. ფეხს ტყუი-
ლად არ დავისველებ, გაიხედე ერთი, რა თოვლ-ტყაპია.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — ყელამდე პატივში იქნები, როცა მოხვალ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — კიდევაც შევიშნობ, თქვენი ამბავი ხომ გა-
ვიგე! (მოკუმშავს მუშტს.) აწი ასე მეყოლებით გამოტყერილი და ერ-
თმანეთს არ მიგაკარებთ. (ჯარისკაცები მოღერებული ხიშტებით შე-
მოდიან. აკეთებენ წრეს ყვარყვარეს გარშემო)

ო ფ ი ც რ ე ბ ი — ცოცხლად წამოიყვანეთ, თუ დაგნებდათ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჰო, არ მომკლათ, მართალი კაცი ვარ, არ
დამღუპოთ.

ო ფ ი ც რ ე ბ ი — მარჯვედ, ბიჭებო, შარჯვედ... (მიჰყავთ ყვარ-
ყვარე ჯარისკაცებს, ოფიცრებიც მიჰყვებიან.)

გ უ ლ თ ა მ ზ ე — (ცხვირსახოცით იწმენდს ტუჩებს) ტფუ, რა
ბილწად დამტლომნა...

ს ე ვ ა ს ტ ი — შენ ნამდვილი გმირი ხარ მოთმინებით.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — შენ ამ წუთში მღევრები არ გყავს, შორს
წავიდეთ.

ს ე ვ ა ს ტ ი — შენც?

გ უ ლ თ ა მ ზ ე — მეც მოვდივარ.

მოქმედება მეორე

არმიის შტაბის საიდუმლო განყოფილება. საწერ მაგიდასთან ზის ადიუტან-
ტი. ცოტა მოშორებით, მეორე მაგიდასთან ზის დაბალი ჩინის მწერალი.

მ წ ე რ ა ლ ი — (წერს. რამდენჯერმე გაუბედავად წამოდგება,
ბოლოს სასოწარკვეთილებით მიდის ადიუტანტთან) თქვენო... კე...
კე... კეთილშობილებაჲ, პოლკოვნიკის წარწერა... და ეს... გერ ამო-
ვიკითხე.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — მეჩრე მე ახლა შენთვის მცალია?! (დაკედავს

ქალაქს და ჯიბეში ჩაიწყობს ხელებს.) ხომ გაიგონე, არა მკალა!
(მწერალი დაბრუნდება თავის მაგიდასთან და ცდილობს ამოიკითხო.) და ასეთ წერა-კითხვის უცოდინარს გზავნიან შტაბის საიდუმლო განყოფილებაში მწერლად. (აფურთხებს.) ტფუ, შენ უნდა ეგდო პირველი ხაზის სანგრებში და არა კანცელარიაში!

მ წ ე რ ა ლ ი — (ტუჩები უკანალებს) ფრიალ გაურკვეველია.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — შენთვის ყველაფერი გაურკვეველია, შე უტყინო. ხატზე დავიფიცივებ, რომ შენ სტუდენტი არა ხარ. აკი მითხრა პახომამ, ყალბი დოკუმენტით შევიდა უნივერსიტეტშიო.

მ წ ე რ ა ლ ი — პახომამ, თქვენი ერთგული რომ ვარ, იმისთვის ამითვალისწინა, თქვენო კეთილშობილებავ. (ფლიქვინით.) რა ვქნა, რად მიწყობით?!

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — უყურე, ამ კატის ჯიშს, როგორ შემაბრალა თავი. მოდი, პო, მოდი!..

მ წ ე რ ა ლ ი — (უცბად წამოვარდება და მიდის ქალაქით ხელში. ჩურჩულებს.)

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — ეს რა ოქმია, წისქვილში რომ რეკოლუციონერი დაატუსაღეს? რა ვერ ამოიკითხე?

მ წ ე რ ა ლ ი — (უთითებს) აი, ეს წარწერა, თქვენო კე... კეთილშობილებავ.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (კითხულობს, ეტყობა, ვერ ამოიკითხა) რა გაქანებულა, რა... ეშმაკიც ვერ გაარჩევს. (მიუგდება უკანვე. ხურავს თავის ქალაქებს, თითქოს მალავს.) შე ძაღლის გაჩენილო, ამ ფრიალ საიდუმლო ქალაქებში ნუ იყურები. ხანდახან რეკოლუციონერიც კი მგონიხარ, რა ვიცი.

მ წ ე რ ა ლ ი — (დაჩაგრულად) მე — რეკოლუციონერი?

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (აღშფოთებით) სტუდენტი ხომ ხარ?!

მ წ ე რ ა ლ ი — კეთილსაიმედოდ მიცნობენ. წმიდა მიხეილის ჯგუფში ვითვლები, თქვენო კეთილშობილებავ.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — ვირი ხარ! მორიდება არ გაქვს, ყველაფერს მკითხები.

მ წ ე რ ა ლ ი — სადაცაა პოლბოლკოვნიკი შემოვა, თქვენო კე... კეთილშობილებავ, თუ ასლი არ დახვდა, მერე...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — მერე. ამისათვის მიც ხომ მიმაცოლებს. ამ საქმის გამოძიება მას მიანდეს?

მ წ ე რ ა ლ ი — დიან, მერე, თქვენო კეთილშობილებავ.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — მაშ, რივიანად გადასწერე.

მ წ ე რ ა ლ ი — (ფლიქვინით) რა ვქნა, თუ გაბრაზდა, სანგრებში მიკრავს თავს.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — ნუ ფლიქვინებ! (ფეხებს დაუბაკუნებს.) ყველაფერი შენი ბრალია! (შემოდიან გენერალი და პოლკოვნიკი.)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ის დიდი ამბები ვის არ ახსოვს, ჩვენ შტაბში ბრძოლა ყველას წაგებულ იგონა... და ასეთ დაბნეულობაში, მოულოდნელად, მოვიპოვე ბრწყინვალე გამარჯვება.



პოლკოვნიკი — თქვენო მალალმატებულეზავ, სამხედრო ისტორიკოსები მრავალ ფურცელს მიუძღვნიან თქვენს საგმირო მოღვაწეობას და, ალბათ, იტყვიან, რომ ეს მხოლოდ თქვენ შეგიძლოთ.

გენერალი — მტრები ჩემი გამარჯვების შემდეგაც არ ცხრებიან, ახლა გაიძახიან, თითქოს მე დაუზოგავად ვეპყრობი ცოცხალ ძალებს... თითქოს ძვირად მიჯღდება გამარჯვება... მაგრამ იმათ პატრიოტიზმი ხომ არასოდეს არ ჰქონიათ, მხოლოდ შური ალაპარაკებთ.

პოლკოვნიკი — რასა ბრძანებთ?! თქვენი წყალობით არამამ დიდი სახელი მოიხვეჭა, ცოცხალი ძალების დანაკლისიც უცხად შევავსეთ, თქვენო მალალმატებულეზავ!.. მხოლოდ ერთი გარემოება მაბრაზებს, როგორც ჩანს, ჩვენს არმიამი მავნე სოციალისტები დაძვრებიან..

გენერალი — ოჰო, მაშ, თვალი ფხიზლად უნდა გვიქიროს.

პოლკოვნიკი — ერთი ქვემძრომი დავატუსაღეთ.

გენერალი — რა დანაშაული აქვს?

პოლკოვნიკი — თმის საწინააღმდეგო ფურცლების გავრცელება.

გენერალი — სად, ჯარში?

პოლკოვნიკი — დიახ, აქ, ფრონტზე.

გენერალი — ჩამოახრჩეთ.

პოლკოვნიკი — დიახ, რასაკვირველია, (ადიუტანტს.) პოლბოლკოვნიკი იყო აქ? აწარმოებს იმ სოციალისტის საქმის გამოძიებას, რომელიც წისქვილში დაიჭირეს?

ადიუტანტი — დიახ, ბატონო პოლკოვნიკო, გამოძიებას აწარმოებს.

გენერალი — (პოლკოვნიკს) ამ საღამოსვე დაინიშნოს საველე სასამართლო თქვენი თავმჯდომარეობით. ასეთმა დამნაშავეებმა იციან სასჯელისაგან თავის დაძვრენა, მაგრამ ახლა მარჯვედ დახვდით, თოკი არ ააცილოთ.

პოლკოვნიკი — ისეთი მამხილებელი საბუთებია, თქვენო მალალმატებულეზავ, რომ დამნაშავე, ალბათ, ხმასაც ვერ ამოიღებს. (ადიუტანტს.) ტუსაღს დაჰკითხა გამოძიებელმა? (ადიუტანტი და მწერალი ცახცახებენ.)

ადიუტანტი — ჯერ არ დაუკითხავს, ბატონო პოლკოვნიკო. (ტელეფონი რეკავს. ადიუტანტი იღებს ყურმილს).

ადიუტანტი — (გენერალს) თქვენო მალალმატებულეზავ, პირადად გთხოვენ ტელეფონთან.

გენერალი — (ტელეფონით) ოო, წამოიყვანეთ? მოგილოცავთ, მოგილოცავთ... როდის წამოიყვანეთ? დაჭრილი არ არის? ცხიერი ფაშა იყო. აცნობეთ თბილისს. (პოლკოვნიკს.) ისრაფილ ფაშა დაუტყვევებიათ.

პოლკოვნიკი — (აღტაცებით) მოულოდნელი სიხარულია.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ჩემი კბილის მატლი ის იყო.

პო ლ კო ვ ნ ი კ ი — უმაღლესი ორდენი გერგებათ, თქვენო მალალმატებულებავ.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — არც თქვენ დარჩებით ცარიელზე, ბატონო პოლკოვნიკო. სამწუხაროა, რომ გერმანიის ფრონტზე ასე არ მიდის ჩვენი საქმე. (გენერალი და პოლკოვნიკი მიდიან. ადიუტანტი და მწერალი თავისუფლად ამოისუნთქავენ.)

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — ეს დიდი კაცები რომ დამადგებიან თავზე, ისე ვიკარგები, ისე გკანკალებ. თითქოს ეს არის, ფეხი უნდა წამკრან და გამსრისონ.

მ წ ე რ ა ლ ი — მეც რომ გადმოხმედავენ, ვნატრობ, მიწა გამი-სკდეს.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — შენ ასე შეგფერის. (მუქარით წამოდგება) ისეც რომ მელაპარაკება! მე შენი უფროსი ვარ, პირდაპირი უფროსი.

მ წ ე რ ა ლ ი — (აწურვით) სწორედ ასე, თქვენო კეთილშობილებავ.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (აჯავრებს) თქვენო კეთილშობილებავ. ასე რომ არ დამაბერებენ, წარმატებას ველი. შეიძლება ორი ჩინი ერთად მივიღო, მაშინ როგორ მომმართავ? კეთილშობილებას მეტყვი?

მ წ ე რ ა ლ ი — მალაღკეთილშობილებავ.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — ახლა?

მ წ ე რ ა ლ ი — თქვენო კეთილშობილებავ.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (აღშფოთებით) რატომ, ა? სადა გაქვს უფროსის დაფასება?

მ წ ე რ ა ლ ი — (ფლიქვინით) რა წყალში გადავვარდე! (შემოდის ჯარისკაცი ქალადით ხელში. შეჩერდება და ღრმად ითქვამს სულს. ჯარისკაცი მიდის ადიუტანტის მაგიდასთან.)

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — (მღელვარედ) პეტროგრადიდან აპარატზე დეპეშა მივიღეთ. (ღრმად სუნთქავს.) ჩვენ გვეგონია, ფრიად საიდუმლოა... თუმცა იქიდან ასეთი წარწერა ახლავს... ყველას, ყველას, ყველას!..

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — ჩამაბარე! (უცქერის ჯარისკაცს.)

მ წ ე რ ა ლ ი — (ჯარისკაცს) შენ ჭეშმარიტ რუსთა კავშირიდან მახსოვხარ. აი, თქვენო კეთილშობილებავ, ამანაც იცის, როგორი კეთილსაიმედო ვარ.

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — იცოდეთ, ქვეყანა სულ გადაბრუნებას აპირებს. ჰო, ჰო, რა ამბავია!

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — რაო, რას მიედამოდები! შენ ჩვენი კავშირის წევრი ხარ?

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — არა, რა ვიცი, მე ჩემთვისა ვარ...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — მაშ, აპარატზე გინ მივიღო, თუ იქაც ებრაელი დაგვისვს?!

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — ახლა რა ვთქვა... ისეთი ამბავია, რომ...

ადიუტანტი — (აღშფოთებით) რაო, ეს რა პასუხებს მამ-
ლევს?! საქართველოს
საზღვრო პოლიცია

ჯარისკაცი — (აწვდის დეპეშას) წაიკითხე და ნახავ, თუ
შენ ენა არ დაგებმება. (ჯარისკაცი სწრაფად გაბრუნდება. კარში
შეეფეთება გამომძიებელს, გვერდს აუვლის და მიდის. შემოდის გა-
მომძიებელი — პოლპოლკოვნიკი. ადიუტანტს გადაუკითხავი დეპე-
შა ხელში შერჩება და წამოდგება სალამით. მწერალი ფეხზე გაშე-
შდება.)

გამომძიებელი — გამოიყვანეთ ტუსალი. (მოხელეებს.)
მომციით მასალები. (ადიუტანტი და მწერალი უხერხულად გადახე-
დავენ ერთმანეთს.) ხომ გაამზადეთ?

მწერალი — (ცახცახით) მოგართმევთ, თქვენო მაღალკე-
თილშობილებავ.

გამომძიებელი — მარტად, ნუ გეძინებათ.

მწერალი (მიაქვს გამომძიებელთან საქმე) გამზადებულია...
მხოლოდ ერთი წინადადება...

გამომძიებელი — (გადაშლის ქაღალდებს) რა წინადა-
დება?

მწერალი — (ცახცახებს) თქვენო მაღალ... კეთილ... შობ...
ლებავ...

გამომძიებელი — გაციებს?

მწერალი — დიას.

გამომძიებელი — (გაიცინებს) აი, შეი ძაღლის შვილო!
(მოხელეები პატივისცემით იღიმიებიან.) აგერ ჩექმამ ფეხი დამქექქა,
მაგრამ პანდურს ისე მოგცხებ ამ ფეხით, რომ ერთსაც არ დაიკვ-
ნესებ! (მოხელენი ისევ იღიმიებიან.)

ადიუტანტი — (თითქოს აღტაცებით) რა კარგ ხასიათზეა?!

გამომძიებელი (კარისაკენ გასძახებს) შემოიყვანეთ ტუ-
სალი? (ადიუტანტი იხედება დეპეშაში, სახეზე ეხატება გაკვირვება.
შემოჰყავთ ყვარყვარე. გამომძიებლის ყურადღება უცბად ყვარ-
ყვარეზე გადადის.)

გამომძიებელი (ყვარყვარეს აკვირდება) თავს ძალიან
ისაწყლებ, მაგრამ შენს სახეზე მაინც ვკითხულობ, რომ სახელმწი-
ფო დანაშაულის ჩადენა შეგიძლია.

ყვარყვარე — ბატონო, რას ბრძანებთ, სულ ტყუილად
ამაგდეს კერძიდან.

გამომძიებელი — როდის დაიწყეთ მუშაობა არსებული
წესწყობილების წინააღმდეგ?

ყვარყვარე — მეე?! ვინ გგონივართ, ბატონო, დამაკვირ-
დით. ხელმწიფის ერთგულ კაცს მაგას მეუბნებით?

გამომძიებელი — კმარა! მოჰყევი აღსარება! იცოდე,
რამდენ მეტ დანაშაულს აღიარებ, იმდენად შეგიმსუბუქდება სას-
ჯელი. ჩამოხრჩობა დახვრეტად შეგიცვლება, ესეც საქმია.

ყვარყვარე — ვაი, ამ შავ დღეს!..

ადიუტანტი — (დებეშას კითხულობს და ხმამაღლა იკმინებს) ეს რა ამბავია დებეშაში?!

გამომძიებელი — (აღშფოთებული მოხელეებისაკენ) ხმა გაკმინდეთ! (ყვარყვარებს.) აბა, ჯერ დამისახელეთ თქვენი თანამოსაქმენი. დაიწყეთ, სულ ერთია, სიმართლე არ დაიმალება.

ყვარყვარე — აქ, ფანჯრიდან ორ მეზობელ გლეხს მოგვარი თვალი, ვეცხვიან, ვინა ვარ, ტყუილად არ დამლუპოთ. ისე მიყურებ, ბატონო, რომ... სულ მაკანკალებს. ეს რა მდულარეში ვტუცე ფეხი.

ადიუტანტი — (მღელვარედ) ამ განყოფილების მოხელეები მაინც შუა ციციხეში ვართ.

გამომძიებელი — (ფეხებს აბაკუნებს) როგორ ბედავ?!

ადიუტანტი — ჯერ ეს წაიკითხე და ფეხი მერე დამირტყი.

გამომძიებელი — რაო? კიდევ ენას მიბრუნებ? (მუქარით უახლოვდება.)

ადიუტანტი — (აცქერდება დებეშას) ასეა... რეკოლუცია... დებეშა... მოდი.

გამომძიებელი — რეკოლუციაა, სად?

ადიუტანტი — არის, არის... (მწერალს რბილად.) შენც მოიწი აქეთ.

გამომძიებელი — (გაკვირვებული) ხომ არ გაგყებულა?! (გამოართმევს დებეშას, კითხულობს.) ნიკოლოზ მეორე გადადგა... (ჩიფჩიფებს.)

ადიუტანტი — (რბილად მწერალს) შენც წაიკითხე, მეგობარო.

გამომძიებელი — (გარკვეულად იმეორებს) უმაღლესი ძალაუფლება... სახელმწიფო სათათბირო... აღმასრულებელი კომიტეტი... (მღელვარედ მოხელეებს.) თქვენ ხომ გესმით, რას ვკითხულობ.

მწერალი — (გაბედა მისვლა და კიდევ კითხულობს) შეედა პეტროგრადში მუშათა დეპუტატების საბჭო.

ადიუტანტი — ახლა ვრწმუნდები, რომ არაფერი არ მომჩვენებია.

გამომძიებელი — (განაგრძობს კითხვას) შეედა დროებითი მთავრობა.

ადიუტანტი — (განაგრძობს კითხვას) ამიერ-კავკასიაში მეფის მოადგილის ნაცვლად დაინიშნება რწმუნებული — ემისარი...

გამომძიებელი — რეკოლუციაა.

მწერალი — მე, როგორც სტუდენტმა, თქვენ უნდა გითხრათ...

ადიუტანტი — (პატივისცემით) ჰო, ჰო, შენ იცი ალბათ.

მწერალი — ეს რეკოლუციაა.

გამომძიებელი — რეკოლუციაა.

ადიუტანტი — რეკოლუციაა.



მწერალი — და, როგორც სტუდენტი, გიტყვით, რომ... ჩემი მატერიალისტური ზეალსაზროსით, რევოლუცია მლის ისტორიაში ახალ ფურცლებს.

ადიუტანტი — ჰო, ჰო, კიდევ რა იცი?

მწერალი — რევოლუცია სპობს მის მოწინააღმდეგე ატომებს.

ყვარყვარე — შიშით ისე ვარ გაბრუებული, რომ ყურთასმენა დამეკარგა, ისინი ჩემს ჩამოხრჩობას ხომ არ ამზადებენ. განა არ მომხდარა ასეთი მაგალითი, რომ მართლი კაცი ეშმაკის კლანჭში ჩაეარდნო?

გამომძიებელი — (ყვარყვარესაკენ მიბრუნდება და უკვე ყვარყვარეს წინაშე დგას, როგორც დამნაშავე. ადიუტანტი და მწერალი განაგრძობენ თავისთვის დეპეშის კითხვას, ინტიმურად ეჩურჩულებიან ერთმანეთს) ბატონო რევოლუციონერო, თქვენ ალბათ დიდი ხანია მუშაობთ ხალხის საკეთილდღეოდ მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

ყვარყვარე — ბატონო, არ დამლუპო.

გამომძიებელი — არა, ნუ გეფიქრება.

ყვარყვარე — სხვისი ცოდვა არ წამცხო.

გამომძიებელი — თქვენ სპეტაკი რევოლუციონერი ხართ, კარგად ვიცი.

ყვარყვარე — რას ბრძანებთ, ჩემისთანა მართალი ხეც არ არის. ტყუილად დადარში არ გამხვიო.

გამომძიებელი — ნუ, ნუ ღელავთ, დაბრძანდით. (ჭარისკაცებს.) გადით აქედან, რა საჭიროა თოფიანი ყარაული, ადამიანია, მხეცი ხომ არ არის?! (ჭარისკაცები მიდიან.)

ადიუტანტი — (ამოიღებს ყუთიდან ქაღალდებს. მწერალს) ეს საბუთები თუ არ მოვსპვით, სულ, სულ, სულ დავიღუპებით.

მწერალი — გუშინ რომ ცნობები შევადგინეთ?

ადიუტანტი — ოო, ის უსათუოდ მოვნახოთ. მაგრამ ჯერ ეს მოვსპოთ. (ადიუტანტი და მწერალი მიდიან ქაღალდებით ხელში.)

გამომძიებელი — (ლაქუციო) თქვენი ყარაული მოვსენიო.

ყვარყვარე — ჯერ, ბატონო, გამიკითხეთ.

გამომძიებელი — მიიღეთ ჩემგან აღსარება, რომ მე სულსა და გჟლის სიღრმეში მუდამ დემოკრატი ვიყავი... და როდესაც მეფე უმოწყალოდ სჯიდა რევოლუციონერებს, მწარე გულით ვტიროდი... მაგრამ ისეთი დრო იყო, რომ ცრემლს ვერ გამოაჩენდი.

ყვარყვარე — მეფის მოლაღატეები, ბატონო, მე ყოველთვის მძულდა, ტყუილად რატომ მცდით?

გამომძიებელი — არა, მუდამ თავგანწირული ყოფილხართ ხალხისათვის.

ყვარყვარე — ბატონო, რატომ მჭრი ამ ყელს!

გამომძიებელი — თქვენი მოღვაწეობა ამ არმიაში კარ-

გად ვიცობ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მე არ ვარ ის კაცი, გაიგონეთ.

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — ის არა ხართ?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ოო, მადლობა ღმერთს, გაგაგონეთ, ის კაცი მე არა ვარ.

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — აა, მივხვდი. თქვენ ამ ხერხით გინდოდათ სასჯელი აგეციდინათ, რათა მეორედ შეგაწირათ თავი ქვეყნისთვის. ო, რა კეთილშობილებაა!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მამ, არაფერს არ დამიჯერებ?! (ძრწოლით.) მახრჩობ მართალ კაცს?

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — როგორ გეკადრებათ. კაცს ჩამოვახრჩობ? ადამიანი ხომ ბუნების გვირგვინია.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მერე მე-კატაღი მთვლი?!
გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — მე მოვსულვარ თქვენთან იმ მტრედის მსგავსად, რომელმაც ნოეს კიდობანში მშვიდობის ამბავი მიუტანა... ოლონდ, დაიმახსოვრეთ ჩემი მტრედობა და კალთა მაფარეთ თქვენს სასუფეველში.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — სასუფეველშიო, უსათუოდ მახრჩობენ.

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — მე თქვენ გახარებთ ისეთ ამბავს, ისეთ ბედნიერებას, რომელზედაც თქვენ ოცნებობდით. რომლისთვისაც სულს ლევედით! მოემზადეთ დიდი სიხარულისთვის.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — რაო, რას ბრძანებ?

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — რევოლუცია მოხდა, მეფე ტახტიდან გადადგა და დღეს ახალი სასკრობაა.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — რევოლუცია მოხდა? (თავისთვის.) რას ლაპარაკობს ეს კაცი?! (გამომძიებელს.) მერე?

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — თქვენ იმდენი ღვაწლი მიგიძღვით, საფლავშიაც არ დაგივიწყებდნენ, თორემ, ცოცხალს ხალხი თქვენზე მეტად ვის დააფასებს.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ეჰე! (თავს ასწევს.) რევოლუცია მოხდა?

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — დიახ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (ამაყად) მერე?

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — ქვეყანა გადაეცა თავგანწირულ რევოლუციონერებს.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მერე ჩემი თავგანწირვა?!
გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — სულ დაგიფასდება.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (აღშფოთებით) ამ ამბავს მიმაღავდი?

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — აკი ვთქვი.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ენა იმდენი ათოხარიკე, სული კინაღამ გამძვრა.

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — არა, მე მხოლოდ თქვენი ამბავი და თავდადება მოვიგონე.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჩემი ამოდენა თავდადება და ამავი ახლა წყალში გადაიყრება თუ, როგორ გგონია?!
26



გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — რას ბრძანებ, თქვენ დიდი მოღვაწე ხართ. (ქალღმერთებს.) აქ, ამის შესახებ საბუთებია.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — აქ კიდევ რაა! (გადაუყრის საბუთებს.) შენ გგონია, ახლა მთელი ჩემი ცხოვრება ხელისგულზე გიწერია!

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — არა, მე რა ვიცი... ამ არმიაში რაც ჩაგიდენიათ, კიდევ ცოტაა.. სხვაგანაა თქვენი მთავარი გამირობა.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჰოდა, ასე ილაპარაკე!

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — თქვენს შუბლზე მე ვკითხულობ ღრმა ფიქრების ნიშანს, თქვენა ხართ უდიდესი რევოლუციონერი.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ტყუილია თუ?

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — მე, როგორც შეგნებული დემოკრატი, დაბლა ვიხრები თქვენ წინაშე.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მერე, ახლა მიე ტუსაღი კი არა ვარ!.. არა ვარ... არა ვარ...

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — არა, თუმცა ფორმალურად ითვლებით, სანამ ჩვენი უფროსი ოფიციალურად არ გამოვიცხადებთ ამ ბედნიერებას, რაც მე გაცნობეთ... მანამდე კი, თავი ტუსაღად რომ არ იგრძნოთ, აი, შებრძანდით კაბინეტში, წამოაჩქით საეარძელზე და...

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ენა დაიმოკლე! ბედნიერება, თორემ შენი მოცემულია. ჩამოხრჩობას რომ მიპირებდით, რას ფიქრობდით? გიგონათ ასე შეიგრჩებოდით?!

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — მე? (ხმის კანკალით.) ჩემ შესახებ ცუდ რამეს ხომ არ ფიქრობთ?! ავიხსნით, ბატონო, მე ერთი პატარა კაცი ვარ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — არა, სად მცალია მე ახლა შენთვის, შე ჩიჩია, შე გლახა!

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — დიახ, ხალხისთვის უნდა იფიქროთ და იზრუნოთ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — რა მაქვს მე საფიქრალი?! მოტყუვდებოდა რამეში ყვარყვარე თუთაბერი, თუ რა გგონია?! (შედის კაბინეტში, შემოდიან ადიუტანტი და მწერალი.)

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — როგორ არის საქმე, ამ რევოლუციონერს ყველაფერი უთხარ.

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — არა.

მ წ ე რ ა ლ ი — სულ არ იცის?

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — მე არ მითქვამს, მაგრამ იცის.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი და მ წ ე რ ა ლ ი — საიდან, საიდან გაიგო?

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი — გამჭირიანი კაცია.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (მწერალს) დავიღუბეთ. მე და შენ ყალბი საბუთები რომ შევადგინეთ სოციალისტებზე, ის თუ...

მ წ ე რ ა ლ ი — (სიტყვას წაართმევს) ოო, ის თუ არ გავანადგურეთ, ვიღუბებოთ. მერე სად არის?

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — ეგებ პოლკოვნიკთანაა. (აპირებენ წასვლას. შემოდის გენერალი. ცივად შეხვდებიან. გენერალი გარშემო მიმო-

იხედავს. **შეხვედრა იუცხოვა.)**

გენერალი — (მრისხანე ტონით) გამიმზადეთ ცნობა?!

ადიუტანტი — რომელი ცნობა?

გენერალი — (გაკვირვებულთ) ააა, არმიაში დეზერტირობის შესახებ.

მწერალი — ეს როდის მოითხოვეთ?

გენერალი — (მწერალზე) ეს ვინაა?

ადიუტანტი — (აწოდებს დეპეშას) პეტროგრადიდან დეპეშაა. ტვინი გადაგვიბრუნდა, ღმერთო ჩემო, აი, აი, დახედეთ.

გენერალი — (მრისხანე გამომეტყველებით უპასუხებს) ეს რას ჰგავს?!

ადიუტანტი — თქვენო მალ... აღ... კიდევ მოგაგონებთ. დეპეშას დააკვირდით.

გენერალი — რაო. ა? ეს რა წესრიგია!..

ადიუტანტი — მე მგონია, წესიერება არ დამირღვევია?

გამომძიებელი — რასაკვირველია.

გენერალი — (გამომძიებელს) თქვენც! (დაბნეული იხედება.) აააა, ყველა ავიწყდება მოვალეობა. გასწორდი!

ადიუტანტი — (მშვიდად მიიტანს დეპეშას და თვალწინ დაუდებს) პეტროგრადიდან გახლავთ.

გენერალი — (თანდათან მეტი ინტერესით კითხულობს, დროდადრო ამოიყვილებს) სახელმწიფოს... სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტი... დროებითი მთავრობა... (გარკვეულად კითხულობს.) პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების... საბჭო... (ჩაჯდება სავარძელში, დუმილის შემდეგ.) შეგობრებო!

გამომძიებელი — დიახ...

გენერალი — (უცბად) სად არის პოლკოვნიკი?

ადიუტანტი — ეს დეპეშა პოლკოვნიკს არ უნახავს.

მწერალი — (ვაუკაცური ხმით) ეს მნიშვნელოვანი ცნობებია. ჩემი აზრით, ეს დიდი ამბავია.

გენერალი — განაგრძეთ თქვენი მოვალეობის ასრულება! (აპირებს წასვლას. გამომძიებელს.) თქვენ კიდევ ჩემთან ერთად წამობრძანდით. (გენერალი და გამომძიებელი მიდიან. ადიუტანტი და მწერალი შეხედავენ ერთმანეთს.)

ადიუტანტი — ხომ დავიღუპეთ!

მწერალი — შენი ბრალია. შენ შეაღვინე სოციალისტებზე ის ყალბი საბუთები. მე მხოლოდ გადავწერე.

ადიუტანტი — იცოდეს ღმერთმა, რომ ბოროტი განზრახვით არ მიქნია.

მწერალი — ეს რა ეშმაკმა შემომავდო პატიოსანი სტუდენტი საიდუმლო განყოფილებაში და ისიც შენისთანაე უწმინდურთან, ტყუ...

ადიუტანტი — რა გქნა?!

მწერალი — (ფხვებს დაუბაკუნებს) გასასრესი ხარ!



ადიუტანტი — რა ვქნა, უნდა მოვძებნოთ, თორემ...
ნახეს?!

მწერალი — ოო, თუ ნახეს, მეც ხომ მომეცხება... ჰო, კარ-
გი, წამოდი... წამოდი... (ადიუტანტი და მწერალი მიდიან. კაბინე-
ტიდან გამოდის ყვარყვარე და ხელს უქნევს ფანჯარაში.)

ყვარყვარე — ბიჭებო, აქეთ, ბიჭებო! (კაკუტა და ქუჩარა
მოადგებიან ფანჯარას.)

კაკუტა — ხომ მოვნახეთ?!

ქუჩარა — (კაკუტას) ახლა მე მაცალე. (ყვარყვარეს.) რა
უყავი ის ჩვენი ნასისხლარი, ა? მიწაში რომ ჩახვიდე, არ მოგეშ-
ვები, ხომ იცი?!

ყვარყვარე — რა ცხვირში მეციოთ. ჯერ რა მომივიდა ამ
სატუსალოში, არ იკითხავთ?

ქუჩარა — სატუსალოში?

კაკუტა — (ქუჩარას) ახლა ხომ ხედავ, რო გითხრეს, გაკო-
ჭილი მიყავდათო.

ქუჩარა — რა დაგემართა?

ყვარყვარე — ახალთაობის კაცად მიცნეს, ხელმწიფის
მტრად გამომაცხადეს.

კაკუტა — (ქუჩარას) ეე, ხომ გესმის?

ქუჩარა — (ყვარყვარეს) მერე მაგისტრის თავზე ხელს დაგი-
სობენ?

ყვარყვარე — თავზე ხელს დამისობენ კი არა, კიდევ ჩა-
მომახრჩობენ. დავილუბე კაცი, ჩემს საფლავს პატრონი გიერც კი
მონახავს და ცოლით გიბარებთ, მამაჩემს, წყვიწყვის, ასე უთხა-
რით იმისთანა ვაჟაკი შვილს ნაცარქექია რომ შეარქვი-თქვა, ცოლი
არ ათხოვიე და კეტით გააფდე საშოვარში, ეს მოეწია-თქვა... ასე
გადაეციოთ, სახრჩობელაზე რომ ვაყავდათ, იქიდან შემოგიოთვალა,
ძალი ჩაგაკვდა მაგ სულში-თქვა.

კაკუტა — უჰ, საწყალი, დალუბულა!

ქუჩარა — (მღელვარედ) შე საწყალო, ა? ახლა... რისთვის
შეგზავდა ის შენ?

ყვარყვარე — (ამაყად) ახალთაობის საქმისათვის.

კაკუტა — რო არ იყავი შენ მაგისტანა კაცი?!

ყვარყვარე — (თოფნაკრავივით) როგორ არ ვიყავი! მაშ,
პოლიციას ვიძალეობდი და თქვენისთანა ენაყრანტალებს ვეტყობდი!
ქვეყანას რომ ეძინა, მე მამინ ვმუშაობდი.

ქუჩარა — სულ დაგიქვევია ოჯახი! აბა, ხელმწიფის დალა-
ტირა...

ყვარყვარე — ასეა, თქვენისთანა შეუუნებლებიდან მარ-
თლა რომ დავლუბულიყავი კაცი, გაკილვის მეტს რას მივიღებდი...
მაგრამ გამიცინა ბედმა, თქვენი ყბიდან ამოვედი, იღბალმა გამიჭრა,
რევოლუცია მოხდა და ხელმწიფე ტახტიდან გადააგდეს.

კაკუტა და ქუჩარა — (ერთად) ხელმწიფე გადააგდეს?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — კი.

ქ უ ჩ ა რ ა — ეს რა ამბავი დატრიალებულა?!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — თქვენ ის უნდა ნახოთ აწი, ხალხი რომ ხელისგულზე დამიჯენს ხვითოსავით.

კ ა კ უ ტ ა — (სიხარულისაგან იმანჭება) ეე, რა...

ქ უ ჩ ა რ ა — მთლად ბედნიერი კაცი ყოფილხარ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მარა რა... რა გემოს ვნახავ, ქვეყანას უნდა ვოქადაგო.

კ ა კ უ ტ ა და ქ უ ჩ ა რ ა — (ერთად) რა უნდა უქადაგო?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — სიმართლე.

ქ უ ჩ ა რ ა — (კაკუტას) ასეა, ხომ გესმის, სოციალისტები მართო იმას თვლიან სიმართლედ, რასაც თვითონ ამბობენ.

კ ა კ უ ტ ა — ვიცი. კიდევ ამბობენ, რომეო, ციხესო რკინის კარები არ უნდაო, სულ შუშაბანდები უნდა იყოსო.

ქ უ ჩ ა რ ა — (ყვარყვარეს) სიმართლეს რა ჯობია. მაგისტვის ხალხი მართლაც ხვითოსავით მოგეფერება.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მაშ, ტყუილა ვეწვალე! ხომ ხედავდით, დღე და დღე რომ პოლიცია მსდევდა.

კ ა კ უ ტ ა — როდის ვხედავდით!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (აჯავრებს) როდის ვხედავდით!

კ ა კ უ ტ ა — რა ვიცი...

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ხომ იცი, ჩვენ, სოციალისტები, ტყუილს რომ არ ვიტყვით.

ქ უ ჩ ა რ ა — კი.

კ ა კ უ ტ ა — კი.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მე ხომ გითხარით, პოლიცია, რომ მეძებდა.

კ ა კ უ ტ ა — კი.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჰოდა, ხომ კარგად იცით, რაც მე ხალხისთვის წვალება გადამხნდა?!

კ ა კ უ ტ ა — (ყოყმანით) კი.

ქ უ ჩ ა რ ა — კი, კაკუტა, ასე ყოფილა და...

კ ა კ უ ტ ა — რას იზამ...

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჰო, მართლა, თქვენ წისქვილში გამოივლიდით და იქ გულთამზე არ გინახავთ? (მოიხმის ყვირილი.)

ქ უ ჩ ა რ ა — დარაჯი გაგვირისხნდა, გავიკალოთ აქედან. (კაკუტა და ქუჩარა მიდიან.)

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — რა ყვირილია მანდ, ვინ ბედავს? (ათვალიერებს ნივთებს. გააღებს კაბინეტის კარს.) ამ სავარძლისთანა ძვირფასი მაინც ვერაფერი ვერ ვნახე, რა რბილი ჩაქაწოლია, არცაა აქ დასატოვებელი. (შედის კაბინეტში. ხმაურობაა. შემოდის გენერალი. გამომძიებელი, პოლკოვნიკი, ადიუტანტი და მწერალი.)

პოლკოვნიკი — როგორმე, ძალაუფლება ხელიდან არ გაუშვათ... სხვა არმეების ოფიცრობაც ასე შეგავშორდება და რეგულაციის ნაპერწკლებს ყველგან ჩააქრობენ.



გენერალი — ზოგადი სიტყვები მე არ მინდა. თქვენ მინდა რით, პირველ დონისიგებად რა ვისმართ ახლა, რა გავაკეთოთ?!

პოლკოვნიკი — უპირველეს ყოვლისა, აქ რომ რევოლუციონერი ზის, ახლავე ჩამოფახროთ...

გენერალი — ეს ადვილია.

პოლკოვნიკი — მერე, რევოლუციისზე კრინტი არავინ დაძრას!

გენერალი — ფოსტა-რადიოები რომ დაიწყებენ ღრიალს?

პოლკოვნიკი — ჯარში დავატრიალოთ ჭეშმარიტ რუსთა კავშირის აგენტები. (ადიუტანტს და მწერალს.) აქ თქვენც უნდა გაანძობოთ კუდი, ბიჭებო!

გამომძიებელი — მართალია, საქმე სულ ამათზეა, სიცოცხლე არ დაზოგოთ, თავი უნდა გასწიროთ.

ადიუტანტი და მწერალი — (ერთად) რაო? ჩვენ დავდვით თავი სასიკვდილოდ?!

გამომძიებელი — რასაკვირველია.

პოლკოვნიკი — დიახ, თქვენც, ჩვენც და ყველამ, ყველამ სულ ყველამ...

გენერალი — რასაკვირველია. (შემოდის ყვარყვარე. ყველანი მიიხედავენ.)

გენერალი — ეს ვინაა?

ადიუტანტი — (გადაუჩურჩულებს შიშით მოხელებს. ყველანი აწრიალდებიან)

ყვარყვარე — (მათი აწრიალების გამო თამამად წამოიჭიმება) რას აწრიალდით? ის თქვენი უფროსი რატომ არ მოვიდა ჩვენთან, ა?! რას იხვით უკან. თქვენ, როგორც გატყობთ, ჩემი არც გეშინათ!

ადიუტანტი — რას ბრძანებთ, როგორ არ გვეშინია.

ყვარყვარე — ო, თავს მაღლა წევთ, მაგრამ... ისეთ დღეს დაგაყენებთ, თვალებს დაგათხრეგინებთ!

ადიუტანტი — (მიუთითებს მწერალზე) მე და ეს კაცი არაფერ შუაში ვართ, ტყუილად კრინტიც არ დაგვიძრავს.

ყვარყვარე — ამას კი გავიგებ, ვის რა უთქვამს. ფაჩუნიც არ გამომეპარება, მაგრამ მაინც კარგად გამაგებინეთ, ვინაა ჩემი მტერი?!

მწერალი — (უთითებს გენერალზე და პოლკოვნიკზე) აი, ისინი.

ყვარყვარე — (შიშით) ვითომ რას მიპირებენ.

გენერალი — (პოლკოვნიკს) უნამუსოდ გავჭწირეს.

მწერალი — ბატონო რევოლუციონერო! მიიღეთ ჩემგან ეს სასიამოვნო ცნობა. (იღებს მაგიდიდან დეპეშას. ადიუტანტი თან მისდევს.) პეტროგრადში მოხდა..

პოლკოვნიკი — (გამოგლეჯს ქაღალდს) ხმა ჩაიწყვიტე!

გენერალი — (პოლკოვნიკს). ფრთხილად, ნუ გააბრაზებ,



ბატონო პოლკოვნიკო. ხელმწიფე თუ გადადგა, ჩვენ აქ არ შეგვიძლია.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (შეშინებული) ეს რა გამიბედეს, ჭკუით, ყვარყვარე თუთაბერო, მგონი რაღაცას გიპირებენ?

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (პოლკოვნიკს) ჩვენ ფონი გიძიოთ, ბატონო პოლკოვნიკო.

პო ლ კო ვ ნი კი — (მოტეხილად) მაშ, თქვენ თვითონ წაუკითხეთ. (აძლევს ქაღალდს გენერალს.)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (ყვარყვარეს მღელვარედ) მე მოგახსენებთ, ბატონო, იმას, რაც თქვენ არაოფიციალურად გაგივიათ... ბატონო, ჩვენ დიდ პატივს გცემთ, როგორც...

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — რა პატივს მცემთ, მაშ, რა იყო, წუხელის რომ ჭამი ჩამაჯდეთ?! (ადიუტანტს და მწერალს მიაქვთ სკამი ყვარყვარესთან).

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (სკამს ხელს მიახმარს) დაბრძანდით! (პოლკოვნიკს.) მართლაც ბნელია ის სარდაფი.

პო ლ კო ვ ნი კი — დიახ, დიახ, ურიგო იყო.

მ წ ე რ ა ლ ი — ბატონო რეკოლუციონერო...

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (გააწყვეტინებს მწერალს) შენ ნუ შეგვეჩინებ. (ყვარყვარეს.) იმპერატორი ნიკოლოზ მეორე გადადგა.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჰოდა, ასე მითხარი.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — შედგა სახელმწიფო სათათბიროს...

მ წ ე რ ა ლ ი — (სიტყვას წაართმევს) აღმასრულებელი კომიტეტი.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — მე დამაცადეთ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ყველა ნუ მელაპარაკებით. ნუ სხრიალობთ!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (აწვდის დეპეშას) აქ ყველაფერი წერია, აი, ინებეთ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (დახედავს დეპეშას) ვიცი... (დაკეცავს.)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ესეც წაკითხული გაქვთ?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მიწაში რაა, ის ვიცი.

პო ლ კო ვ ნი კი — (ჩამოიღებს კედლიდან ნიკოლოზის პორტრეტს) ეს, მართლაც, არ შეეფერებოდა რუსეთის ტახტს. (რეკავს ტელეფონი. ადიუტანტი მიდის ტელეფონთან, მაგრამ მწერალი ტლანქად გააგდებს.)

მ წ ე რ ა ლ ი — (ტელეფონით) ა? საყვედურს მივიღებთ დროებითი მთავრობისაგან?

გ ე ნ ე რ ა ლ ი და პო ლ კო ვ ნი კი — (ერთად) რაო? რაო?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (ამაყად იხედება დეპეშაში)

მ წ ე რ ა ლ ი — დავილუპეთ, ყველა კორპუსს უცვნია რეკლუცია. ჩვენ კი დავაგვიანეთ.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (გენერალს და პოლკოვნიკს) ეს სულ თქვენი ბრალია!

მ წ ე რ ა ლ ი — (ტელეფონით) ჩვენც ვზეიმობთ, ააა, არის,

როგორ არა. (ყვარყვარებს.) ჯარისათვის ორატორი იკითხეს, მკაცრად პასუხე; აქაა ცნობილი რევოლუციონერი-მეტეი.

ყვარყვარე — ჩემისთანა ორატორობა ვის შეუძლია, ხეს ავატირებ!

მწერალი — (ტელეფონით ეძახის) დღეს ჩვენ მოვისმენთ უუწყამებულესი კაცის მხურვალე სიტყვას.

ადიუტანტი — ო, რა იქნება თქვენი სიტყვა, ბატონო რევოლუციონერი, სწორედ თვალეხს აგვიხელს.

ყვარყვარე — ისეთ უბედურებას დავატრიალებ მე ახლა აქ, რომ ჭეჭას და ქუჩილს მოგანატრებთ!

ადიუტანტი — დამშვიდდით, ბატონო.

მწერალი — ერთი სიტყვა გკითხვარით.

ყვარყვარე — სიტყვა გინდათ? რა ღირსი ხართ, თორემ სულ წყალივით დილაპარაკებ. (ორატორულად.) გინც შრომობდა, მდიდარი ატყავებდა. იყვნენ ბრძენი, მაგრამ გათენდა. (მიმოიხედავს მრისხანედ). გადასახადებს აწესებდით, ჩემი სახრჩობელის წინ ღიბით ძირმომპალ ტახტზე. მაგრამ გაიმარჯვებს სიმართლე და ხალხი შურისძიებით და ხელებით, და ფრჩხილებით, და კბილებით, და... ტა... ტა... ტა...

ყველანი — (კანკალით) გული დაიმშვიდე, ავლელდით.

ყვარყვარე — უსამძირკვლო ჯალათებო, ციხის კედლები სულ დაიშხვრა, ახლა რას მიპასუხებთ, მტარვალეებო! (ჯარის იქით მოისმის ხმაური.)

ყვარყვარე — (შეშინებული) რა ამბავია?!

მწერალი — რევოლუციის ამბავი გაიგეს, დეპეშის წაკითხვას მოიხილვენ.

ყვარყვარე — წაუკითხეთ!

ადიუტანტი — (ხწრაფად აწოდებს მწერალს დეპეშას)

მწერალი — (გადასცემს კარში) კედელზე გააკარით!

ყვარყვარე — (გენერალს და პოლკოვნიკს) შემომხედეთ, მოპასუხენო! (გარედან მოისმის მარხელიოჯის ხმა.)

გენერალი და პოლკოვნიკი — (ხელს აუღებენ) გემორჩილებით. (შემოდიან კაკუტა და ქუჩარა.)

ყვარყვარე — (მოხელებს) თქვენ გინდოდათ ჩემი ჩამოხრჩობა!

კაკუტა — რა, ჩამოხრჩობაო, ხვითოსავით გიძებენ.

ქუჩარა — ვის უნდოდა შენი ჩამოხრჩობა? ქვეყანა კარში შენს ჭირს ნატრობს.

ყვარყვარე — ამ ღათის გლახებს ვერ ხედავ, რას ბედავენ?! (შემოდიან ჯარისკაცები.)

პირველი ჯარისკაცი — მოგვიცით რევოლუციონერი.

ყვარყვარე — (შეშინებული) რატომ? რას მიმართლებით?!

პირველი ჯარისკაცი — სიტყვა გვითხრას!

ყვარყვარე — (ღიმილით) კი, გეტყვით.



მეორე ჯარისკაცი — (მესამეს) განა ეს არის, ჩვენს პაროკლამაციები გადმოგვცა? ეს არის!

მესამე ჯარისკაცი — სად არის ის რევოლუციონერი, აქ რომ პატიმრად გყოლიათ? ეს სხვაა, ის კაცი რა უყავით?

მწერალი — (ჯარისკაცებს) პატიმარი სხვა არა გყავს.

ადიუტანტი — (ჯარისკაცებს) წისქვილში ეს დაიჭირეს.

ყვარყვარე — მე ვარ დაპატიმრებული, ვერ მხედავთ?

მეორე ჯარისკაცი — ეს არის, ალბათ, ეს მისი ნამდვილი სახეა, მაშინ კი გრიმი ჰქონდა.

მესამე ჯარისკაცი — ოო, მეც იმიტომ გამიკვირდა, რა დიდი გონიერი მოღვაწე ყოფილა!

პირველი ჯარისკაცი — (დგება კარებში და იძახის) მე გავათავისუფლე სატუსალოდან რევოლუციონერი!

მეორე ჯარისკაცი — (კარში იძახის) რევოლუციონერი მოდის!

გარედან მოისმის აპლოდისმენტები. შემორბის რამდენიმე ჯარისკაცი.

მეოთხე ჯარისკაცი — ხალხი მოუთმენლად გელის! კაკუტა, ქუჩარა და შემოსული ჯარისკაცები აიტაცებენ ყვარყვარეს ჰაერში.

ადიუტანტი — (მწერალს) რაკი მოვიმადლიერეთ, ნუ მოგშორდებით.

ყვარყვარე — (კაცების მხრებზე ამაყად ზის. ათითებს მოხელებზე) ეს დამნაშავენი არ გაუშვათ!

ყველანი — არ გაუშვათ!

კარში მხრებზე მჯდარ ყვარყვარეს გამოჩენა იწვევს აღტაცებას. გარედან მოისმის ტაში და მარსელიოზა.

ყვარყვარე — ხომ გესმით, კაკუტა და ქუჩარა, ყურები კარგად გამოიფხიკეთ!

მოქმედება მესამე

ღრობითი მთავრობის ამიერკავკასიის რწმუნებულის კაბინეტი. რწმუნებულის ზის მაგიდასთან. შემოდის შიკრიკი.

შიკრიკი — მაზრიდან გახლავთ ერთი კაცი.

რწმუნებულის — არ მცალია.

შიკრიკი — კი, ბატონო, მაგრამ ხალხი ამბობს, როგორ არ სცალიაო, მეფის მთავრობა ხომ არ არისო... მეც მლანძღავენ, ვისი ტიკი-ტომარა ხარ მაგ კარზეო. რევოლუცია მოხდაო.

რწმუნებულის — ჰოდა, შენც ნუ აყვები მათ ლაპარაკს.

შიკრიკი — არ იცი, ბატონო, რა დღეში ვარ? გუშინ ერთმა ბლენძიანმა მუქარა წამოიწყო! მართლაც უნდა შემოვიდნენ ის ბოლშევიკები და ერთი კარგად გაგატყაონო. მე ვუთხარი, ბოლშევიკები მე თუ ტყავს გამაძრობენ, ძვალის მეტი რა შერჩებათ, შენ

კი ხუთი მტკავრილი ქონი გაქვს და უფროთხილდი-მეთქი.
რწმუნებულნი — დამასვენე, გული ნუ გააწყალე!
შეკრიკი — კი, ბატონო, მაგრამ ის რომ არ მომეშვება!
რწმუნებულნი — ვინ არის?
შეკრიკი — რა ვიცი, მაზრის კომისარია, გვარად ნატუტა-
რი ვარო.
რწმუნებულნი — აა, ტიტე ნატუტარი იქნება, ძველი მე-
გობარია. შემოვიდეს! (შეკრიკი მიდის, შემოდის მაზრის კომისარი
ტიტე ნატუტარი.)
ტიტე — სალამი, ბატონო, მადლობა ღმერთს, რომ მოვალწიე.
რწმუნებულნი — დაბრძანდით.
ტიტე — არა... (იხედება უკან.)
რწმუნებულნი — მოგყავთ ვინმე? უკან რად იხედებით?!
ტიტე — აქ რომ შემოვიდიოდი, სასახლის წინ ბოლშევიკები
იკრიბებოდნენ.
რწმუნებულნი — არა უშავს, თქვენი მაზრის ამბავი მო-
მიყვით.
ტიტე — ჯერ აქაური ამბავი გამაგებინეთ.
რწმუნებულნი — მი მოხსენებას ვუკეთებ დროებით მთა-
ვრობას და არა მაზრის კომისარებს.
ტიტე — (ნერვულად) აქაც ცუდად გქონიათ საქმე, ისე ვა-
ტყობ.
რწმუნებულნი — ეს მე ვიცი.
ტიტე — მაშ, ლაპარაკიც არ ღირს. (ამოიღებს უბიდან ქა-
ლალს.) ჩაიბარეთ მანდატი და გამიშვით.
რწმუნებულნი — რას მაძლიერ?
ტიტე — თქვენი მოცემული მანდატია.
რწმუნებულნი — ეს ქალალდის წაფლეთია, მე კი თქვენ
მაზრა ჩაგაბარეთ.
ტიტე — იმ მაზრას ბოლშევიკები დაეუფლნენ.
რწმუნებულნი — ოო, მაშ, ასე კარგად უპატრონეთ?!
ტიტე — რაო, მე ვერ მიპატრონებია?!
რწმუნებულნი — მაშ!
ტიტე — როგორ, ა. ვინ არის ამ მაზრეში ჩემოდენა თეორე-
ტიკოსი, ვინც ვინდა, მეკამათოს!
რწმუნებულნი — ცოდნას მოხმარა უნდა.
ტიტე — განა არ შეიძლება გამოთქვენებინა ჩემი ცოდნა?..
მაგრამ არ მოხერხდა, ხალხი არ გამომადგა. ეჰ, წინათ სიტყვა ღალ-
ხი ჩემთვის წმიდათაწმიდა იყო, ახლა კი, ვფიქრობ, როგორც პოე-
ტების დახატული ქალი არ იპოვება ბუნებაში, ისე არ არსებობს
ხალხი იმ სახით, როგორც ჩვენი პოლიტიკური მოთვალევები გვას-
წავლიდნენ... დიახ, ასეა, მეგობარო. მე ხალხისათვის რა არ ჩავი-
ლინე, იმდენი ვოქადავე, რომ ტვინი ამიღულდა, მაგრამ ეს ათასთა-
ვიანი დევი მაინც გაბოლშევიკდა. დაბოლოს, ფარული ბილიკები

რომ არ მეპოვა, მაზრიდან ტყავს ვერ მოვიტანდი... დიას, თქვენს გულისთვის მე ამდენი ცეცხლი გამოვიარე. თქვენ კი რა მომეცით, ეს მანდატი, რომელსაც თვითონვე ქალაქის ნაფლეთს უწოდებთ?!

რწმუნებულნი — როდესაც მე თქვენ მაზრაში გაგზავნით, იქ ბოლშევიკების ქაჭანიც არ ყოფილა.

ტიტი — მერე კი, როცა გაჩნდნენ, ამ ქალაქის ამარა მიმატოვეთ. აი, აი, ჩაიბარეთ, ჩაიბარეთ მანდატი!

რწმუნებულნი — მოითმინეთ ბატონო ტიტე ნატუტარო, ჩვენი მდგომარეობა გამოკეთდა და ახლა გარბინართ?

ტიტი — არა, არა, მდგომარეობას ძალა უნდა.

რწმუნებულნი — ძალა გვაქვს.

ტიტი — საიდან?

რწმუნებულნი — დაბრძანდით, ბატონო ტიტე ნატუტარო, მოგახსენებთ, დაბრძანდით.

ტიტი — (დაჯლომას ვერ ბედავს) არა, ისედაც დიდხანს შეგრჩი.

რწმუნებულნი — შენ ხომ იცი, რომ ოსმალეთის ფრონტიდან ჩვენი ჯარი გამორბდეს?

ტიტი — უბედურებაც ეგ არის; გაბოლშევიკდნენ.

რწმუნებულნი — გუშინ ქალაქს ფრონტიდან დიდი ჯარი მოადგა. ხალხი შეშინდა და განაპირა უბნებში დუქნის დარაბები დახურეს. ჩვენმა ოფიცრებმა არსენალიდან შიშით ზარბაზანი გაისროლეს... მაგრამ ეს ფრონტელები ქალაქგარეთ მშვიდობიანად დაბანაკდნენ და ბოლოს აღმოჩნდა, რომ სასტიკი დისციპლინა ჰქონიათ.

ტიტი — ღმერთო ჩემო, ასეთი ჯარი დღეს სად არის!

რწმუნებულნი — იმათ ჰყოლიათ ყვარყვარე თუთაბერი, რასაც ის იტყვის კანონია. მთელი ჯარი მის ბრძანებას ემორჩილება.

ტიტი — მერე, მერე... ის ყვარყვარე თუთაბერი რა ჰკუთხება?

რწმუნებულნი — დროებითი მთავრობა იცნო.

ტიტი — (ჯდება) როგორ?!

რწმუნებულნი — პირველად ჩვენ მას დავემუქრეთ, დელეგაცია გაუგზავნით... მაგრამ აღმოჩნდა, რომ დროებითი მთავრობის ერთგულია.

ტიტი — არა, ასეთ პირობებში მეც თქვენთან ვარ.

რწმუნებულნი — მას ჰყავს ათი ათასი ჯარისკაცი.

ტიტი — ათი ათასი?!

რწმუნებულნი — სულ შეიარაღებულია თავით ფეხებამდე.

ტიტი — თო, ეს სულ სხვა საქმეა! (ჯარი გაიღება, გამოჩნდება ორი ჯარისკაცი — ყარაულები.)

პირველი ჯარისკაცი — დავილაღეთ, ბატონო.

მეორე ჯარისკაცი — ფეხზე ჩამოვწყდით!

რწმუნებულნი — მოითმინეთ და გამოგცვლიან. წელანაც დავურეკე, დამაცადეთ!

პირველი ჯარისკაცი — (მეორეს) ეს არის, ბიჭო, ვისუფლებათ?

მეორე ჯარისკაცი — ვირები გვნახა, რაღა!

რწმუნებულო — გასწორდით, ნუ იქეძებით. თქვენ მანდ ძალაუფლების სიმბოლო ხართ.

პირველი ჯარისკაცი — (გალიზიანებული) რა ვართ?

მეორე ჯარისკაცი — ჩვენც შენსავით სისხლი და ხორცი გვაქვს, რა გგონია, თუ თავისუფლებამ მარტო შენთვის დაარტყა ბარი?..

პირველი ჯარისკაცი — მანდ ოფოფივით რომ წამოიჭდარხარ.

რწმუნებულო — კარგი, მოწყდით აქედან, გამეცალეთ! (ჯარისკაცები ყოჩაღად გადიან.)

ტიტი — (ავარდება, ამოიღებს მანდატს) არა, არა, ჩაიბარეთ ეს მანდატი, გამიშვით!

რწმუნებულო — ეჰე, გარბიხართ?

ტიტი — მი ჩემი გზა მაქვს.

რწმუნებულო — საკვირველი კაცი ბრძანდები, ნატუტარო, დღეს ბაღლინჯოც კი სხვაგან არ იქყლეტს თავს, თუ არა ისტორიის ფურცლებზე და ამ დროს შენ სულ უსახელოდ იღუპები?

ტიტი — მი ვიდუპები?!

რწმუნებულო — მაშ, როგორ ფიქრობ. აბა, ერთი დამაკვირდი. ხომ ხედავ, წილებზე ფიხს ვიდგამ და სახელმწიფო საქვს მაინც ხელიდან არ ვუშვებ. რატომ?! შენა გგონია, ქვეყანას თავსა ვწირავ? არა, როდესაც წარღვნა მოდის და სიბრძნეები წყლით ივსება, ჭკვიანი ვიროთხა მაშინ მალაღმწევრვლებს ეძებს... (ქუჩიდან მოისმის თოფის სროლა. ხმაურობა.)

ტიტი — ეჰე, მგონია, ახლა კი აგვიღეს.

რწმუნებულო — (ფრთხილად იცქირება ფანჯარაში. სინარულით) ბოლშევიკების მიტინგი დაიშალა.

ტიტი — (გაკვირვებული) აა? (იხედება ფანჯარაში.)

რწმუნებულო — გულიანად დაუბრუნეს ბოლშევიკებს, ხედავ, ხედავ, გარეკის.

ტიტი — ეს კინა ქნა?!

რწმუნებულო — ავი ვთქვი, რომ ახალი ჯარი შემოვიდა.

ტიტი — მაშ, მთლად უძლური არ ვყოფილვართ?!

მდივნის ხმა — ეს დედაკაცი არ გაუშვას!

რწმუნებულო — ჩემი მდივნის ხმაა, ვილაცას ემუქრება, ალბათ კარგი ამბავი მოაქვს. (შემოდის მდივანი.)

მდივანი — (კარიდან) ჩვენ ახალ გმირს, ბატონო რწმუნებულო, ერთი სისუსტი აქვს.

რწმუნებულო — ვის?

მდივანი — ყვარყვარე თუთაბერს.

რწმუნებულო — რა მოხდა, გვიღალატა?



მ დ ი ვ ა ნ ი — არა, ბოლშევიკი ქალი უყვარს და თუ მის ქმარზე გადავიდა, კორიანტელი ამ ქალაქში მაშინ დატრიალდებოდა...

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — ბატონებო, ჩვენ ხელისუფლება ვართ, მაგრამ არც ფრონტი გვემორჩილება და არც ადგილობრივი რაზმები გვეცნობს... მაგრამ ბედმა გამოგვიგზავნა გმირი ათი ათასი კაცი და ვეცადოთ, ხელიდან არ გავუშვათ. (მდივანს.) ჩვენზეა, რაც უნარს გამოვიჩინებ, წადი, მონახე და შეატყობინე, რომ ის დაინიშნება მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალების უფროსად, მას ძალაუფლება ქალზე უფრო მოხიბლავს.

მ დ ი ვ ა ნ ი — არა, ეს საქმე მე უკეთესად გავაკეთებ.

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — როგორ?!

მ დ ი ვ ა ნ ი — თქვენ აქედან ბოლშევიკების მიტინგი დაინახეთ?!

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — კი! ვინ დაშალა ის მიტინგი?!

მ დ ი ვ ა ნ ი — ადგილობრივი სოციალისტების რაზმებმა.

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — ყველაფერს ისინი აკეთებენ. მაშ, მე რა ვარ, ერთი გამაგებინეთ?!

მ დ ი ვ ა ნ ი — მიტინგის გარეკვის დროს მენშევიკებმა იარაღი იხმარეს და ბოლშევიკები ამაზე პროტესტს გვიცხადებენ. აი, აქ დავტრიალდი და ვთქვი, თითქოს დროებითი მთავრობის რწმუნებული მზადაა მიიღოს ბოლშევიკების დელეგატი. ბოლოს ის ქალი დავარწმუნე, თითქოს მოვუსმენდით და რამდენიმე ამხანაგს გაგუთავისუფლებდით. ის დაპირებამ გააბრუა და ამ კართან მომყვა.

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — მერე სად არის? დამანახე, შემოიყვანე!

მ დ ი ვ ა ნ ი — ხომ იცით, რა უნდა ქნათ?!

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — დიახ, ციხეში გადაგვზავნოთ.

მ დ ი ვ ა ნ ი — ოღონდ საიდუმლოდ დარჩეს ეს საქმე. (მდივანს მიდის.)

ტ ი ტ ე — აჰ თქვენს მდივანს თავში ჭკუა ჰქონია.

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — ოო, ძალიან მოხერხებულია.

ტ ი ტ ე — ახლა მითხარით. იმ ჯარების უფროსი აქ წესრიგს მართლა დაამყარებს?

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — რასაკვირველია.

ტ ი ტ ე — მაშ, მერწმუნეთ, იმ კაცის სახით მოდის ჩვენი დროის ნაპოლეონი. (შემოდის მდივანი და შემოჰყავს გულთამზე.)

მ დ ი ვ ა ნ ი — ეს ის ქალია, ვიხედაც გესაუბრეთ.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — აქ უზენაესი ძალაუფლების წარმომადგენელი ვინ ბრძანდება?

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — უზენაესი ძალაუფლება ეკუთვნის მომავალ დამფუძნებელ კრებას, ხოლო მის შეკრებამდე ქვეყანას განაგებს დროებითი მთავრობა, რომლის რწმუნებული მე გახლავართ.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — მერე თქვენ მომავალმა კრებამ რა მოგანდოთ, ბატონო რწმუნებულო, რეკოლუციის გაღრმავება და სისხ-

ლით მოპოვებულ თავისუფლების დაცვა თუ მშვიდობიანი კრების დახვედრა?!!

რწმუნებული — ძალიან თავხედად ლაპარაკობთ!

გულთამზე — არა, მე მინდა გავიგო, მენშევიკებმა დროებითი მთავრობის ნება აღასრულეს, თუ თვითნებურად ჩაიდინეს ბოროტმოქმედება?!

რწმუნებული — ჩვენ მენშევიკებისათვის ნება არ მიგვიცია, რომ კრება დაეხვედრათ, მაგრამ, არც პასუხს მოვთხოვთ.

გულთამზე — მაშ, გამოაცხადეთ, რომ მთავრობა არ არსებობს და მშრომელი ხალხი, რომელმაც ეს რევოლუცია მოახდინა, შეძლებს მთავრობა შეადგინოს.

ტიტი — ეს რა აღქაჯი ყოფილა! მე საზოგადოდ სიკვდილით დასჯის მომხრე არ ვარ... მაგრამ ეს ქალი რომ დახვედრათ, უარს არ გეტყვით. (შემოდის შიკრიკი.)

შიკრიკი — ვილაცა, ბატონო, დიდი რიხით მოითხოვს თქვენს ნახვას.

რწმუნებული — (გულთამზეს) წამობრძანდით იმ ოთახში, ლაპარაკი იქ დაეასრულოთ.

გულთამზე — არა, აქ, კართან მიცდიან სხვა ამხანაგები. (მდივანი და რწმუნებული გულთამზეს ხელს სტაცებენ.) ეს უხეში ძალადობაა. (მდივანს.) თქვენ შემპირდით, რომ მეგობრებს გამითავისუფლებდით... იცოდეთ, პასუხს აგებთ...

მდივანი — ვისთან?

გულთამზე — მასთან, ვისი უფლებაც მოდის! ხელი გამიშვით, ვერაგებო! არამზადებო! (გულთამზე მიჰყავთ, სცენაზე რჩება შიკრიკი, აპირებს წასვლას და გააღებს კარს, მაგრამ მორიდებით შეჩერდება. გამოჩნდება ყვარყვარი.)

ყვარყვარი — (შიკრიკს) კარი ფართოდ გააღე, ხომ ხედავ, ხალხი მომყვება (შემოდის, იძახის კარისაკენ.) კაკუტა და ქუჩარა, ნუ გწყდებათ ფეხები, თორემ თქვენი მოთრგუნვა მაინც შემიძლია.

შემოდინა ყოყმანით კაკუტა და ქუჩარა თოფ-ფარაჯით.

ყვარყვარი — (შიკრიკს) სადაა ის ხალხი?

შიკრიკი — გასულა, მოვახსენებ, ბატონო. (მიდის კაბინეტისაკენ.)

ყვარყვარი — (კაკუტას და ქუჩარას) რატომ ჩამოგიშვიათ ეს ცხვირები? ცოტა სარგებლობა გაქვთ ჩემგან?!

კაკუტა — რა სარგებლობა, აქ მთავრობის ხელში კი გვყრი და...

ყვარყვარი — მაშ, სულ იალღზე უნდა იართო, ვირისთავებო?! კმარა, რაც გზადგაზა ხალხი ძარცვით. აქ ქალაქია, მთავრობაა. ხომ ხედავთ, რამოდენა ყელები აქვთ ზარბაზნებს გადმოწეული. წუხელის რომ იმ ზარბაზნმა იგრიალა, მაშინ ხომ ყველამ მუცელში ჩაივდით ენა. იმის მერე გახდით ასეთი ვაჟკაცები?!!

ქუჩარა — რა ვიცი, ის ზარბაზანი, ამბობენ, პროვოკაცია

იყო.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — რას მიუბნები, შე სულელო, რა იყო პრო-
გოკაცია?!

ქ უ ჩ ა რ ა — ასე ამბობენ, თორემ, მე არც კი ვიცი, რაა პრო-
გოკაცია.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჰოდა, რაც არ ვიცი, იმას არ ვიტყვი.

ქ უ ჩ ა რ ა — აქ აგვიწერავენ, დაგვიწერავენ და სულ ძმარს გა-
მოგვადენენ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მოლაპარაკება მაქვს, ყვარყვარი თუთაბე-
რი ბრძად არავის ჩაუღარდება.

კ ა კ უ ტ ა — მთავრობას დონე სულ არა აქვსო.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ვინ ამბობს?!

ქ უ ჩ ა რ ა — ჩემი მარჯვენა ცხონდა, არ აგეტება აყალმაყა-
ლი იმ ჩვენს ჯარში, ის ჯობდა.

კ ა კ უ ტ ა — ოო, კარგი კედელი იყო.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — რა ამეტება, ჩემი პატივისცემა იქ ერთ
დღეში დაკარგეს.

ქ უ ჩ ა რ ა — ღმერთობა მოინდომე და!..

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მაშ, სულ თავით ნიორს ვუნაყავდი? როდეს-
საც ფრონტზე მტერი თოფ-ზარბაზნით მოგვადგა და ჯარს შეგძახე:
აბა, ბიჭებო, აქედან გავიქცეთ, თათრებს თავი არ მოგაკვლევინოთ-
მეთქი, მაშინ ხომ მოსწონდათ ჩემი მოხერხება. მერე გზაში რომ
წვრილ-წვრილი ყაჩაღები დაგვხვდა და იარაღის წართმევა დაგვი-
პირეს, ხომ არ დაივანებე და ჩემს ჯარს გაგამარჯვებინე. საკვები რომ
შემოგველია, სულ განკარგულებას ვაძლევდი გზადაგზა, სოფლიდან
ჯოჯი გამოიჩრეკათ და მაგ ვირებს ღმერთივით ჩაეუდგი სული. იმო-
დენა ჯარს სულ თვალში შეგვქეპროდი და რასაც მოისურვებდა,
სულ იმას ვასრულებდინებდი, მაშინ ხომ დიდ რევოლუციონერად
მთვლიდნენ.

კ ა კ უ ტ ა — ო, დაგაფასებდნენ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — აქ კი, ამაგი სულ წყალში გადამიყარეს.

ქ უ ჩ ა რ ა — აქ ბოლშევიკებმა იქადაგეს, რომ ეს მთავრობა
ლარის ნებას არ აძლევს, მდიდარი გაძარცვოსო. მთავრობა აგინეს,
შენ კი მთავრობის შეგეშინდა. რატომ შეგეშინდა, აი, სულ ამაზე
გაიცივს გული.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ვის? მე შემიშინდა?

ქ უ ჩ ა რ ა — სულ თავი რომ დიდად მოგაქვს, აქ ენის მასა-
ლით სხვამ გაჯობა. იმათ ენა გასარსალეზული აქვთ, სულ ლექსი-
ვით ლაპარაკობენ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ვინ? ეგება თქვენ მართლა გგონიათ, რომ
მე ვინმემ მაჯობა!.. არა უშავს, ერთი აქედან კარვად გადავუჭირო.
(მღელვარედ.) რომ ამოვდებ ყველას ლაგამს პირში და დავაჩოქებ,
მაშინ იცნობენ ყვარყვარი თუთაბერს, ამ მუხლებზე აკოცებენ.

შემოდინ რწმუნებული, მდივანი, კომისარი — ტიტე ნატუტა-

რი. ყველანი სწრაფად ხურავენ კარს, სადაც გულთამზეს ამწყვეტენ. მდივანი თვალს მოჰკრავს ყვარყვარეს.

მდივანი — (რწმუნებულს ყვარყვარეზე) მოსულა (ყველა შეხედავს ყვარყვარეს, მდივანი ჩამოართმევს ხელს ყვარყვარეს.) მაქვს ბედნიერება გაცნობო, ბატონო რწმუნებულო, რომ დღეს ამ კაცთან ერთად ჩვენ მივიღეთ დიდი ლაშქარი.

რწმუნებულო — (ჩამოართმევს ხელს ყვარყვარეს) ძალიან სასიამოვნოა. თქვენ დროზე მოეშველეთ მთავრობას.

ყვარყვარე — ქვეყანამ იცის, ბატონო, ჩემი ვაჟკაცობა, რამდენჯერ სახრჩობელას გადავურჩი. რევოლუციამ სწორედ ყელზე მომხსნა თოკი, მარა უარესში კი ჩამაბა. ჯერ ფრონტზე იმდენ ჯარს პატრონობა გავუწიე, რევოლუცია და ჩემი თავი გავაცანი, მერე იქიდან აქამდე ვატარე გზაზე — უგზურზე და ხალხი უკლებლად მოვიყვანი. ეს ყველაფერი ერთმა კაცმა ვქენი... მაგრამ, რისთვის გადავიტანე ამდენი შრომა და გაჭირვება? სულ იმისათვის, რომ თქვენ, როგორც ბედნიერ მთავრობას, სამსახური გავიწიოთ, თუკი დამიზადლებთ. (კაკუტას და ქუჩარას.) თქვენ ენა გააქვავით!

რწმუნებულო — (თავისიანებს) მორჩილებით სავსე სიტყვა წარმოთქვა. (ყვარყვარეს.) თქვენისთანა გმირს საკადრისად ისტორია დააფასებს. თუმცა არც ჩვენ მოგაკლებთ პატივისცემას, თუ ერთგულებას გამოიჩენთ.

ყვარყვარე — პატივისცემაც არის და პატივისცემაც. მე უნდა მოგახსენოთ, რომ პატარა მოწყალებსათვის კაცს თავს ვერ დავუკრავ.

რწმუნებულო — თქვენ დანიშნული ხართ მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალების უფროსად.

კაკუტა და ქუჩარა — ოოო!!!

რწმუნებულო — და თქვენს განკარგულებაშია ის ათი ათასი კაცი, რომელიც ფრონტიდან მოიყვანეთ. ეს ძალა ჩვენთვის ჯერჯერობით საკმაოა, ოღონდ, საქმე ისაა, მუხრუჭი მაგრად მოუჭირეთ, შიგ ბოლშევიკი არ შეეღმვათ.

ყვარყვარე — ოო, ეს იყო ჩემი ნატვრა. (კაკუტა და ქუჩარას.) ხომ გესმით?

რწმუნებულო — ნატვრა? განა ის ჯარი არ გყავთ ხელში გამოჭერილი?

ყვარყვარე — (სიხარულით) ეს რა კარგი მითხარით, ზარბაზნის ტყვიები ხომ ბლომად გაქვთ!

რწმუნებულო — რამდენიც გინდათ, ჩვენ გვაკლია მხოლოდ ერთგული ხალხი.

ყვარყვარე — იმ თქვენს ზარბაზნებს ყელებს სულ არ გავუციებ... სულ დღე და ღამე ვაგრილებ. სანამდე ბოლშევიკებს არ მოვსპობ და მთელ ხალხს არ დავაჩოქებ... მანამდე ჩემი მოსვენება არ იქნება. ხომ გესმით?! ოღონდ ხელი უნდა შემიწყოთ და მაცალოთ. (საერთო აღტაცება.)



ტიტი — (მღელვარედ) მე ახლა სხვა კაცი ვარ ამის გვირდობით.
რწმუნებული — დღეს რწმუნებულთა არაჩვეულებრივად
 სხდომაზე მიმდინარე საკითხებს განვიხილავთ და რამდენიმე დავა-
 ლებას მოგვცემთ.

შემოდის შიკრიკი პაკეტით.

შიკრიკი — გარეთ ჯარისკაცები აყაყანდნენ, ბატონო. იმ
 ჩვენ დღეგატ ქალს ვუცდით, ხომ არ დავიტუსაღებიათო.

რწმუნებული — იმ ქალს... სატუსალოში გავგზავნი...
 გადაეცით, რომ აწი დღეგატობია გათავდა.

შიკრიკი — კი, ბატონო, ეს პაკეტიც მიიღეთ.

რწმუნებული — (გამოართმევს პაკეტს და ხსნის) დიახ,
 ასე გადაეცე.

შიკრიკი — კი, ბატონო, ოღონც, ოღონც... ჯარისკაცები
 კარს არ შორდებიან. (შიკრიკი მიდის, რწმუნებული ხსნის პაკეტს
 და კითხულობს.)

რწმუნებული — ამიერკავკასიის ყველა სოციალისტური
 პარტიის შეერთებული სხდომაა. (მიიღებს თავზე ხელს.) ახლა იქ
 ისეთი რთული საკითხებია... (გადაწყვეტილად ყვარყვარებს.) ჩემს
 მოსვლამდის მდგომარეობას ვაგაცნობთ ჩემი მდივანი და აგრეთვე
 (ტიტი ნატუტარზე.) ეს მეგობარი. (გაიხმობს კუთხეში მდივანს და
 ჩუმად ეუბნება.) რაც შეიძლება კარგი მხრით გააცანი ჩვენი მდგო-
 მარეობა, ორივე ფეხით ჩავითრიოთ. (კარზე ურტყამს გულთამზე).

ტიტი — ის ქალია რომ ურტყამს კარს?

რწმუნებული — ნუ გეშინიათ. (ყვარყვარებს.) დიდხანს
 არ გალოდინებთ, ნახვამდის. (მიდის.)

ტიტი — (ყვარყვარებს) მე მოვახსენებთ, რა დიდი მომაკალი
 აქვს თქვენს ფარ-ხმალს ქვეყანაზე.

მდივანი — მე ამ მასალებით დაგიმტკიცებთ, რამდენად
 მტკიცეა დროებითი მთავრობის მდგომარეობა... თქვენ რა უფრო
 გაინტერესებთ, საგარეო პოლიტიკა, თუ შინაური.

ყვარყვარი — საგარეოც ვიცი და შინაურიც.

მდივანი — (შლის და აწყობს ქალაღლებს) ჩვენ გაზეთებში
 ყველაფერს არ ვაქვეყნებთ.

ყვარყვარი — (მტკიცედ) ვიცი.

მდივანი — (მოაქვს ქალაღლები) კარგადაა ჩვენი საქმი ად-
 გილებზე და ცენტრშიც... არც ფრონტზეა ცუდი ამბავი. (დაუღებს
 წინ ქალაღლებს.) აი, წაიკითხეთ. (ფანჯარას მოხვდება ქვა.)

მდივანი — (აღშფოთებული) ხედავ, ამ დიუბურტირებს, რას
 ბედავენ.

ყვარყვარი — (წაუკითხავად, რიხიანად ფურცლავს ქა-
 ლაღლებს.)

მდივანი — წაიკითხე.

ყვარყვარი — რაო?

მდივანი — ჩაუკვირდი.

ყვარყვარე — (გალიზიანებული) ამდენ ქალაქებს რა მკითხვებს?

ტიტე — (მდივანს) ნუ აწუხებ.

მდივანი — მე ყოველ ცნობაზე მოგცემთ ახსნა-განმარტებას.

ყვარყვარე — რად მინდა შენი ახსნა, მე ჭურში კი არ ვზივარ! კარგად ვხედავ, რაც ხდება ქვეყანაზე!

მდივანი — (ტიტეს ჩუმად) ძალიან გამჭირახია, ტყუილების სათქმელად პირი არც კი დამალებინა. (კვლავ მოხვედება ფანჯარას ქვა.)

ყვარყვარე — ეს რა ამბავია?!

მდივანი — ჯარისკაცებია, არ იციან, თქვენ თუ აქ ზიხართ.

ყვარყვარე — ისეთ საქმეს ვუზამდღეს იმათ, რომ სოროში ჩაძვრებთან. (კიდევ მოხვედება ქვა. ყვარყვარე შეკრთება.) კაკუტა და ქუჩარა, გადით კარში და კარგად მიიხედ-მოიხედეთ. (კაკუტა და ქუჩარა მიდიან.)

ტიტე — (აღტაცებით) ოო, ასე, კარგია ძალა. (ყვარყვარეს მდივანზე.) მას თქვენისთანა პიროვნებასთან მუსაიფის შნო არა აქვს, მე კი, ბუნებით თვითონაც სარდალი ვარ. მხოლოდ, ტყუილად სხვებს აყვავი და შეუფერებლად შევიჭერი ფილოსოფიაში.

ყვარყვარე — მერე რა ქენი, რომ შეიჭერი.

ტიტე — რა უნდა ქნას ჩრჩილიან წიგნებში იმან, ვინც სარდალად გაჩენილა... თუმცა დღეს ყველა გმირი სოროშია ჩამძვრალი, მარტო თქვენა გყავთ ჯარი... თქვენ, ერთადერთი სარდალი იქნებით და მე თქვენს დაპყრობილ ქვეყანაში წესიერებას დაგამყარებ.

ყვარყვარე — (ამაყად მიმოიხედავს) არავის გესმით? (ტიტეს.) აი, მართლაც სასიამოვნო ლაპარაკი გცოდნია.

ტიტე — დიახ, დიახ, მაქვს თქვენთან საერთო... ახლა იცით, მე თქვენ დიდი საიდუმლო უნდა აგიხსნათ.

ყვარყვარე — აბა, ჩქარა, მითხარი.

ტიტე — რა არის ადამიანი?! ეს არის უდიდესი გამოცანა. ჩემსავით ეს ვის გაუგია, ან ვინ ჩამწედარა ცხოვრების შინაარსს?!

ყვარყვარე — გითხრა სიმართლე, მომწონს შენისთანა მეცნიერი კაცი.

ტიტე — მაგალითად, ჩვენ წარმოვიდგინოთ თავშეყრილი ათი ათასი კაცი; ყოველ მათგანს თითო კაცის ღონე აქვს და, თუ ჩვენ მათ ღონეს შევავრთებთ, მივიღებთ უზარმაზარ ძალას... მაგრამ ათი ათასი კაცის ჭკუას თუ შევავრთებთ, ეს იქნება ვირის ჭკუაზე ნაკლები. და ამიტომაც, ასე ხდება, — გამოდის საუკეთესო ვინმე და თავისი ერთი ჭკუით სულ ყველას ძმორჩილებს. ეს ადამიანი არის სარდალი და ეს სარდალი თქვენ ბრძანდებით.

ყვარყვარე — მშვენიერი სიტყვაა. ასე მგონია, მე თვითონ ვლაპარაკობ.

მდივანი — (ქალღიმილით) აი, ბატონო, ამ ცნობას უსა-

თუოდ უნდა გაეცნოთ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — არა შენ გაჩერდი.

ტიტე — რა არის სახელმწიფო? ამის შესახებ მე მაქვს საკუთარი შეხედულება და შემდეგ გაგაცნობთ. ახლა კი მხოლოდ ამას გეტყვით, სახელმწიფოს დამორჩილების დროს თქვენ გაამზადებთ ლაშქარს და ძლევამოსილი ჯარით შიადგებით შორეულ საზღვრებს, მაგრამ მე აქ გეტყვით: შესდექ, ნუ გავიმეორებთ ნაპოლეონ დიდის შეცდომას, ჯობს დავისვენოთ და გავიმაგროთ ფესვები, დიან, ყველაფერია ფესვები, ძირი და საფუძველი.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — რა აზრიანი სიტყვაა! ეს საქმე რომ მართლა გაკეთდეს, კარგი საქმე იქნება. იცოდე, ოქროს სარაიას აგიშენებ, ჩემს საკუთარს რომ მოვათავებ, იმის მერე.

ტიტე — ეს ასე იქნება, მე წინასწარმეტყველივით ვხედავ თქვენს სახეში უდრეც ძალას, რომელიც დაეუფლება დიდ სახელმწიფოს... თქვენ იქნებით სახელმწიფოს უფალი, მაგრამ დაგვირდებით გვერდით პოლიტიკოსი, მეცნიერი. ასეთი მე ვიქნები. თქვენ მაგრად დაიჭერთ ხელში მოთრგუნვილ ქვეყანას, მე კი მას სამოთხედ გადავატყევე. მე ახლავე შემიძლია დავჯდე და დახუჭული თვალთ დავწერო ბედნიერი სახელმწიფოს სრული კონსტიტუცია.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — სუფთად დაწერე და მაჩვენე.

ტიტე — და როდესაც ეს იდეალისტური სამეფო აშენდება, ადამიანებს იმდენი სიხარული ექნებათ, რომ სიკვდილით სასჯელს მხოლოდ ტირილის წინააღმდეგ შემოვიღებთ. ყველა ჯვარს ეცმება, ხალხისათვის და ჩვენს სურათებს ოთახებში ჩამოკიდებენ იმის ნიშნად, რომ ჩვენ მათი მიწიერი ცხოვრება გააზვიანებთ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — თუ ეს ჰკუა არ გაგეცა თავიდან, შენისთანა მეცნიერი ქვეყანაზე მეორე არ იქნება. ასე მგონია, რაც ცეცხლის პირად ნაცარში გეგმები მომიქეჩია ვითომ ესაა, ახლა მომყავს ცხოვრებაში.

ტიტე — ო, რა საამურია. ზამთარში, შუა ცეცხლთან ნაცრის ქეჩვა და ფიქრები კაცობრიობაზე. ქვეყნის დასაბამზე და დასასრულზე, და ტირილი და ოცნება...

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — შენც გიყვარს? (გარედან მოისმის ყვირილი.)

ტიტე — მიყვარს. (შემოდის შიკრიკი.)

შიკრიკი — ჯარისკაცები მოგროვდნენ, ბატონებო, კარს ასკდებიან, ქალის განთავისუფლებას მოითხოვენ.

მ დ ი ვ ა ნ ი — გესმის, სანამდე მიდის მათი უტიფრობა?!!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (შიკრიკს) ასე გადაეცი, რომ თუ ახლავე არ დაფანტულან, ამათი ზარბაზნებით სულ ყველას გაესრეს! ჯარისკაცებს თავს ვერ ავაგდებინებ! (შიკრიკი დაბალი ხალმით მიდის. ტიტე და მდივანი აღტაცებული არიან.)

მ დ ი ვ ა ნ ი — (ტიტეს) როდესაც ეს კაცი ათი ათასი თოფით მოადგა ქალაქს, მე შევივებე, ახლა კი ენა პირში ჩამავდებინეთ.

ტიტე — რახაკვირველია..

მ დ ი ვ ა ნ ი — რაც შენ მაგას უთხარი, (გალაუშდის ქალაქის) სულ აქა მაქვს ჩაწერილი. ნაპოლეონ დრდი, სახელმწიფოს დაპყრობა, ხალხის მოთარგუნვა და სხვა... მე; როგორც დემოკრატი, აღმოთქმული ვარ შენი ლაპარაკით!

ტ ი ტ ე — დიას, მე და ეს კაცი დემოკრატიზმის ნაჭუჭში ვერ მოკთავსდებით. მართალია, ვატყვილად უნდა ვთქვა, რომ სულ სხვა გაქანება გვაქვს (კარს ვააღებს შიკრიკი, მოხმის კარისკაცების ხმა).

შ ი კ რ ი კ ი — მოქარა რომ გადავეცი, მთლად შეჭმა დამიბირეს. მე ვის რა დავუშავე, ბატონებო, ერთი მითხარით, რას მერჩიან? (შიკრიკი მიდის და მიხურავს კარს.)

მ დ ი ვ ა ნ ი — (გადაიხედავს ფანჯრიდან) გესმით, ქვევით კარს ამტვრევენ, დიდი ბრბოა! (გულთამზე ურტყამს კარს.) უტყე ალარ ხუმრობენ! (ყვარყვარებს.) ხელი გამოიღე, ბატონო, გადაგვარჩინე!

ტ ი ტ ე — ვიღუბებით, გვიშველე!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (დატრიალებს ოთახში) მე კი გიშველით, მაგრამ მე ახლა ვინ მიშველის. (თავს შემოყოფენ კაკუტა და ქუჩარა.)

კ ა კ უ ტ ა — ქვეყანა რო იქცევა, რა გქნათ?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — რაღაცა ქენით!

ქ უ ჩ ა რ ა — თავს ტყუილად ხომ არ შევაკლავთ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — შეაკალით, ბიჭებო, მამ... სულ ყოველითის მე შევაკლავ თავს?!

ქ უ ჩ ა რ ა — (კაკუტას) დავიღუბეთ!

კ ა კ უ ტ ა — რო შემოცვივდნენ, სულ მატყლივით დაგაწიწინ.

ქ უ ჩ ა რ ა — კარგად ვავიხედოთ.

კ ა კ უ ტ ა — რო მოგვკლან? ვავიხედოთ, რას იზამ!.. (კაკუტა და ქუჩარა მიდიან. გულთამზე ურტყამს კარს.)

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — რა უნდათ, იმ უღმერთოებს?!

ტ ი ტ ე — აი, აქ რომ ტუსალია, იმის განთავისუფლებას ითხოვენ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — იმისათვისაა ეს ამბები? გაუშვით და გადამარჩინეთ!

ტ ი ტ ე — (მდივანს) გაუღოთ კარი.

მ დ ი ვ ა ნ ი — (ჩუმად ტიტებს) მერე აქ ამას შეხედება და ხომ სულ დავიღუბებით?!

ტ ი ტ ე — (ყვარყვარებს) იმ შენი ლაშქრიდან ახლა ერთ ასეულს ვერ გააჩენ? (ისმის გარედან მტვრევის ხმა.)

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (ტიტებს) კაცო, უთენიას რომ დამეცი თავზე, ამ ქვეყნის მთავრობა ვარო, ახლა ერთი ასეულიც არა გყავთ?!

ტ ი ტ ე — (შეძვრება მაგიდის ქვეშ) შემოდი.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — კაცს ქვეყანას მპირდებოდდი და ახლა მაქმადკრენ! ეს რა ცხრა ქკუის ყოფილა?!

მ დ ი ვ ა ნ ი — გვიშველეთ ვინმემ!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (ამოიღებს რევოლვერს) თქვენ მაინც მოგკ-

ლაგო და იქნება ამან დამიხსნას.

მდივანი აღებს კაბინეტის კარს და მირბის. ტიტე და ყვარყვარე შეშინებული მირბიან იმავე კარით. შემორბიან კაკუტა და ქუჩარა. კაკუტას ზურგზე ებლაუჭება ქუჩარა.

ქუჩარა — ბოლოს ხომ მაინც დაგვლუბა ყვარყვარემ.

კაკუტა — რო მოგვეკლავენ, ახლა კი ვხედავ იმი, ალალია ჩვენზე, ჩემო ქუჩარა.

ქუჩარა — მწყენია ეს სიკვდილი.

კაკუტა — რას იზამ! (კაკუტა და ქუჩარა ორივე ცალ-ცალკე იხედება ფანჯარაში, ჩამოვარდება სრული სიჩუმე.)

ქუჩარა — ბიჭო!

კაკუტა — ბიჭო!

ქუჩარა — ჩვენ რომ გასრესას გვიბირებდნენ, იმ ხალხს მისდევინ და მიარბენინებენ.

კაკუტა — აქეთაც მათი ბაიბურია რო არ ისმის?!

ქუჩარა — მგონია გადავრჩით.

კაკუტა — ვინაა, რო გვიშველა!

ქუჩარა — რა ვიცი. ამ ქალაქში ათასი პარტიააო და ერთ-მანეთი არც ერთს არ უყვარსო.

კაკუტა — (კმაყოფილად) გადავრჩით.

ქუჩარა — თუ ახლა კი გადავრჩით, მერე ყვარყვარეს სათოფეზე არ მივეკაროთ.

კაკუტა — რო ვიბრუნებ პირს, ყვარყვარე ჩემს ბუნდოლასაც ვერ ნახავს. (კაკუტა და ქუჩარა მიდიან. კაბინეტის კარიდან გამოდის გულთამაზე, გამოყვება ყვარყვარე. კომისარი და მდივანი იმავე კარიდან ფრთხილად თავს გამოყოფენ).

ყვარყვარე — წადი, ის ხალხი ჭკუაზე მოიყვანე, თუ ქალი ხარ, ასე უთხარი, ყვარყვარე თუთაბერი ჩემი ძველია-თქვა, ხომ გესმის? არ დამაფეთონ, თორემ რალაცას ვიზამ!

გულთამაზე — მე თუ დამიჯერეს, ამ ფანჯრიდან გაგაბრძენებენ.

ყვარყვარე — რას ამბობ? აქედან რომ გადამავდონ, მიწაზე სული არ დამყვება.

გულთამაზე — ო, განა ასე გეშინია?

ყვარყვარე — უყურე ამას! მე შენთვის ოქროს ლოგინს ვამზადებდი და შენ უფსკრულში მაწვენი!

მდივანი — (ყვარყვარეს) მე მგონია, ქალაქი ისევ შენს ხელშია, შენოდენა ლამქარი არავის ჰყავს.

ტიტე — რასაკვირველია.

მდივანი — ამ სოციალისტების ამბავი მე მკითხე. კულს ეშმაკსაც გადაუსკვნიან.

ყვარყვარე — რომ ატრიალებთ მაგ ენას, ახლა არ იცით, რომ მასე იქნება?

გულთამაზე — განა ამასთან შეთანხმება იმათ უშველის?



ტიტი — (ყვარყვარეს) ეს დრო მაინც შენია და მოიხმარე გამას მე მოგვცემ.

ყვარყვარე — შენი გეგმა რად მინდა. როგორც არ უნდა შეიცვალოს მთავრობა, სულ ერთია, ვინც იქნება. თავი მე უნდა დამიკრას.

მდივანი — მართალია, ბოლოს მაინც შენ გადაწყვეტ ამ ქალაქის ბედს.

გულთამაზე — (თავისთვის) განა მართლა ქალაქის ბედს ეს ათამაშებს?.. (რბილად.) ყვარყვარე! თქვენ არ შეგიძლიათ გამაცნოთ თქვენი გეგმა, მე, ძველ მეგობარს.

ყვარყვარე — (ღელავს და მაგრად უჭერს ხელს) არ შემიძლია დაგიმალო... არაფერს არ დაგიმალო... არა...

გულთამაზე — (ხელს წაართმევს) დაიცა, ხელი მომამორე.

ყვარყვარე — ბლერიკი არ მჭირს.

გულთამაზე — არა, რა საჭიროა, ისეც კი უნდა დამიჭიროთ, რომ მე თქვენთან მაკავშირებდნენ ძველსძველი გრძნობები.

ყვარყვარე — გახსოვს, შენ ციციხლმოკიდებულო?!

გულთამაზე — როგორ არა, მას აქეთ სულ გეძებდი.

ყვარყვარე — მერე, ვერ მნახე, შე დაკარგულო?!

გულთამაზე — აკი აგერ მოულოდნელად გნახე.

ყვარყვარე — ერთია ზღაპარში შენისთანა ქალი, მეორეა სიზმარში, და ცხადში მართლ შენა ხარ და შენ.

ტიტი — (ყვარყვარეს) შენ ამ ეშმაკს რომ აპყვი, ქალაქს მოგვასპობინებს.

ყვარყვარე — იქით, თორემ თავს სკვინჩასავით წაგაწყვიტ! (მდივანი და ტიტე ერთმანეთს ეჩურჩულებიან.)

გულთამაზე — ახლა, ჩვენი სიყვარული რომ კარგად დაგვირგვინდეს... (ტიტეს და მდივანს.) მოდით, ნუთუ ეს თქვენი ბელადია?

მდივანი — ეს დიდი ლაშქრის მპყრობელია, ჯარიც ისე მორჩილი ჰყავს, რომ დროებითი მთავრობა იცნო.

ტიტი — ასეა... ოღონდ, ქალბატონო, ჯერ ის ხალხი დააშომინე, უბედურებას გვიპირებენ.

გულთამაზე — მერე, რატომ აგვიანებენ, თუ რამეს გვიპირებენ. (იძახის კარისაკენ.) ამხანაგებო! (დუმილია, ტელეფონი რეკავს.)

მდივანი — (ისმენს ტელეფონით. ტიტეს და ყვარყვარეს) ეჰ, კიდევ ახალი ამბავია. (შემოდის შიკრიკი.)

გულთამაზე — (შიკრიკს) ხალხი სად არის, ამხანაგო?

შიკრიკი — ახლა მე თვითონ არ გაგიშვებ. ხომ ხედავ შენი გულისათვის როგორ მცემეს, ისინი კი ეროვნულმა რაზმებმა გადაარჩეს.

გულთამაზე — მაშ, ისევ ხაფანგში დავრჩი. (მოულოდნელად მდივანს.) ბატონო, მე ხომ ტყვე არა ვარ, უბრძანეთ, რომ

ქარი გააღონ.

მ დ ი ვ ა ნ ი — (ტელეფონით) მაშ, სასახლეს ვინ ჩაიბარებს? მერე რა გუყვით იმ ათი ათას კაცს, ყვარყვარე თუთაბერმა რომ ფიცით დაგვიმორჩილა.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მე, მაქ რატომ მახსენებ!

მ დ ი ვ ა ნ ი — ბოლშევიკებს პეტროგრადი აუღლიათ. დროებითი მთავრობა გაპარულა.

ტ ი ტ ი — (დახევს მანდატს) მერე, მე ხომ მტყუანი არავისთან არა ვარ.

მ დ ი ვ ა ნ ი — რწმუნებული ამბობს, ჩემი მოვალეობა მოხსნილიაო.

გ უ ლ თ ა მ შ ე — (ნეტარებს) მაშ, ახლა ჩემთან მოდით, მოდიო, რა, გეშინიათ? ახლა მივხვდი, ასე უცბაო რად წავიდნენ ჩემი ამხანაგები, ალბათ ქუჩაში ჩვენი ძალები ირაზმება ხელისუფლების შესადგენად. (ყვარყვარეს.) შენ კი ვისი ჩარების უფროსი ხარ?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — დამნიშნეს... და... არ ეშვილათ.

გ უ ლ თ ა მ შ ე — სხვა რა იცით, თქვით, გაბედეთ!

მ დ ი ვ ა ნ ი — აქაური სოციალისტური პარტიები ამიერკავკასიის მთავრობას ადგენენ.

გ უ ლ თ ა მ შ ე — (შეკრთება) მიჰქარავე!

მ დ ი ვ ა ნ ი — ქალაქი დაიკავეს.

გ უ ლ თ ა მ შ ე — მაშ, არ თავდება ჯამბაზობა?!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ოჰო, ჰო, ჰო... შენს მკლავზე მატუსილასაც ვით უნდა დაკბერდე, იმდენ ხანს უნდა ვიკოტრიალო.

გ უ ლ თ ა მ შ ე — რა ბედნიერებაა, მხოლოდ ჭერ ჩვენი ფიქრები შეგაერთოთ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ფიქრებს მე სულ კოლოფივით მოგარგებ. ოღონდ ცოცხალი თავი მომიე.

გ უ ლ თ ა მ შ ე — ახლა მითხარი, შენ ჯარი გყავს?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჩემოდენა ჯარი ჭიანჭველასაც არ ჰყოლია. ფრონტიდან რომ მომყავდა, რამ თოვა და წვიპაო, იძახოდნენ...

გ უ ლ თ ა მ შ ე — ყველაფერი გამომხილე, მე ქალი ვარ, მართალია, მაგრამ კაცებზე უფრო მიყვარს დიდ ამბებში ჩარევა.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ეს კი, მარა, იცოდე, კაცებთან რომ დაგინახო გავლილი, ისე ჩაგავლებ მაგ თმაში ხელს და ისე გაგწიწავ, შენი კივილი ვას ესმოდეს.

გ უ ლ თ ა მ შ ე — არა, მამაკაცებიდან მხოლოდ ორ-სამ ბოლშევიკს ვიცნობ. სხვას არავის.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — რაო? რაც მე მათ გუშინ საქმე მიყვეს, ბოლშევიკს რომ დაელაპარაკო, ძველი ბალიშივით გაგშლი.

გ უ ლ თ ა მ შ ე — (უკან დაიხევს) მაშ, აღარ მომიყარო.

მ დ ი ვ ა ნ ი — (ტიტებს) ეს ქალაქი გადარჩა.

ტ ი ტ ი — ოო, ჩვენი საუკუნე მკუიანია, ახლანდელ გმირს ქალის ალერსი გერ ატყუებს.



ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (უახლოვდება გულთამაშეს) თუ შენთვისაა ეს
 გ უ ლ თ ა მ შ ე — აწი შენთვის ეკალი ვარ.
 ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჩემო სულის კვარაცუნჩხა.
 გ უ ლ თ ა მ შ ე — ამდენმა ბრმამ თავი როგორ მოიყარა შენს ხელში.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჩემო ბოლოგამლილო გვრიტო!
 გ უ ლ თ ა მ შ ე — რა დაპირებით მოატყუე, ნეტავ ვიცოდე.
 ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ხატით ნუ შევირისხდი.
 გ უ ლ თ ა მ შ ე — ვნახავ, ის ხარი შენზე გიქმდეს გასაწეწად.
 ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ასე რამ გაგამწარა. ჩემი საქმე შენთვის ყო-
 თილა მოწყობილი. ის ლაშქარი გუშინს აქეთ ბოლშევიკურ გონე-
 ბახეა.

გ უ ლ თ ა მ შ ე — როგორ, ხომ არ გაგაძევეს იქიდან?
 ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — არა, ახლა ბოლშევიკურად რომ გამოვიწყო
 პირი და იქ დაებრუნდე, გუშინდლამდე რაც იყვენ, ორჯერ მეტ
 პატივს აწი მცემენ.

გ უ ლ თ ა მ შ ე — მამ, ლაშქარი არ გყოლია.
 ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — საქმე, ჩემო მოპოვებულო, ასეა: აქ ისინი
 ქუჩების ქორმა გადარია და ბოლშევიკური პრეგრამა მომთხოვეს,
 მაგრამ მე ვერ დავუფიქვი და დღეს პანლური მომაცოლეს... ახლა,
 ცოტა ბოლშევიკურ ლაპარაკში მინდა გაწაფვა. შენ ვერ მასწავლი?

გ უ ლ თ ა მ შ ე — როგორ არა.
 ტ ი ტ ე — (მდივანს) ერიპა, გესმის?!
 მ დ ი ვ ა ნ ი — (ყვარყვარეს) მამ, აქ ტყუილებით დაჯექ სარდ-
 ლის ადგილზე?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — რათ?
 ტ ი ტ ე — ათი ათასი მყავსო, რომ ამბობდი...
 მ დ ი ვ ა ნ ი — თუ გიპანოკორეს, ახლა ამხელ?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ასი წყალობა რომ შეემპირდით? ჩემს პურ-
 მარლზე მპატიყდებით, ვირის თავებო? ორი ერთეული კაცი რომ
 მომყვა, ამირანის გომიობივით, საი დამილოპით?

გ უ ლ თ ა მ შ ე — როგორ არის დაწყობილი ლაშქარი?
 ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — წესიერად
 გ უ ლ თ ა მ შ ე — ძალა აქვთ?
 ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ამ ქალაქს სულ მიასწორ-მომასწორებენ.
 გ უ ლ თ ა მ შ ე — სად დგანან?
 ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ქალაქის აღმოსავლით.

ტ ი ტ ე — (მდივანს) რა გჩნათ?!
 მ დ ი ვ ა ნ ი — (ტიტეს ჩუმად) გაცნობით ახალ მთავრობას, ეს-
 ენი გზაზე დააბაონ, საქმეს ეიშოვი.

გ უ ლ თ ა მ შ ე — (დაადებს მხარზე ხელს ყვარყვარეს) შენ შე-
 გიძლია, იქ მალი მიმიყვანო?
 ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ასე მხარგადასხვეული თუ წაივალ, გზას
 ვერც კი ვაიგებთ, ისე მივალთ. (მიდინ.)



მაზრის რეკომის შენობა, აივნიდან კიბე ეშვება მოედანზე. პირველი და მეორე გლეხი მოედანზე შეხვდებიან მესამე და მეოთხე გლეხს.

პირველი გლეხი — რეკომი აქ სად არის?

მესამე გლეხი — ჩვენც ის გვინდოდა. აქ არის და შიგ ვერავინ ვერ ვნახეთ.

მეორე გლეხი — ეჰ, გლეხკაცის სამველი არ ყოფილა.

მესამე გლეხი — თქვენ სადაურები ხართ?

პირველი გლეხი — ქარიატადან ამოვივლით.

მეოთხე გლეხი — რა მოგივდით?

პირველი გლეხი — ტყეში დარჩენილ ბრბოებს მენშე-ვიკებისაგან იარაღი შერჩათ და ახლა გვაწიოკებენ.

მეორე გლეხი — სწორედ გითხრათ, უსაშველო გვჭირს.

მესამე გლეხი — რა ვიცი, ასე გამიგია, რაში წამოვიდა თქვენკენ ყაჩაღების ასალაგმავადო.

პირველი გლეხი — ყვარყვარე თუთაბერმა ჩამოიარა, მარა რად გინდა, ვინც საწყალი ნახა, ზურგზე ბოლი ადინა და ყაჩაღებს კი თავზე ხელი გადაუსვა.

მესამე და მეოთხე გლეხი — როგორ?!

მეორე გლეხი — ყველა თავის რაზმში მიიღო.

მეოთხე გლეხი — ეს რა საქციელია?!

პირველი გლეხი — თუ ძმა ხარ, არ გამაცხადო, ასე ამბობენ, ყაჩაღების თვითონ შეიშინდაო.

მესამე გლეხი — რა ვიცი, აქ რომ ძალიან

პირველი გლეხი — მაშ, ერთს რა ვაქაჯობს?!

მესამე და მეოთხე გლეხი — თუ რა.

პირველი გლეხი — ჰო, თქვი, ნუ გეშინია. დიდი სოფლები.

მესამე გლეხი — კარგი საქმეა. მაგრამ თავიშეშინებარე ავად არის, ვისთან უჩივლებ? (ხმაურობაა, შემოდინა მესხეთე და მეექვსე გლეხი).

მეოთხე გლეხი — მაქვთ რა ჩიჩქოლია?

მესხეთე გლეხი — ყვარყვარე მოდის, ხალხი დაუჭირია.

მესამე გლეხი — ეჰ, შეარცხვინა ლმერთმა, მაზრა ააწიოკაო, ამბობენ.

მეოთხე გლეხი — მაგის წამალი რეკომიდან გამოვა.

მეორე გლეხი — ეს როდის იქნება?!

მექვსე გლეხი — სულ ერთია, ყვარყვარეს ვერავინ დააჭრის ყურებზე ხახვს.

მეორე გლეხი — რატომ?!

მექვსე გლეხი — ხელმწიფე მაგას გადაუგდიაო.

მესხეთე გლეხი — კი, ასე ამბობენ, დიდი ბადეები გაუგ-ლეჯიაო.



მეორე გლენი — აბა, გავეცალოთ ამ მოედნიდან. (გაღვიძრული ხეში აჩქარებით გადრან, შემოდის ყვარყვარე თავით ფეხებზე შეიარაღებული.)

ყვარყვარე — (ეძახის) დაურთეთ თოფის კონდახები, ისე მოსცხეთ, რომ დაწყნარდნენ. (ისმის ჩოჩქოლი.) ეს რა ღრიანცი-ლია, კიდეც ატყდნენ! შენ, პეი, მაგას თავი გაუხეიქე და მაშინ შე-უშვებს შიგ ახალ-ახალ ცხოვრების აზრს. ოო, შეიღენეთ იმ სარდა-ფში, კარბ გამოუხურეთ. მორჩა. (თავისუფლად ამოისუნთქავს.) რა გლახაა ხალხის სიბნელე რამდენიც არ უნდა უჩაჩქუნო თავში, ჭერაფერს ვერ შეაგნებინებ. (შემოდის პირველი რაზმელი.)

პირველი რაზმელი — ერთი ბებერი კაცია შეპყრობი-ლი, მეწისქვილე ყოფილა. ასე იძახის, ყვარყვარე თუთაბერის ძვე-ლი მასპინძელი ვარ და ნუ მომკლავს, ღმერთი იწამოსო.

ყვარყვარე — იმ მეწისქვილეს უთხარი: აქ მალე მოგაკი-თხავს ქალიშვილი და შენს საქმეზე ჩემთან მოვოვმანდება-თქვა. (პირველი რაზმელი მიდის. შემოდის ორი რაზმელი. ზურგზე ბარგი აქვთ მოკიდებული.)

მეზარგე — ეს რეკომში შევიტანოთ?

ყვარყვარე — ეს ხომ ჩემი ამორჩეულია, სადაა სხვა სა-ქონელი?!

მეზარგე — იქაა მთელი ურემი.

ყვარყვარე — ჰოდა, ის შეიტანეთ რეკომში, ეს მე მა-ჩუქეს, მუშათა კლასს რომ ვემსახურები, ძმისათვის... (ანჩხლად.) და ჩემი საქონელი მიგაქვთ რეკომში, თქვე თვალდაფსებულეობ?

მეზარგეები — აბა, სად წავილოთ?!

ყვარყვარე — თავ-აბრაგებს მიაბარეთ. მხოლოდ წვრილმა აბრაგებმა არ დაინახონ. (მეზარგე აპირებს წასვლას.) დაიცადე, წა-დი ის ქურჭი მოიტანე, თავადიშვილმა რომ მაჩუქა.

მეზარგე — იმ ქურქს თავ-აბრაგები ერთმანეთში იყოფენ.

ყვარყვარე — რაო, ჩემს ქონებას იყოფენ ის პირძალე-ბი?! წადით, უთხარით, თავი თხლეზე არ დამაჭერიონ, თორემ ერ-თმანეთს ვერ გაასწრებენ, ჩქარა ორივე აქ მომვჯარეთ.

მეზარგეები — კი მარა, ეს სად წავილოთ?!

ყვარყვარე — კარგი, მე თვითონ გაჩვენებთ მაგის ადგილს. (ყველანი მიდიან. შემოდის გულთამზე და რეკომის თავმჯდომარი.)

გულთამზე — მამის დაპატიმრება მაცნობეს და გამოვერშუ-რე. მაშინვე კი ვიგრძენი, რომ სრული გაუგებრობის მსხვერპლია ის საწყალი... რა უნდა შემთხვეოდა მოხუცს და, მართლაც, ვხე-დავ, მთელი მახრა არეულია.

რევეკ. თავმჯდომარი — ცენტრში დამიძახეს, ამხანა-გო გულთამზე, და გზაზე, აქეთობისას, აკად გაჩხდი, არაფერი არ ვიცი.

გულთამზე — ერთი ამხანაგი მოდის ამ ამბების გამოსარკ-ვევად, ძველი მეგობარია, ფრონტზე ერთად ვეწიოდით ფარულ მუ-

შობას.

რ ე ვ კ. თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — ეჰ, ყველაფერი ჩემი მოადგილის ბრალია. რაზეში ყაჩაღები მიუღია და ჩანს თვითონაც მათი გავლენის ქვეშ მოქცეა.

გ უ ლ თ ა მ შ ე — ეტყობა, ეს თქვენი მოადგილე მათრახს უსამართლოდ ატრიალებს, ბევრ პარტიულ ამხანაგსა აქვს ზურგი აქრელებული.

რ ე ვ კ. თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — ვნახოთ, ვნახოთ, ყველაფერი გამოიჩვენება. (შედიან რევკომში. შემოდის ყვარყვარე.)

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ხალხი თავის მტერია, თუ არ მოწყვეს, უჭკუო საქონელივით ხრამში გადაყარდება... თუ შნო გაქვს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა დაარტყა. (შემოდის პირველი რაზელი.)

პ ი რ ვ ე ლ ი რ ა ზ მ ე ლ ი — იმდენი ხალხი ერთ სარდაფში არ ეტივა!..

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — კარი ხომ მიუხურე!..

პ ი რ ვ ე ლ ი რ ა ზ მ ე ლ ი — როგორ არა!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მაშ, თუ კარი მიუხურე, დაეტივა აწი, აბა რას იზავს?!

პ ი რ ვ ე ლ ი რ ა ზ მ ე ლ ი — სასუნთქვე ფანჯარას მაინც გავუღებ, თორემ სულს ვერ ითქვამენ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მერე, იქიდან რომ გადმოცოცდნენ? არა, მიხურე.

პ ი რ ვ ე ლ ი რ ა ზ მ ე ლ ი — ვინც სუსტი გულისაა, იმ სარდაფში მოკვდება!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — სუსტი გულის პატრონი პროლეტარიატს რად უნდა?! მეტ ტვირთად დააწვება. ახლა ეს მითხარი, გინდა პროლეტარიატი რომ შეწყუბდეს?

პ ი რ ვ ე ლ ი რ ა ზ მ ე ლ ი — არ მინდა.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — აბა, დადექი შენს ადგილზე.

პ ი რ ვ ე ლ ი რ ა ზ მ ე ლ ი — კარგი, დაკვდები. (მიდის. მეზარგეს შემოჰყავს პირველი და მეორე აბრაგი.)

მ ე ბ ა რ გ ე — აი, ბატონო, ის აბრაგები მოვიყვანე!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (აბრაგებს) აქეთ დადექით, ჩვენება უნდა ჩამოგართვათ.

ა ბ რ ა გ ე ბ ი — ბრძანეთ. (მეზარგე მიდის.)

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ამ სოფელ-ქალაქს რომ მიდგომიხართ და ბუდეში კვირცხს არ უშვებთ, რას მიპასუხებთ?!

პ ი რ ვ ე ლ ი ა ბ რ ა გ ი — შენი წყალობაა, რასაც გჭამთ.

მ ე ო რ ე ა ბ რ ა გ ი — მართალია, ცხრა ჭკუის ხალხი ტყვიდან დაგვაბრუნე... ზოგი საწყალი მენშევიკი გლახა მწყერივით ჩამორჩა გაქცეულ მთავრობას და ჩვენთან ამოიძუა კული. ყველას კარი გაგვიღე, რაც აბრაგები გვნახე.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჰოდა, ახლა კოჭებს მისინჯავთ, მაგრამ მე



თქვენნი სულ არ მეშინია, არ მეშინია...

პირველი აბრაგა — რას გისინჯავთ? შენ რომელია იცოდა, და თავდადასავალი გვითხარი, იმაზე ყველამ დაუმატა რაც იცოდა, და ერთ დღეს თავიდან ბოლომდე რომ მოკყვივით შენი საქმენი, ვილაცამ თქვა, სხვას რომ მაგის ნახევარი ექნა, ძეგლს დაუდგამდნენო.

ყვარყვარე — ძეგლს მიდგამენ?!

აბრაგები — კი, ასე თქვა ვილაცამ.

ყვარყვარე — მაშ, თუ ღირსი არა ვარ, ძეგლს რატომ მიდგამენ?

პირველი აბრაგა — ახლა იმის სათქმელადაც მოკვდით, თურმე, წითელი ჯარი მოდის და იმისთანა დიდი ბოლშევიკები მოუძღვებიან... ქვეყანა რომ შეუძრავთ, და მეჭორეები ჩმახავენ, ყვარყვარე თუთაბურს გაკოჭავენო.

ყვარყვარე — მერე?

პირველი აბრაგა — ჩვენ შენი იმედი გვაქვს.

მეორე აბრაგა — მთელი ჩვენი ბიჭები საფარ-კედლად შენ გიყურებენ.

ყვარყვარე — მაშ, წადით და რაზმელებს უთხარით, მოედანზე ხალხს ათქმევინონ, რომ (უთითებს.) იმ დიდი ლოდისაგან ჩემთვის ძეგლის გამოთლა უნდათ!

აბრაგები — რატომ?!

ყვარყვარე — როცა გაიგონებენ, თვალში ნაცარს ვერ მომაყრიან. ასეა... ხომ გესმით?!

აბრაგები — კი, გვესმის.

ყვარყვარე — მაშ, წადით!

პირველი აბრაგა — ბოლშევიკებისაგან ხომ დაგვიფარავ?!

ყვარყვარე — წყნარად იყავით, რწყილებოვით!

აბრაგები — ვიქნებით.

ყვარყვარე — ქვეყანას არ ათქმევინოთ, ყვარყვარე თუთაბურს ვირები ვერ მოუთურგვნიანო (აბრაგები მიდიან).

ყვარყვარე — (აპირებდა რეკომში შესვლას, მობრუნდება) ეს ვინ არის?! ქალი კი არა, მზის უნახავია. (შემოდის ქალი.) შენ ვინ ხარ?

ქალი — რეკომში მაქვს საქმე.

ყვარყვარე — ჰოდა, თუ რეკომში მიხვალ, აგერ ვარ.

ქალი — მე გთხოვთ გაათავისუფლოთ ერთი უსამართლოდ შეპყრობილი ადამიანი.

ყვარყვარე — შეიძლება.

ქალი — ოჰ, როგორ მადლობელი ვარ, სულ უდანაშაულოა.

ყვარყვარე — ვინ არის, ბრძანეთ და ამ წუთში გაკანთავისუფლებ. ის კი არა, სული რომ მთხოვო, ამ ყელიდან ამოვიღებ და მოგცემ. (უახლოვდება ქალს.)

ქალი — (უკან დაიხევა) ის ჩემი ქმარია.



ყვარყვარე — ქმარიო?! ეს სხვა საქმეა, ის დიდი დამნაშავეა. მე ახლა კანონს ფეხს ვერ გადავადგამ იმისთანა კონტრრევოლუციონერის გულისათვის.

ქალი — რას ბრძანებთ, სულ მთლად მართალია.

ყვარყვარე — (უახლოვდება) ის კითხმ არ გყლიათ, ისე უნდა დაივიწყოთ.

ქალი — ვინ დაივიწყო, შეი მხეცო, ა, ეს რა პასუხია, ჩემი ქმარი დაივიწყო, შეი არამზადაგ?!!

ყვარყვარე — შენ ვის უბედავ ასეთ სიტყვას, თუ შენ გგონია ისე მომწონხარ, რომ ჩემს თავს და მთავრობას გაგაღანძღვინებ?! მე რომ ქალი მიყვარს და ვუყვარვარ, იმის გვერდით რომ გაჩერდე, ჯოჯოხეთის მამხალად გამოჩნდები!

ქალი — ა, მე ვხედავ, რომ თქვენ დასცინით ჩემს თხოვნას... მაგრამ, როგორც ვაივებ, მართო არა ვარ ამ ყოფაში. დღესვე მოვადგებით ყველანი რეგკომს და ხმამაღლა მოვითხოვთ სპარტალს. ვნახოთ. (მიდის.)

ყვარყვარე — (დუმობის შემდეგ) ქალს როდესაც ვიქორქოშები, ჭკუა მებნევა, თორემ იმ ქალმა, ახლა, იმისთანა სიტყვები მკადრა, უსათუოდ უნდა დამეტუსალებინა. (გაივლის.) ეჰ, ეს მაზრა ხომ კარგად მივასწორ-მოვასწორე. აწი შევალ ჩემს რეგკომში და, იცოცხლე, ყვარყვარე თუთაბერო, ერთი ათად გამოაჩინო შენი ნამოქმედარი. (შედის რეგკომში. შემოდის კაკუტა, ქუჩარა და ლირსა.)

ქუჩარა — ე, კაკუტა, ხედავ, კაცო, სად მიდის ჩვენი ყვარყვარე?

კაკუტა — მისაკარებელი პირი რო არა გვაქვს?!

ქუჩარა — რა იციოდი, მაგის ბარი თუ ამდენს იმუშავებდა.

კაკუტა — ო, რას იზამ, კაცნი ვართ, ვუთხრათ, ჩვენი ნაბატონარის ნამოსახლი რო მოგვცეს.

ლირსა — ჰო, უთხარით, კაცებო, გაჭირვებულებისათვის ახლა თენდება და ჩვენზე; გაჭირვებული ვინ არის, რალაცა თითო ხელისდადება ადგილი გაქვთ, იმაში თესლის ჩადდება არ ღირს. (კაკუტას.) თუ მეტი მოხერხება არ გქონდა, შეი საწყალო, რას იკიდებდი ჩემს ცოდვას?!

კაკუტა — ასეა, ჩემო ლირსა.

ლირსა — უბედურებად მე ჩემი სიოზღე მეყოფოდა.

კაკუტა — ო, რას იზამ.

ლირსა — როგორ რას იზამ, მგელივით კაცი ხარ. თუ ხელს გამოიღებ, შენისთანა ჩვენს სოფელში ორიც არაა.

კაკუტა — ქალი შენა ხარ და ყველაფერი კი იცი...

ქუჩარა — (ხარბად უყურებს მათ) რა ვქნა, ჩემთვის არ მონახა ასეთი უპატრონო და ოზოლი... ქალის ჭირისუფალმა, თუ შეგატყო, რომ მჟადი გიტორს, მაჭანკალს კეტით გამოვიგდებს... არადა, დეი მინდა ერთი გულის გამთბობი.

კაკუტა — რას იზამ, კაცნი ვართ..

ქუჩარა — (ინედება რეკომისაკენ) თუ კარგი თვალით გად-
მოგვხედა ყვარყვარემ, ჩემი კერძაც დაინთება.

ლირსა — რატომ არა, ვიღით და თხოვეთ, კაცებო, ხომ იყო
თქვენი ამხანაგი!

ქუჩარა — არა იმას ჩვენზე დიდად თავი სულ კი მოჰქონდა.
კი, კი მოჰქონდა.

ლირსა — (კაკუტას) აბა, რას გამომიჭედი, ჩემო კაცო, ყური;
ამხანაგი იყო.

კაკუტა — არა, ღონით მე ყოველთვის ვაჯობებდი, მარა, რას
იზამ!

ქუჩარა — ხერხი რომ არ ჰქონოდა, ვაჯობებდით, მარა რაც
ზევითაა, ორი იმდენი მიწაშია და მიწაში ეძიე შენ, რას მონახავ.

კაკუტა — კი, ძირს გამოგიტხრის.

ქუჩარა — მე ახლა აქ სულ შენი იმედითა ვარ, ცოლიან
კაცს რომ გნახავს; პატივს დაგდებს.

კაკუტა — კი, პირდაპირ ჩვენს იღბალზე დაწვა და დაანა-
ცარტუტა ი ჩვენი ნაბატონარის მიტოვებული ოდა-სახლი.

ქუჩარა — იქ ერთი კუთხე რომ მოგვიგდოს, მეტი რად გვი-
ნდა.

კაკუტა — მართალია, უნდა მოგვიგდოს, ჩვენიც კაცნი ვართ.

ქუჩარა — ჰოდა, რასაც მოგვცემს, იცოდე, ორივეს უნდა
გვირგოს.

კაკუტა — კი, გვირგება. (ყვარყვარე გამოდის რეკომიდან და
ნელა-ნელა ეშვება კიბეზე.)

ყვარყვარე — გულთამზე მოსულა და ხოხობივით ზის
თავმჯდომარის ოთახში. მეც ეშმაკი ვარ, იქ აღარ შეგვიფეთე. ასეა,
მე რომ მკითხონ, სიყვარული მახეებში ძრომაა. თუ გააბი ქალი,
ბულბულს შეარცხვენს, ისე ტკბილ გალობას დაგიბერავს, მაგრამ
თუ გაგაბა, ქარციცხლს შემოგიკიდებს. (თვალს მოჰკრავს კაკუტას
და ქუჩარას.) ესენი ახლა სად გამოჩნდნენ ძველი მთვარესავით.

კაკუტა და ქუჩარა — ბატონო ყვარყვარე.

ყვარყვარე — ვინა ხართ? როდის გაჩნდით ქვეყანაზე.
(ზურგს შეაქცევს.)

კაკუტა და ქუჩარა — ბატონო, ბატონო ყვარყვარე!

ყვარყვარე — ვინ მიბედავს ბატონის დამახეებას. რეკოლუ-
ციურ ბრძოლაში კაცი ჩამტოვეთ, უნამუსოდ გაიბარეთ და ახლა აქ
მობედეთ მოსვლა?

ქუჩარა — შევცდით რომ გავიბარეთ, მაგრამ ახლა ძალიან
გავგიჟირდა და ისევე შენ დაგიკარით თავი.

ყვარყვარე — გავიჟირდათ?!

ქუჩარა — აა, ეს საცოდავი კაკუტა უღელში გაება. ქალი
ითხოვა და ჩვენი ნაბატონარის ნამოსახლი გვინდა რომ გთხოვოთ.
ხომ იცი, რა ძნელია, როცა კაცს უღელი აქვს კისერზე და მჭადი
საძებარია.

ყვარყვარე — ამ გლახას ვინ მისცა ქალი?!

ქუჩარა — (ჩუმად) სეფესკვერივითაა ეს უპატრონო.

ყვარყვარე — მანახეთ, ეგება მეც მომეწონოს (წინ გამოს-
წმვენ ღირსას.) ესაა? ტფუ... მგელს დააფეთებს!

კაკუტა — უპატრონო და თბოლი რო იყო, იმიტომ მომცია.

ყვარყვარე — ამის შეყვანას იმ ფაცხაში, ქვა რომ შეგვიკ-
დო, ის გერჩია.

ქუჩარა — რატომ, რაც უნდა იყოს, თბილია.

ღირსა — თქვენ იქით გზა არა გვაქვს, ბატონო, იმ ეზო-გარე-
მომი ოც წელიწადს ვემსახურებოდი ბატონს და ახლა კი ვკმეუოვ-
ნის ერთი კუთხე.

ყვარყვარე — გაჩუმდი, შენი ხმა არ გავიგონო! (შემოდის
პირველი რაზმელი.)

პირველი რაზმელი — რაზმელებმა შემოგითვალეს, ამ-
ხანაგო, ძეგლს ჩვენი ხელით დაგიდგამთ, ოღონდ გვიშველეთ.

ყვარყვარე — რა მეხი მოელანდათ?

პირველი რაზმელი — გზატკეცილზე წითელი ჭარი გა-
მოჩნდა. პასუხისმგებელი ამხანაგები მოუძღვებიან და კალთა დაგ-
ვაფარეო.

ყვარყვარე — კალთა თუ არ ავიკაპიწე, ამდენი ოხერი ერთ
ღელეში ჩამიტანს. წადი, უთხარი იმ რაზმელებს ჩემი სახელი არ
ახსენოთ, თორემ, რაც დღემდე დაგაკელით, აწი გაგზოლტავთ-თქვა!
(რაზმელი მიდის.)

ქუჩარა — ვისზე წყრები, ბატონო ყვარყვარე, რა გაქვს ახ-
ლა შენ ასაკრიჭინებელი?

ყვარყვარე — რომელ ურემს აწევს ჩემოდენა ტვირთი?!

კაკუტა და ქუჩარა — რაო?

ყვარყვარე — ბოლშევიკებს ნაცარი კი არ მოაქვთ საქმე-
ვად?! საქმე იქნება.

ქუჩარა — ბოლშევიკებს, თურმე, ერთი კალაპოტი მოუტა-
ნიათ, ვინც პატარაა იმაზე გადაიდებენ და ვინც დიდია, იმაზე დაა-
მოკლებენ. რაც უნდა იბტუნო, თურმე, იმ კალაპოტს კერ გაქცევი.

ყვარყვარე — მაშ, მეც თქვენთან გამასწორებენ?

ქუჩარა — (კაკუტას) ა, მგონია, კერ ვთქვი კარგად.

ყვარყვარე — თქვენც იმ დიდ ქვაში გამოგიღებენ ჩემსა-
ვით, არა?

კაკუტა — შენ იმ ქვაში როგორ გამოგიღებენ?

ყვარყვარე — ცოცხალ ძეგლად დამდგამენ.

კაკუტა — ო, დადგამენ, მერე?

ყვარყვარე — მერე საფლავში თქვენი ძვალი არ იქნება,
ეს კი ასე იდგმება.

ქუჩარა — სულ იქნებაო, გისმის, ღირსა?!

ღირსა — კო...

ყვარყვარე — ვინ მოთვლის, იმ დრო-მდინარეში რამდე-



ნი აპის მნახველი გულზე ხელს დაირტყამს და იტყვის, სიკვდილი შეიძლება შეიხერო, ყვარყვარე აუთაბერის ფასი ქვეყანაზე რა დატოვიო. ანდა რამდენი ლამაზი ქალი მისაბზს თვალს და იკითხავს, ეს რა მიწამ შექამაო, ეს საწყალიო, მალამოსავით დაილიაო... ისე ამოიჩენს ქალი გულს, რომ ფუნთულასავით მომეკვრება. მარა ქვას გაათბობს?!

ქუჩარა — ქვას კი გაათბობს, მკვდარს ვერ გააცოცხლებს, იმ მუდრევს, თორემ, ქალის კოცნა კეცს გაახურებს.

ყვარყვარე — მერე მე რას გამომადლება. ეპ, სულ ტყუილ-ლაბზუილა არის ეს ცხოვრება, ბოლო ყველასათვის დაკარგულია.

ქუჩარა — სულ ერთია, ჩემო ყვარყვარე, სანამ ხარ, რა დედამ გშობაო, ხომ ათქმევიანებ ამ ქვეყანას.

ყვარყვარე — დედამ მშობა, აბა ციცრის კვირცხიდან კი არ გამოვჩეცილვარ, თქვე უპატრონოებო.

ქუჩარა — კი, კი... სოფელში ამბობენ, შენს დაბადებაზე ისე დაუტენია თოფი წყვიწყვის, რომ ლულა გახეთქია უბედურს. (ისმის ხმაური.)

ყვარყვარე — ეპე, თავი ბოლშევიკები მოდიან და რას მიმოწმებთ, მეზობლებო, იმათთან.

ქუჩარა — (კაკუტას) გაქოთ, ბიჭო!

კაკუტა — კი, ცაში ავიყვანოთ.

ყვარყვარე — ხომ გახსოვთ, რაც მე წვალემა მინახავს თქვენი გულსთვის.

ქუჩარა — ის გავაცხადოთ?

ყვარყვარე — კი, სიძარტლე თქვით.

ქუჩარა — კარგი, ასე ვიტყვით, რომ თავიდან ნაცარქეჩია იყავი და შიმშილით გკლავდნენ.

კაკუტა — კი, ყვილამ ვიცით.

ქუჩარა — თბილ სახლიდან გზა-შარაზე გაგადდეს. ბოლოს იჯარა აიღე, — შენც გაჯახირდი და მუშეხსაც ტყავი გააძრე.

კაკუტა — ხიდი მაინც ვერ გააკეთე.

ქუჩარა — ვიტყვით, რომ კერიიდან აგადდეს, შე საწყალო, და მართალი კაცი ღინდამ ჩამოგახრჩეს.

ყვარყვარე — მართალი კაციო!

კაკუტა — კი, სულ ტყუილა დაგიჭირეს. ახალთაობის საქმეში არ ერეი.

ქუჩარა — მერე, გაქცეული ჯარის უფროსობა გინდოდა, მარა ჩვენისთანა ვირებმა გიღალატეთ.

ყვარყვარე — ეს რა გამოდის?!

კაკუტა — იმას შუა და იმას შუა რო იყო, იმასაც ვიტყვი.

ყვარყვარე — რას იტყვი?!

კაკუტა — სასახლეში რო წაგვიყვანე და ყმად რო უდგებოდი და მერე ის მთავრობა რო თხლესავით წავიდა.

ყვარყვარე — პოდა, ახლა კარგ ტაბლაკვერებს მიიღვბთ

ჩემგან, წამოდით, უნდა დაგატუსალოთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — რატომ, რატომ გვატუსალებ?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — რადგან თქვენ ვერ მიცანით, თვითონ უნდა გაგაცნოთ ჩემი თავი და... როგორც გაუსწორებელ დამნაშავეებს, გაპატიმრებთ. (ეძახის.) ეი, ვინა ხართ! (შემოდის რაზმელები.) წაიყვანეთ ესენი და სამივე იმ სარდაფში ჩასტენეთ!

პ ი რ ვ ე ლ ი რ ა ზ მ ე ლ ი — არ დაეტყვა, ამხანაგო, არ დაეტყვა და რა ვქნათ?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — წაიყვანეთ!

ლი რ ს ა — ეს რა მუხის ტიხაა?

პ ი რ ვ ე ლ ი რ ა ზ მ ე ლ ი — ის ხალხი იქ ისეა გამწარებული, როგორც კი გავაღებ კარს, გარეთ გამოცვივდებიან, იხრჩობიან.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — გინდა შენ პროლეტარიატის ძალაუფლებას ძირი რომ გამოუთხარო?!

პ ი რ ვ ე ლ ი რ ა ზ მ ე ლ ი — არ მინდა.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — აბა, წაიყვანე!

ლი რ ს ა — ბატონო, რას გვიმვრებით, კაცებო, მიპატრონეთ, თქვე შეჩვენებულეებო!

ქ უ ჩ ა რ ა — (მუდართ) ყვარყვარე, ყვარყვარე, რას მიშობი?!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — გაყვირი!

ლი რ ს ა — ბატონო, შენი მუხლის ჭირიმე!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (აპირებს წიხლი უთავაზოს ლირსას, რომელიც კაკუტას ეფარება) აი, ჩემი მუხლი!

ლი რ ს ა — რა ციციხლში ჩამაგდეთ, კაცებო, თქვე შეჩვენებულეებო, სად მომიყვანეთ? ამისათვის მეუბნებოდით, ამხანაგოაო?!

კ ა კ უ ტ ა — ქუჩარა, ბიჭო, შენ ამბობდი, ცოლიან კაცს პატრონს გცემსო, სადაა?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჩქარა წამოდით, ფეხს ნუ ითრევთ!

რ ა ზ მ ე ლ ე ბ ი — (თოფს მოიმარჯვებენ) წამოდით! (ყველა მიდის. შემოდის სევასტი ორი წითელარმიელით. ადის კიბეზე. რევკომიდან გამოდის გულთამზე, რევკომის თავმჯდომარე, წევრები და შეეგებებიან სევასტის.)

გ უ ლ თ ა მ ზ ე — სევასტი, შენ მოუთმენლად გელოდით.

ს ე ვ ა ს ტ ი — კიდევ კარგად ყოფილხართ. ისე არეულია ეს მაზრა, არ მეგონა, თუ აქ ცოცხალი დამხვდებოდით.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — დიახ, ჩემმა ავადმყოფობამ ეს ახლად გასაბჭოებელი მაზრა ისევე ძველი აბრაგების ხელში ჩააგდო.

ს ე ვ ა ს ტ ი — ეს რა ხმაურობაა?!

გ უ ლ თ ა მ ზ ე — გესმით, რაღაც დაამტკრიეს.

ს ე ვ ა ს ტ ი — (შემორბიან ტუსალები) ესენი საიდან მორბიან?

პ ი რ ვ ე ლ ი ტ უ ს ა ლ ი — გვიშველეთ, ამხანაგებო, ციხეში ჩავყვარეს, დაჯიხსენით!

ს ე ვ ა ს ტ ი — ეს რა ხალხია!

მ ი ო რ ე ტ უ ს ა ლ ი — გლეხები ვართ, შრომის მეტი ჩვენ

არაფერი ვიცით.

მესამე ტუსადი — განუკითხავად დაგვიპირეს, კარი რომ არ გამოგვემტვრია, ვიხრჩობოდით.

სევასტი — ციხეში ვინ ჩაგყარათ?!

ტუსადები — ყვარყვარე თუთაბერმა.

გულთამზე — უი, ის ნაცარქექია ხომ არ არის?!

სევასტი — დამშვიდდით, გლებებო! სად არის დამნაშავე?

პირველი ტუსადი — როდესაც ჩვენ გამოგვიკვიდით, გაქცა.

მეორე ტუსადი — (იხედება) აი, გაუკოჭიათ.

ხმები — მოჰყავთ, მოჰყავთ!..

ყველანი — ჩქარა, რეგკომში მოიყვანეთ! (სევასტი, გულთამზე, თავმჯდომარე და წევრები შედიან რეგკომში. წითელარმიელებს შემოჰყავთ ყვარყვარე. უკან მოჰყვება პირველი რაზმელი.)

პირველი რაზმელი — არ დაეტევა-თქვა, ხომ ვიძახდი! (წითელარმიელებს ყვარყვარე შეჰყავთ რეგკომში.)

ხალხი — გასამართლეთ! (შემოდინ კაკუტა, ქუჩარა და ლირსა.)

ქუჩარა — დაინახეთ, რეგკომში რომ შეათრიეს ის გარეწარი?

ლირსა — კი, კი... კარგად მიაჩანჩალეს.

კაკუტა — რას უზამენ ახლა, მოკლავენ?

ქუჩარა — მოკლავენ, აბა, ქალს კი არ უთხოვენ!!

ლირსა — ახია, კაცებო, რასაც უზამენ. ვერ ხედავდით რა დაგვიტრიალა?

ქუჩარა — დრო კია მამამისი წყვიწყვი შავს იკერავდეს.

კაკუტა — კი, კი, ზარალი გამოუვიდა.

პირველი ტუსადი — (კაკუტას და ქუჩარას) თქვენ იცნობთ მაგ უმოწყალოს?

ქუჩარა — ვიცნობთ კი არა, მაგის შიშით ძლივს დავდივართ ქვეყანაზე.

მეორე ტუსადი — როგორ, კიდევ გაწვალათ ამის გარდა?

კაკუტა — ერთხელ გამოგეპარეთ, თორემ, ახლა ცოლი კი არ მეყოლებოდა — მკვდარიც ვიქნებოდი.

ქუჩარა — კაცო, კაკუტა! მაშინ რომ გადაურჩით, ხომ დაგიფიცეთ, სათოფრზე არ მიფეკაროთ-თქო, ახლა როგორ გადავცდით?!

კაკუტა — ჰოდა, ეს მოგვივიდა.

ხალხი — ეჰ, დასალუბავია მაგისთანა კაცი!

ქუჩარა — აბა, ეგ თუ გაუშვეს, სულ ერთია, მთელ ქვეყანას დააქცევს. (ყველა გამოდის რეგკომიდან.)

თავმჯდომარე — ამხანაგებო, ყვარყვარე თუთაბერის უმსგავსო საქმეები სულ თავიდან ბოლომდე გამოვარკვიეთ.

ქუჩარა — ალაღია, ხომ ჩავარდი ტაფაში!

ყვარყვარე — რომ ვერ მივხვდები, რას მემართლებით? მერევოლუციანზე ლოგინი დამიგია და ახლა დასჯა მერგება?

სევასტი — ამხანაგებო, ყვარყვარე თუთაბერი ნაცარქექიაა.



ხ მ ე ბ ი — კი, კი, ნაცარქექია.

ს ე ვ ა ს ტ ი — ის მეფის დროს ჩემ მაგიერ დაიჭირეს და შემთხვევის წყალობით თავი გაუსაღებია ძველ რეკოლუციონერად... ჩვენი გამოძიებით კი ყვარყვარე თუთაბერი ნამდვილად ჭკუანაკლებია, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეს ადამიანი არაერთარ საშიშროებას არ წარმოადგენს და ამიტომ ვათავისუფლებთ.

ხ მ ე ბ ი — შემცდარია რეკომი, რეკომი შემცდარია!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — არაა შემცდარი, თქვე უსინდისოებო, მთლად ნუ მღუბავთ!

ს ე ვ ა ს ტ ი — მხოლოდ იმ ხელისუფლებაში, რომელიც აქ, ჩვენამდე, ნაჩქარევად შედგა იმ არეულობაში, შეეძლო ყვარყვარე თუთაბერს გმირის ადგილი დაეჭირა და ხალხისათვის ვნება მიეყენებინა, ჩვენ კი ახლა მას ნილაბი მოვხსენით და, დეე, თავისი ნამდვილი სახით, ნაცარქექიას სახელით, იაროს ქვეყანაზე.

პ ი რ ვ ე ლ ი ტ უ ს ა ლ ი — მაშ, თუ ჭკუანაკლების ხელში ვიყავით, კიდევ კარგად გადავრჩენილვართ.

მ ე ო რ ე ტ უ ს ა ლ ი — კარგია მაინც, რომ გავიგეთ!

მ ე ს ა მ ე ტ უ ს ა ლ ი — რადგან აწი ზიანს ველარავის მიაყენებს, იაროს და იჩერჩიტოს, რა ვვენალვლება.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ოო, რა სიცოცხლეს ვკარგავდი?!

ს ე ვ ა ს ტ ი — (ყვარყვარეს უახლოვდება) ნაცარქექია, ეს თავი კი შეგრჩა, მაგრამ გულთამზესთან ხომ შეგარცხვინეს?!

გ უ ლ თ ა მ ზ ე — აწი მაინც ვერ შემხედავ, ძვალმოტეხილო, ხომ სულელად გამოგაცხადეს?!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ყველა უბედურებას შენით გადავეკიდე, გულთამზე! მარა, თუ ცოცხალი გადავრჩი, მაინც არა უშავს. (თავისთვის.) ჯული არ გაიტეხო ყვარყვარე, დაიღუპა ის, ვინც სიცხვილით სოროში ჩაძვრა, მე კიდევ ავცოცდები, (ხალხი სტვენით, ყვირილით და დაცინვით აცილებს მიმავალ ყვარყვარეს.)

1928.—1929

ლოპიანე

კომედია ერთ მოქმედებად

მოკმედი პირები

ლოპიანე ძვადვალეს ძე.
მიჭუჭუნე, ლოპიანეს შინაკაცი.
ზეფორე, შემთხვევით დაწინაურებული კოლმეურნი.
ციცინო, მისი ასული.
ბეჟანი, ზეფორეს ქმარი.
გერასიმე, ქარხნის დირექტორი.
მარინე, ლოპიანეს ყოფილი ცოლი.
ზაბლონია.

1-ლი მომუშავე.

მე-2 მომუშავე.

1-ლი თანამშრომელი.

მე-2 თანამშრომელი.

დამლაგებლები, კომისიის წევრები.

ძვირფასად მორთული დარბაზი. ლოპიანე ხარბად ათვალიერებს ავეჯს და ნივთებს. ზოგს ხელით შეეხება, უეცრად თვალს მოჰკრავს თავის ლანდს კედლის სარკეში.

ლოპიანე — (სარკეში) ოჰ, ლოპიანე!.. რას მოესწარი, გეცინება!.. დღეს შენ დიდი კაცი ხარ... იფ, რა ბრძნული სახე მიიღე. ახლა მიხვრა-მოხვრაც გაქცაცური გჭირდება. თვალები აი, აი, ასე აბრიალე. თავი მაღლა დაიჭირე ლაპარაკის დროს. გაიცინე ისეთ-ნაირად, რომ რისხვაზე მკაცრად ისმოდეს. ასე, დრო იყო ბნელ ოთახში ეგდე შენი ბახარხლებით. ავტობუსში რომ შეხვიდოდი, ხალხი გვერდში გათავაზობდა... დღეს კი ბედმა სადამდე აგამალა. ბედმა? ეს რა ილაყბე. ბედმა კი არა — მან... რა ვუწოდო მას, ღმერთუკა? ვაი-თუ არ მოეწონოს. დევკაყიანი დავარქვი და ამისაც მეშინია. სულ მაკანკალებს, მთულოდნელად არ დამამხოს ისე, როგორც ამ სასახლეში ჩემამდე მყოფი... რად ამამალა ასე უცებ ესეც არ ვიცი. მუდამ მწუნობდა, ზოგჯერ წიხლსაც მაზელდა... მე კი სულ ჩვრად ვეგებოდი და ყველას ვასმენდი მის წინაშე. დღესაც მისი ყურმოჭრილი მონა ვარ... სამაგიეროდ რა ფუფუნება მითავაზა, რა ძალი მომცა. სამი კაცი რომ შეიყრება უსათუოდ გამოურევენ: რა კულტურულია ლოპიანე, რა უბრალოა, რა კეთილი. ეჰ, ბევრი



მაქვს სათქმელი, მაგრამ სად მცალია. საქმე არ იცდის. ახლა უკვე
 შე საჩქაროა ძველ მეგობრებთან ანგარიშები გავასწორო. დაუფიქრე
 თებ მათ ანგელოზებს. მხოლოდ მიჭუჭუნეს რა ვუყო, ისევ ძველ
 ბურად გეშინიაურება და მინდა მოვსპო, მაგრამ მჭირდება... გადიასა-
 ვით დამდეგს და ცხვირსაც კი თავის ხელით მხოცავს. (შემოდის
 მიჭუჭუნე.) ო, მიჭუჭუნე, ეს არის გამახსენდი. შენ სანამ გამახსენ-
 დები აქ უნდა იდგე.

მიჭუჭუნე — წუხელის შენი ჯავრით თვალი არ დამიხუჭრის:

ლოპიანე — რატომ?

მიჭუჭუნე — იმ შერცხვენილმა ზაბლონიამ რომ არ მოგა-
 კითხა სალამოს.

ლოპიანე — არა უშავს, მახეში მყავს.

მიჭუჭუნე — ესეც მართალია, ახლაც კარებთან ვნახე. ვუ-
 საყვედურე: კაცს სალამოს მოსვლას პირდები და დილას ჩნდები.
 რა ღირსი ხარ მიგიღოს-მეთქი.

ლოპიანე — უი, კარი მიუხურე, დამიფრთხე ხოხობის ქუჭუ-
 ლივით! შენ ერთს მეუბნები და გულში სხვა გაქვს.

მიჭუჭუნე — არა, შემოუშვი. მხოლოდ ნამტირაღევია და
 პირს იბანს.

ლოპიანე — რა ატირებდა?

მიჭუჭუნე — მამაჩემი უდანაშაულოდ არის დაჭერილი —
 ცრუობს.

ლოპიანე — ეს სწორია, დამნაშავე არ არის:

მიჭუჭუნე — მაშ, გაანთავისუფლებ?

ლოპიანე — აი, კითხე ჭკუა. ტუსაღის განთავისუფლება
 როგორ შეიძლება! მე შემძღნა სიივე უქნა, ხოლო სიკეთე და მო-
 ღერება დეგვაჟიანს არ დაუვალეზია.

მიჭუჭუნე — დეგვაჟიანის ბრძანებაა უდანაშაულო არ გა-
 ანთავისუფლოთო?

ლოპიანე — ეს არ უბრძანებია, მაგრამ ჩვენ ამითა ვართ
 დიდი კაცები, რომ დეგვაჟიანის ფიქრები გვესმის. ადამიანს სხვისი
 სიტყვები ყურით ესმის, ფიქრები კი ჭკუით.

მიჭუჭუნე — კარგი, ახლა მეორე ამბავია უფრო საწყენი, იმ
 კარებთან ატუხულია შენი ყოფილი ცოლი.

ლოპიანე — ო, რა მოუშორებელი ჭირია!

მიჭუჭუნე — პირიქით, ასე მითხრა ბავშვები ჩემ გვარზე
 უნდა გადავიყვანო — უარს ვამბობ მაგის ალიმენტზეო.

ლოპიანე — მერე, ხომ დახოცავს სიმშლით ბავშვებს ის
 ძუკნა.

მიჭუჭუნე — ასე ამბობს, სოფლად მივალ სამუშაოდო.

ლოპიანე — კარგად ვიცი რა უნდა — მაგას მოხარულს
 ვიცნობ.

მიჭუჭუნე — მე ვატყობ, ქრთამი უნდა და მისთვის გაკა-
 კუნებს.

ლოპიანე — არა, ჩემი წონა ოქროს რომ მისცე ხელს არაბ-
ლებს. მაგას უნდა ცოლად დაიბრუნდეს და ჩემი სისხლ-ხოვეცი
ჭიჭენოს.

მიჭუჭუნე — აჰა! ის რომ დაბრუნდეს მე კეტით გამაგდებს.
როგორმე ოქროს დაუწურე.

ლოპიანე — კარგი. შემოიყვანე, როცა თვალით დაინახავს
რა ფუფუნებაში ვცხოვრობ, ნუთუ ვერ დარწმუნდება, რომ ჩემი
ღირსი არ არის.

მიჭუჭუნე — ჰო, იქ ზეფორეა ქმარ-შვილით.

ლოპიანე — ზეფორე? უყურე ამ ტურას!

მიჭუჭუნე — რა ვიცი, დიდ ზეფორეს ეძახიან მის რაიონში.

ლოპიანე — ტურაა. — ატყობდა, რომ დიდი მომავალი
მქონდა და თავის ქალიშვილი შემომჰაძლია. მეც მიჭირდა და კინაღამ
მოვტყუვდი.

მიჭუჭუნე — უშნო გოგოა?

ლოპიანე — კარგია, მაგრამ ის რომ შევიერთო, დედამისის
ცოდვებიც უნდა მოვიყიდო.

მიჭუჭუნე — რა ცოდვა აქვს?

ლოპიანე — ლამის თავის საყმოდ აქციოს რაიონი.

მიჭუჭუნე — მაშ, დასატუქსაჲად მჩინებ?

ლოპიანე — არა, ვინც ორმოს თხრის, წაფარებაც უნდა იც-
ოდეს. ჯერ დავაკვირდები მის ქალიშვილს.

მიჭუჭუნე — რჰო, ჰო!

ლოპიანე — ახლა ჩემ დაწესებულებას აცნობე, რომ იქ
მისასვლელად არა მცალია და თანამშრომლები სახლში გამომიგ-
ზაანონ.

მიჭუჭუნე — ამას — ახლავე, მერე?

ლოპიანე — მერე რიგ-რიგად შემოუშვი. (მიჭუჭუნე აპი-
რებს წასვლას; მობრუნდება)

მიჭუჭუნე — ჰო, ზაბლონია ჩემს ლექსს კითხულობს, ბო-
ლოს დაუძარბო.

ლოპიანე — რა ლექსია?

მიჭუჭუნე — ცოტა შევაქე.

ლოპიანე — ეჰე, მე მგონია, პატონანად მოვაქვს ჩემთვის
კერძი და ჩუმათ საწამლავს აყრი!

მიჭუჭუნე — არა, გეფიცები.

ლოპიანე — მაშ, ახლა გამოასწორე ეს შეცდომა. ისეთი სა-
გინებელი ლექსი დაუწერე, რომ ჩემთან გიჩივლოს.

მიჭუჭუნე — თუ მოვახერხე...

ლოპიანე — მაშ, ამისთვის გპირდები, რომ შენს მოჩმა-
ხულს საღმე დავაბეჭდვინებ და მწერლობაში შეგაყოფინებ (ხვირს-
მეთქი!

მიჭუჭუნე — მართალია, ჩემი კალამი-მარტო შენ გემსახუ-
რება, მაგრამ ზოგჯერ მუხა გადაგაცდენს.



ლოპიანე — უყურე, მართლა არ წარმოიდგინა თავი ხანდახან მიტომ გამოგდის სიტყვა კობტად, რომ ჩემზე წერ, თორემ ძალი არ დასუფავს. (შემოდის ზაბლონია)

ზაბლონია — მე კიბესთან ვიდექი. უცებ ერთი აშარი დედაკაცი დარაჯს გამოუსხლტა და ჩემკენ გამოეშურა. მე აქ შემოვვარდი.

ლოპიანე — ოო, ალბათ მარინეა. მიჭუჭუნე, ყუხარის წესი დაგირღვევია-თქო, საშვები ააღებინე და ისე შემოიყვანე. (მიჭუჭუნე მიდის)

ლოპიანე — როგორ გიკითხო ზაბლონია.

ზაბლონია — მკვდარი ვარ.

ლოპიანე — სახეზე არ გეტყობა.

ზაბლონია — სულიერად.

ლოპიანე — სული მღვდლების მოგონილია, ახლა აქ სტუმრები მოვლენ და შინაურ ქალად გააცანი თავი.

ზაბლონია — როგორ?

ლოპიანე — ისე, რომ იჭვით გააბრაზო სხვა ქალები.

ზაბლონია — ეს ხომ თავის მოჭრაა!

ლოპიანე — რას ამბობ? აქ ქალი ერთი საათით რომ შემოვიდეს, მერე მორიდებით დაუკრავენ თავს.

ზაბლონია — არა, მამას ვეფიცები. არ შემოძლია.

ლოპიანე — მამასო, ეს რა შემომაპარა! ტუსალს იფიცებ ჩემთან?

ზაბლონია — კარგი, მეორედ არ შეგაწუხებთ ჩემი მოსვლით.

ლოპიანე — ცოტა გულს დაუშვი. ჯერ სტუმრებთან მომეფაუქნე, საღამოს კი მარტო დავრჩებით და ვნახოთ...

ზაბლონია — არა, ეს რა ხომობაა ძაძაძაოიჩი!

ლოპიანე — რას ამბობ? აქ რომ ფეხს შემოდგამ ქალიშვილო. არ იცი, რომ ხუმრობა არ შეიძლება!

ზაბლონია — მე კი ისეთი იმედით მომიყვანა მიჭუჭუნიმ...

ლოპიანე — გაჩუმდი, სოფლელები შოდიან. წესიერად შეხვდი. (შემოდის ზეფორე, ბეჟანი და ციციანი).

ზეფორე — უი, ლოპიანე, შენ შემოგვევლოს ზეფორე, უნდა გაკოცო, როგორც შვილს და პატრონს.

ლოპიანე — მოითმინეთ... კოცნაზე კი არა, ხელის ჩამორთმევაზეც ნუ ავჩქარდებით.

ზეფორე — კი, შენი ჭირიმე, ლოპიანე, ჯერ დაგაკვირდები. კი გამოცვლილხარ იცი!

ლოპიანე — ასეა. ადამიანი პატივია.

ზეფორე — ძალიან გამოცვლილხარ. მაგრამ ჩემი სიყვარული, გატყობ, როგორიც გქონდა, ისეთი შეგვრჩენია.

ლოპიანე — მავაზე რა მოგახსენო.

ზეფორე — ჰო, ახლა პირში ხომ არ მომიფეგრები ძველებუ-



რად, ამოდენა კაცი. მხოლოდ მე იმითაც ვხედავ შენს სიყვარულს რომ ქმარ-შვილით მიმიღე.

ლოპიანე — ქმართ?

ზეფორე — აბა, ეს ქიშკართანაც ვერ მოგეკარებოდა, მაგრამ მე გაუპირე. — სამჯერ დაიბარეს ერთ ადვილას, ისეთი რამეები კითხეს, თავის ჭკუაზე არაა... შეშინებულა.

ლოპიანე — შეშინებულა? მერე მე სადაური ექიმბაში ვარ, შეულოცო.

ზეფორე — რა ვქნათ. ციცინოსაც არ ძინავს ჩვენი ჯავრით. მაგრამ შენ რომ სახლში მიგვიღე, ეს გვეყოფა ნუგეშად.

ლოპიანე — აქ მე ისეთი ჭოგრიტი შაქს, ერთი თვალის გადავლებით ვხედავ ყველას.

ზეფორე — ყველასთვის ხომ არ მოიცლი, ლოპიანე.

ლოპიანე — შენც არ დამვიწყებინარ. ყველაფერი გავიგე.

ზეფორე — მაშ, ჩემი თავი მისთვის გემაცვალოს, რომ არ გავიწყდება შენი პირველი მოთაყვანე. ჯერ კიდევ კვირტში იყავი, როცა ვთქვი, თუ რა ყვავილი იქნებოდი.

ლოპიანე — ახლა არც მაკვირდება.

ზეფორე — უი, მართლაც, დამიბრძმავდეს თვალი, რა სავარძელში ზიხარ. ოპო-პო! რა ავეჯია, რა ჭურჭელი!

ლოპიანე — ამ კედლებზე შენ ქალაღი ხომ არ გგონია.

ზეფორე — აბა?

ლოპიანე — აბრეშუმი.

ზეფორე — უი!..

ლოპიანე — აჩვენე, ზაბლონია.

ზეფორე — (ღია კარებში იხედება) უი, ის ოთახი რა მოხატულია.

ლოპიანე — ხედავ, იქ კედლებზე რა სურათებია.

ზეფორე — ო, რა ქალია — რა ეშმაკი ყოფილა მაგის დამხატველი — ცოცხალივითაა. ჩემს ციცინოს მაინც ვერ ჯობს.

ლოპიანე — მაგ ლეონარდო შექსპირის დახატულია.

ბეჟანი — (ზეფორეს) ეშლება: ლეონარდო და ვინჩია.

ზეფორე — (გულმოსულად ბეჟანს) გაჩუმდი, შენზე მეტი მაგას ესმის, გლახაკო!

ლოპიანე — ძველი რეჟიმის დროს მოკვდა. რატომ უნდა მომკვდარიყო. ის რა გენიოსია, რომელსაც იმდენი მამაძალღობა არა აქვს ორას წლამდე ვერ გაძლოს, მაგრამ არ დააფასეს და შაშვივით გაუსკია გული.

ზეფორე — რა ენის კლიტე გაქვს, მაგ ლაპარაკი რა ვიხდება.

ლოპიანე — არა, მასეთი გალობით ვერ გადამაცდენ.

ზეფორე — შენგან პილპილიც მეტკბილება.

ლოპიანე — (ბეჟანისკენ) შენ აქეთ მოიწი. ბეჟანი გჭკია, არა!

ბეჟანი — დიახ, სამჯერ ბრძანდებოდი ჩვენსას, ალბათ გახ-

სოკარო.

ლოპიანი — მე უფრო ის მახსოვს, რომ დაქვრივი იყავი.

ბეჟანი — არა, რისთვის დამიჭერდნენ!

ლოპიანი — ძველი ინტელიგენტი ვარო, ნიახურის ფოჩი-
ვით მოგქონდა თავი.

ბეჟანი — პირიქით, სულ ჩამალული გიყავი.

ლოპიანი — მაგისტვის უნდა დაექირეთ... საზღვარგარეთ
ხარ ნაცხოვრები?

ბეჟანი — კი, მეფის დროს, ჭაბუკობაში.

ლოპიანი — რას აკეთებდი?

ბეჟანი — ისეთ ქალაქებში დავდიოდი, სადაც გენიოსები
დაიბადნენ და მათი საფლავები მინახავს.

ლოპიანი — ალბათ, გიხაროდა, რომ ისინი მკვდრები იყ-
ვნენ. შენ კი ცოცხალი დაცქეროდი.

ბეჟანი — არა, ბატონო. ყოველ მათგანზე ვნატრობდი ამდ-
გარიყო და დამლაპარაკებოდა.

ლოპიანი — სწორედ ამისთვის ადგებოდა გენიოსი, რომ
შენისთანა სულელს დალაპარაკებოდა.

ბეჟანი — ამით მინდა ვთქვა, რომ მათი იდეებით გიყავი
აღფრთოვანებული.

ლოპიანი — ვაი შენს პატრონს, რომ გამოტყდი! ჩვენ გენი-
ოსების ხსოვნას ვაფასებთ, მხოლოდ მათი აზრების ამყოლს, ცოცხ-
ლებში, ტყავს ვადრობთ.

ბეჟანი — ა?

ლოპიანი — მათ ძეგლებს უღვამთ, მხოლოდ ამ დროში
რომ გაცოცხლდნენ, ჩვენს ჭკუაზე დავაწერინებდით და, რაც წინათ
დაწერეს, იმაზე ბოდიშს მოვასდევინებდით.

ბეჟანი — მეც ვიხდი ბოდიშს.

ლოპიანი — შენ რა გქონდა, ხვრელში ცხოვრობდი ფულუ-
სავით.

ბეჟანი — დიახ, სწორია.

ლოპიანი — თავს ნუ იკატუნებ, ბოლოს ზეფორეს კალთაში
დაიმალე, მაგრამ მასაც შემოვანებეთ კალთას და შენც ფრრრ!..

ზეფორე — ერთხელ, ჩვენსას რომ სტუმრად ბრძანდებოდი,
ეს სალონში დაამწყვდიე ხუმრობით.

ლოპიანი — ახლა ხუმრობის სასიათზე არა ვარ.

ზეფორე — (ციდინოს) ბეჟანმა სულ წამიხდინა საქმი.

ციდინო — გულს ნუ მიშინებ, დედა.

ზეფორე — შეიძლება, ამ ნივთებს ხელი მოუხსია? რა ნივ-
თებია, რა აივარი. ყველაფერი მოსაფრებელია.

ლოპიანი — აბა, ამათი ამბავი რომ იცოდე, ვის ხელში
იყო, მართლაც შეგეცოდება. სულ მყვლეფელებს ეკუთვნოდა. ახლა
ხალხისაა, ჩემია. ეს რაა, სამ ადგილას მიკეთებენ ჩარდახებს,

ზეფორე — აი, მესმის!



ლოპიანე — ზღვის სანაპირო აგარაკზე — შიგ ზღვაში იყვანეს ყორღ და ზღვა ეზოში მაქვს — საკუთრად.

ზეფორე — სასწაულია. სწორედ ცაზე მიუღვამთ შენთვის კიბე.

ლოპიანე — მაგით მოვტყვილდები! კიბე მიმიდგან, მაგრამ ცაზე ამსვლელი არა ვარ. მე მიწაზე მაქვს საქმე, ხალხი მიყარს. გინც აქ ჩემამდე ცხოვრობდა, რისთვის დაამხო ქვეყნის საამაყო შვილმა. ჩემმა დეეკაქიანმა? იმიტომ რომ პირად სიამოვნებას დაეწაფა, ამ ნივთებთან ბურჟუაზიის გადმონაშთები შეითვისა. მე კი ამას არაფრად არ ვთვლი, ამას გარდა მუზეუმებიდან გამოვიტან ძვირფას ნივთებს და აქ ავაზიმზიმებ და მაინც არაფრად არ ჩავაგდებ. სპეკულიანტების სინსილას არ გააუშვებ, კოჭა ძაფის ქურდობისთვის ვსპობ. ვწინედ ქვეყანას ხარბებისაგან, მხვეჭილებისაგან, ხალხის მტრებისათვის მახვილს ვლესავ.

ზეფორე — არ გეტყობა? ამ მოწყობილობაზე გეტყობა.

ლოპიანე — რა მეტყობა?

ზეფორე — დიდი კაცობა. მე კი არ შემეფერება ასეთი. თუმცა ჩემი სავაღრისი მაინც მბაბია. ზღვის პირად მაქვს კოხტა აგარაკი, აქ, ქალაქში მოხდენილი ბინა. სოფელში ხომ შენც გინახავს რა დარბაზები, არც ქურჭელი მაკლია, თუმცა ამასთან ჭინჭრაქას ბუდეა.

ლოპიანე — პატოსანი გზით არც ის მაქვს შეძენილი, — ჩემსავით ძალად არ ჩაუღვიათ ხელში.

ზეფორე — შენსავით თანამდებობით არ მრგებია, თანდათან შევიძინე, შრომით.

ლოპიანე — არა, თვალს ვერ ამიხვევ.

ზეფორე — ქვეყანამ იცის, შემოგვევლოს ჩემი თავი, შიმკელ-ლატაკი გოგო ჩემი შრომით დაეწინაურდი.

ლოპიანე — შრომის ნიშნით წამოგწიეს, მაგრამ ბერი თაღლითობით გამძვინდი.

ზეფორე — შენი ისე მწამს, ზეფორე არა ხარო რომ მითხრა, ამასაც დაგიჯერებ.

ლოპიანე — თავს ნუ ისაწყლებ. ხელის გულზე მიწერია შენი ცოდვები.

ზეფორე — მითხარი, ნუ დამამადლი.

ლოპიანე — მეზობლად ვინმე ფილიმონე არ გყავს?

ზეფორე — კი, თავის ძროხები კოლექტივს დაუმალა და ტყეში წველიდა. ამისთვის გადაასახლეს.

ლოპიანე — იმ ძროხებით შენ სარგებლობდი, მას კი გადასახლება ერგო.

ზეფორე — ჟი, მისი ცოლ-შვილი ახლაც ჩემ ზურგზეა.

ლოპიანე — მათთვის ყველაფერი წაგირთმევა. — თითონ ფილიმონე წერს პროკურორს გადასახლებისადან.

ზეფორე — შენი ჭირიზე?

ლოპიანე — კოლექტივის თავმჯდომარე საკუთარ მოტყუვეს
გყავს.

ზეფორე — ძალიან გშენის ლაპარაკი, მაგრამ მე უფრო
ის მახარებს, რომ დიდი ძალა გაქვს, კანონი მთლად ხელში გიპყრია.

ლოპიანე — ეს ახლა გაიგი?

ზეფორე — მერე რა გიხდება ეს ძალა-უფლება, ბევრს სხვი-
სი ხელიდან ძალა-უფლების მიღებას შენი ხელიდან სიკვდილი ურ-
ჩევნია.

ლოპიანე — შენ როგორ გსიამოვნებს?

ზეფორე — ისე მიხარია, ისე აღფრთოვანებული ვარ შენი
დიდებით, ლოპიანე, არ გაკოცო არ შემძლია. აი, ამ უბედურ ბე-
ქანსაც უნდა შენი კოცნა.

ლოპიანე — რად მინდა თქვენი ფლიდი ტლოშნა (ციცინო-
ზე) ვისგანაც თბილად მივიღებდი, ის ხმას არ იღებს, არც მისმენს,
ტყუილა ვიკადრე აქ ამდენი ლაპარაკი.

ციცინო — აბუჩად გვიგდება, პატივცემულო ლოპიანე.

ლოპიანე — გიკვირს, ქალიშვილო?

ციცინო — სათნო კაცად მიმაჩნდით ბავშვობიდან. როცა
დედაჩემთან მობრძანდებოდით, კამფეტს მომიტანდით და თქვენ
ხელით ჩამიდებდით პირში.

ლოპიანე — მას შემდეგ უფრო დიდი კაცი გავხდი, მამასა-
დამე, უკეთესი შევიქტენი.

ციცინო — მეც ასე მეგონა... და ისეთი იმედით შემოვდიო-
დი, სათხოვარიც ამოვიჭერი გულში. ახლა კი ცრემლი მადგება
თვალებზე.

ლოპიანე — აღმიანობას მიწუნებ? ცუდ კაცს ამ სავარ-
ძელში ჩააჩენს დევკაყიანი?

ციცინო — მეც ეს მიკვირს.

ლოპიანე — მე და დედაშენს სხვა ენა გვაქვს, ქალიშვილო.
ავს ვეუბნებით ერთმანეთს თუ კარგს, შენ ვერ მიხვდები. ჩვენი სი-
ტყუა გულის აქეთ ცხრა ეშმაკთან გამოივლის სანამ ენამდე მოაღ-
წევდეს. მითხარი, რა გაქვს სათხოვარი და როცა საქმით შეგისრუ-
ლებ, გაიგებ რა კაციც ვარ.

ციცინო — მაშ, ერთი კეთილი საქმე მინდა გთხოვოთ.

ლოპიანე — მითხარი.

ციცინო — ჩვენ მეზობლად დიდი ქარხანაა — გერასიმეა
დირექტორად.

ლოპიანე — ჩემი წამოწეულია.

ციცინო — იქ ჩვენი მეზობელი მუშაობდა, ახლგაზრდა გა-
მომგონებელია, რაფიელი ჰქვია.

ზეფორე — უი, რაფიელზე თხოე, რა გულუბრყვილო ხარ.

ლოპიანე — მერე!

ციცინო — ერთხელ თქვენზე უთქვამს: ინყინრად არ გამო-
დგა და დიდ კაცად დანიშნესო. ეს გერასიმეს გაუგია, მოუხსნია და

პასუხისგებაში აძლევს.

ლოპიანე — დაღუპულა. ვერ ვიშველი.

ციცინო — რატომ?

ლოპიანე — მე ჩემ თავს არ ვიკუთვნი, ხალხის ვარ. და ჩემი გაკილვა ქვეყნის შეგინებაა.

ციცინო — ბოდიშს იხდის. ფიცავს, რომ ბოროტი გულით არ უთქვამს.

ზეფორე — (ბეჟანს) უყურებ, ჩვენზე დამუნჯდა, რაფიელზე კი როგორ ამოიწვია ენა.

ციცინო — რადგან თითონ შენამდე ვერ მოაღწია, მე გთხოვთ მის მაგიერ. შენს ჭიშკარს რომ მოვადექით, ის საწყალი შორიდან პაპიროსს აბოლებდა. ამით არ დაუნახავთ. ჯავრზე თამბაქოს ჭაჩვად დაუწყია.

ლოპიანე — ძნელი საქმეა. მოწყალების მაგალითს ხალხს ვერ მივცემ. შენი დანაშაული რომ იყოს, გაპატიებდი.

ციცინო — ისე მიიღეთ, თითქო ის — მე ვარ.

ლოპიანე — კარგი. რადგან ის შენ ხარ... გადავკოცნოთ ერთმანეთი შესარიგებლად.

ციცინო — ისევ, დამცინით?

ლოპიანე — მე ამხანაგური კოცნა შემოგთავაზებ, შენ კი გეტყობა სხვა დამწამე, ჩემ ხელში გამოჩიტულმა! ბოლოსდაბოლოს ამით ისე გამლანძღე, პოლიტიკურ დანაშაულში გადაიხარდა. აწი იმ ბიჭს ცას არ დავანახებ.

ზეფორე — (ციცინოს) რა გვიყავი, გოგო!

ლოპიანე — უმწიკვლო გადაკოცნა მრუმობად ჩამომართვი. ვნახოთ, ვინ დაიხოკავს ლოყებს.

ციცინო — მამ, უმწიკვლოდ, ამხანაგური გულით შემომთავაზებ?

ლოპიანე — დიახ.

ციცინო — დიდი ბოდიში. ეს სხვაა. კარგი, პატივცემულო ლოპიან, მადლობის ნიშნად, რაფიელის მაგიერ გკოცნი უშებლზე.

ზეფორე — (ბეჟანს) მგონი ჩავიგდეთ ხელში.

ლოპიანე — (ზაბლონიას) ისეთი სიტყვები დაუთოთ, სულ დაუკარგა კოცნას გემო.

ზაბლონია — (ლოპიანეს) ეტყობა დიდი ცბიერია.

ლოპიანე — ახლა გვერდით დამიჯექი, ციცინო.

ციცინო — აქ კარგადა ვარ.

ლოპიანე — აბა, ზაბლონია ისეთი თვინიერია, დაჯექი-თქო რომ უთხრა — დაწვება.

ზეფორე — ზოგიერთი ქალი ფარისეველია.

ზაბლონია — ასეთია თქვენი ქალიშვილი, ვითომ აკოცა, მაგრამ ტუჩს ახლაც იხოცავს ჩუმად.

ზეფორე — არა, აქ სხვა ამბავია. ჯერ ზრდა არ ქონდა ჩემ ქალიშვილს მოთავებულნი, ლოპიანეს რომ თვალში მოუვიდა და

მას აქვთ მოთქმა-მოთქმა გვაქვს. (ციცინოს ჩუმად ჩაკრავს გვერდში)
შენ ხმა გაკმინდე!

ლოპიანე — მერე, რა გიხარია, მოყვრობა ვერ მოგხსნის
დანაშაულს.

ზეფორე — მაინც მოხარული ვარ.

ზაბლონია — თქვენ ბედნიერება, მე კი — დაცინვა.

ციცინო — არა, ქალიშვილო, მე მარტო ერთს ვოთხოვ ლო-
პიანეს, მშობლებს ნუ მიჩაგრავს...

ლოპიანე — ეჰ, სად ხურდავდება ჩემი დიდკაცობა. თქვენ
თუ აგყევით ხის წვერზე გამიყვანსთ. მე აქ მარჯვენა ხელი ვარ ქვეყ-
ნის საამაყო შვილის. ჩემი ხელქვეითნი ყოველდღე სამასი მცირე
და დიდ დამნაშავეს სიას მირღვევენ, რომელთაც არ ვინდობ. ისე
უნდა გავწმინდო საქართველო, მარტო წმინდანები დარჩეს.

ზაბლონია — რა მაღალი იდეაა. მხოლოდ დღეში სამასი
არ კმარა. ასეთი ღმობიერებით დიდი საქმე არ გაკეთდება.

ლოპიანე — შენ რადგან მამა დაჭერილი გყავს, გინდა სუ-
ყველა დავიჭიროთ, ჩვენ კი ხალხზე ვზრუნავთ.

ბეჟანი — დღეში სამასი დამნაშავესაგან წელიწადში რამდე-
ნი დგება ეს მარტო ლოპიანემ იცის. ცოტა არაა პატარა ერისთვის.

ლოპიანე — უყურე, ძველი ინტელიგენტი იფხუკება ინდა-
ურივით. მე შენზე მეტად მიყვარს სამშობლო, მხოლოდ უფრო მე-
ტად — კაცობრიობა... მე ვარ უამგარო, იდეის კაცი.

ბეჟანი — მჯერა.

ლოპიანე — ეგებ გგონიათ, ჭკუა არ მყოფნის კაცობრიობა-
ზე ვიფიქრო. როცა სამშობლოს მსხვერპლად მოუტან, ხომ დაჯამ-
ტიციებ, რომ ჩემს თავში კაცობრიობაზე ფიქრი ეტეივა.

ზეფორე — (ციცინოს) ხედავ, რა დიდებაა.

ციცინო — (ზეფორეს) როგორ არა, მეშინია.

ლოპიანე — ჯერ ერთი თვეც არაა, რაც აქ საამაყო შვილმა
დამსვა. ვეფხვივით ვიხედები გარშემო და სკუპისთვის ვემზადები.
არ დავზოგავ მისი გულისთვის არც ერს, არც კაცობრიობას.

ბეჟანი — დიახ, რასაკვირველია.

ზეფორე — კი, ლოპიანე, შემოგველე!

ზაბლონია — მასე უგულოდ ნუ ქრიჭინებთ. გულწრფილი
განდით!

ლოპიანე — მე დეკაქიანის ერთგული ვარ. მაგრამ გული
მტკივა, როდესაც მის საფეთქლებს უყურებ. ვესმით, ბუნება ისე
უგუჟურია, მას შეჰკადრა თმაში ჭადარა და, ბოლოს, გაიმეტებს.
ნუთუ არ შეიძლება მე მოვკვდე მის მაგიერ.

ზაბლონია — არა, ეს აუტანელია!

ლოპიანე — უნამუსოებო!

ზაბლონია — მერე სად არის მედიცინა, რას აკეთებს ეს
უსინდისო მეცნიერება!

ლოპიანე — თქვენ კი ამ დროს მოხვეჭაზე, ან ციხიდან ვირ-

თხების განთავისუფლებასზე ფიქრობთ.

ბ ე ფ ა ნ ი — რა სიტყვაა! ასე მგონია ციცირონი ლაპარაკობს.

ზ ე ფ ო რ ე — დაწურული ოქროა.

ლოპიანე — ოი, თქვენი ენა მომცა ქალამნად. თუ გუნებაში მაკრიტიკებთ.

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — ჰო, ციცინომ წელან გადმომკრა, თითქო შენი ხალათი არ შეეფერება სავარძლის ფერს. ეს ხომ კრიტიკაა.

ლოპიანე — რაო, მამ, მარტო ეს ჭინჭი მქონია! ეი, ამხანაგო დამლაგებელნო, მოიტანეთ ამ სავარძლის ფერი ხალათი.

(დამლაგებელნი შემოიხედავენ და მიდიან. შემოდიან მიჭუჭუნე და მარინე)

მიჭუჭუნე — კანონიერი გზით ვერ შეძოვიყვანე — ბალიდან შემოვარდა.

ლოპიანე — რატომ?

მიჭუჭუნე — პასპორტი არ ჰქონია და საშვები არ მისცენ.

მარინე — თავს ლაფი დაგასხი, მიჭუჭუნე, ვითომ არ მიცნობ, არა. ცოტა ქება დაგიწერია ჩემზე!

მიჭუჭუნე — როცა ლოპიანე არ გცნობს, მეც მისი თვალებით ვიხედები.

ლოპიანე — როგორ არ გიცნობ. ეს არის ჩემი პარტიული ამხანაგი — მარინე.

მარინე — მე მხოლოდ ღირსეულს ვთვლი პარტიულ ამხანაგად.

ლოპიანე — დამწვიდდით, რაზე შეწუხებულხართ.

მარინე — ისეთს არაფერს ვითხოვ. შეგაწუხოს. **(დამლაგებლებს შემოაქვთ ლოპიანეს სავარძლის შესაფერი ხალათი)**

I დამლაგებელი — ეს გვანით შესაფერისად.

ლოპიანე — ახლა რას იტყვი, ციცინო.

ციცინო — ზაბლონიას ვერ გაუგია. მე მხოლოდ თქვენი ხალათი მეუცხოვა.

ლოპიანე — მე ის ხალათი მიორჩენია გუშინ რომ მეცვა, თქვენ კი ეს შემომჩენით. მერე ის ვაზაც დადგით იქ, გუშინ მუზეუმმა რომ გამომიგზავნა... ორასი წლის ნახელავიაო, თუ ორი ათასი წლის, არ მახსოვს.

(მოაქვთ მესამე ხალათი და აცმევენ ლოპიანეს)

ზ ე ფ ო რ ე — ასეთი ძვირფასი თუ რამე იყო, არც ვიცოდი.

ლოპიანე — აბა! ახლა აქ ამხანაგ მარინესთან ცალკე სალაპარაკო მაქვს და ციცინოს ჩემს ბაღში ყვავილები დაუკრიფეთ.

მარინე — ზეფორე მაინც დარჩეს.

ლოპიანე — რად გინდა.

მარინე — შრომით დაწინაურებულია და როგორც სპეტაკი ადამიანი დაგვესწროს.

ზ ე ფ ო რ ე — კარგი. იცნობს ჩემს სინდისს ლოპიანე.

(მიჭუჭუნეს მიყავს ზაბლონია, ციციხო და ბეჟანი. დამლაგებლებს შემოაქვთ ვაზა და დგამენ)

ზ ე ფ ო რ ე — ოჰო, ჰო, ეს კიდევ რაა. ქალი ვარო ამ ოჯახის დიასახლისმა უნდა თქვას.

მ ა რ ი ნ ე — შენგან მიკვირს, ზეფორე, თუ ოჯახი წესიერი არ არის, დგამ-ჭურჭელი უშველის!..

ლ ო პ ი ა ნ ე — უყურე ამ ჩხიკვს. კიდევ ებრძვი, არა, ჩემს ავტორიტეტს.

მ ა რ ი ნ ე — ნახავ შენ დალუპვას.

ლ ო პ ი ა ნ ე — სწორედ შენთან ვიღუპებოდი.

მ ა რ ი ნ ე — ისე იხარე!

ლ ო პ ი ა ნ ე — არა? აბა რა იყო, ქვეყნის საამაყო შვილმა რომ ორი სილა გამაწუნა. ერთი მისთვის, რომ უჭკუო ხარო, ვენაცვალე მის ხელეებს, და მეორე მისთვის, რომ საეჭვო ცოლი გყავსო.

მ ა რ ი ნ ე — შენი დასმენით ჩამთვალა საეჭვოდ.

ლ ო პ ი ა ნ ე — შენსი ლაყბობით. ვინ კითხავს შენ სულელ ცოლს, სულ რომ სამართლიანობაზე და მუშა ხალხის სიყვარულზე ლაპარაკობსო, რა ესმის იმ მეტიჩარასო. მე იმავე დღეს მიგზვდი, რა მახეს მიმზადებდი და ღამეც არ გაგათევინი, ისე გაგაგდი ბინიდან.

მ ა რ ი ნ ე — თვალიც მაშინ დაგეფსო.

ლ ო პ ი ა ნ ე — იმავე დღიდან მოიბრუნა გული დეგაკაჟიანმა. მისთვის არ მოგხედეთ. თუ თვალი არ დაგიდგა, გაიხედე, სადა ვარ.

მ ა რ ი ნ ე — მართლაც არ შესმის, რა ნიშნით აგამაღლეს.

ლ ო პ ი ა ნ ე — როცა შენთან გცხოვრობდი, სხვა ქალისკენ გახედვას მიშლიდი. გაძლომასაც მანატრებდი, თარსი იყავი.

მ ა რ ი ნ ე — მე ვიყავი თარსი. ორი შვილი ქალმა შეგძინე. რომელი შენი მარგალიტები შეედრება ჩემს ბავშვებს?..

ლ ო პ ი ა ნ ე — ძალიან არ მენატრება წინტილიანი ცხვირები!

მ ა რ ი ნ ე — კიდევ ამისთვის გთვლიან კაცად.

ლ ო პ ი ა ნ ე — აბა, მაშინ მცემდენ პატივს, როცა წიხლის კვრით აღებდენ ჩემსას კარებს. ახლა თვეში ხუთჯერ მახდევინებენ დაბადების დღეს, რისთვის? მისთვის, რომ მომესიყვარულომ და შესაქონ. აი, მიჭუჭუნემ ამ თვეში იქვსჯერ მომილოცა დაბადების დღე ლექსით.

მ ა რ ი ნ ე — მაშ, შენი დაბადების დღეც სიცრუედ აქციე?

ლ ო პ ი ა ნ ე — ყოველ დღეობაზე თითო წელიწადს მაკლებენ და ამ თვეში იქვსი წლით გამაახალგაზრდავეს, შენთან კი უდროოდ ვბერდებოდი.

მ ა რ ი ნ ე — მლიქვნელები ჩაგდებენ სამარეში.

ლ ო პ ი ა ნ ე — არც მასე სულელი ვარ. რომლებსაც ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მოაქვთ დღეობაზე, პირველად ისინი შემყავს დასასჯელთა სიაში... და მაინც ახალი მსხვერპლი მოდის, უკეთეს საჩუქრით.

მ ა რ ი ნ ე — არც ეს მეუცხოვება შენგან.

ლ ო პ ი ა ნ ე — უშნოს რით გააკვირვებ. განა იცი ამის ფასა, რასაც აქ ხედავ!

მ ა რ ი ნ ე — არ, მსურს გავიგო. მირჩევნია შეჯარებად ვიხსნამდეილ კროპით გავაჯიფო გზა.

ლ ო პ ი ა ნ ე — შეფორეს ნაშრომი კურდღლებს აეკიდება, მაგრამ ისე ასაღებს, თითქო სპილოს ტვირთს ზიდავს.

მ ა რ ი ნ ე — არ მგონია მასეთი იყოს.

შ ე ფ ო რ ე — თუ სიმართლე გინდა, მარინე, შენ ლოპიანებს ღირსი არ იყავი.

მ ა რ ი ნ ე — ვაი, ჩემი ცოდვა, შენ მაინც რა მოგივიდა, შეფორე!

შ ე ფ ო რ ე — შენკენ ვლაპარაკობ, ჭკუით იქცევი, რომ შვილებსაც მთლად აშორებ. თავიდან არ იყავი შესაფერი.

მ ა რ ი ნ ე — რაღაცა დიდ ცოდვაში ჩაგდგამს ფეხი, რომ ასე ელიქნები.

შ ე ფ ო რ ე — ო, ეს მერგება შენგან, დიდმა შეფორემ რომ თავი გაგიტოლე და თანაგრძნობით დაგელაპარაკე.

მ ა რ ი ნ ე — მასეთი თანაგრძნობა არ მოგეშალოს. მე კი ჩემი შრომა მიშველის.

შ ე ფ ო რ ე — შენ ისეთი ცივი გული გაქვს, ისეთი დესპოტი ხარ, ყველგან ყინვას შეიტან.

მ ა რ ი ნ ე — ეჰ, უწყისო ქალთან პატიოსანს კამათი არ არგებს.

ლ ო პ ი ა ნ ე — ამისთვის შემოდი, დედაკაცო, რომ კორიანტელი ამიტეხო!

მ ა რ ი ნ ე — არა, მე საქმისთვის მოვედი. ერთ საბჭოთა მეურნეობაში მგზავნიან, ყვავილების მეურნეობაა და შენგან თანხმობას მთხოვენ.

ლ ო პ ი ა ნ ე — მერე იქედან მომასვენებ?

მ ა რ ი ნ ე — მისთვის მივდივარ, რომ ალიმენტზე უარი ვთქვა და ბავშვები ჩემ გვარზე გადავწერო.

ლ ო პ ი ა ნ ე — მაშ, მთლად მათავისუფლებ თქვენი ზრუნვიდან?

მ ა რ ი ნ ე — დიახ.

ლ ო პ ი ა ნ ე — კარგი, მე როგორც ოჯახის პატივისმცემელი კაცი, ავასრულებ თქვენს თხოვნას... მხოლოდ ხელწერილი დადგვი, რომ შენა ხარ მტყუანი ჩემ წინაშე.

მ ა რ ი ნ ე — ამას რად მაძულებ?

ლ ო პ ი ა ნ ე — ჩემი ძაგება რომ არ გაბედო. ხომ იცი, დიდი კაცის სახელის გატეხის ნება არა გაქვს.

მ ა რ ი ნ ე — კარგი, მაგ ხელწერილსაც დავდებ, ოღონდ გზას ვიწვიო.

ლ ო პ ი ა ნ ე — მაშ, ჩემს მდივანს მიმართე. ამ საქმეში დაგეხმარება.



მ ა რ ი ნ ე — ბავშვები გარეთ მიცდიან. აწი ნუ განახოს ღმერთი
თმა ჩვენი თავი. (მარინე მილის)

ლოპიანე — უჰ, ძალიან არ დამწყევლა! ასე რომელი და-
ლოცვა გამახარებდა. (შემოდინ ციციხო, ბეჟანი, მიჭუჭუნე და გე-
რასიმე)

გერასიმე — ლოპიან ძვალძვალში, სულ ერთი წუთით!

ლოპიანე — გერასიმე! კაცო, გუშინ არ იყავი, ვერ თქვი,
თუ რამე საქმე გქონდა.

გერასიმე — ამაღამ მივდივარ და იქნება რამეს დამახარებ.

ლოპიანე — გახსოვდეს, ჩემი დანიშნული ხარ და თავი
არ შეირცხვი.

გერასიმე — როგორ გეკადრება!

ლოპიანე — მაინც რაღაც ცოდვას მიმალავ, თორემ რატომ
წვალბ მუდამ, რომ წუთით მინახულო.

მიჭუჭუნე — ო, მეც მუდამ მაწუხებს, ლოპიანესთან შემო-
ვიო.

ლოპიანე — სადაური მზისუნახავი ვარ ასე რომ სულს ლევი
ჩემ მახვავ.

გერასიმე — მინდა სახეზე შემოგხედო და გავიგო, ხომ
არავინ დამასმინა შენთან, ან გული ხომ არ გიცვალა.

ლოპიანე — მერე, არ იცი, შე სულელო, რომ ლოპიანეს მა-
გას სახეზე ვერ შეატყობ. დეკაყიანი მასეთ გულუბრყვილო კაცს
ენდობოდა!

გერასიმე — მაინც კარგ ფეხზე შემოვსულვარ. აქ ციციხოს
ვხედავ, ეს ითხოვს ერთი მისი მეზობელი აღვადგინო ქარხანაში.

ლოპიანე — მეც მთხოვა.

გერასიმე — იცით, რა წამოროშა?

ლოპიანე — ვიცი და ვაპატიე.

გერასიმე — კარგი. აღვადგენ, მხოლოდ გადაჭარბებით კე-
თილი ხარ.

ლოპიანე — რაო! კეთილი ვარ?

გერასიმე — არა, თუ საჭიროა, კეთილიც უნდა იყოთ, აქ,
ალბად, ასე სჯობს...

ლოპიანე — როგორ, უნგარიშოთ ვარ კეთილი? მაშ, უსუ-
სური ვყოფილვარ. არავითარი ვაუკაცობა არ მქონია. მე მიბედავ
ამის თქმას!

გერასიმე — მე ისე გკითხე. შენ თუ მაღლიდან დამცქერი,
მე დაბლიდან გიჭვრეტ.

ლოპიანე — დაბლიდანო? დაბლიდან? არა, მართალი ხარ.
ეს შენგან ამხანაგური შენიშვნაა — ვლებულობ. ისენი მაცდურე-
ბია. ისე შემომიჩინდნენ, რომ ფუფუნების საგნები გამომაფენინეს.
უნდოდათ ამით ჩემში ბურჟუაზიული გადმონაშთები აღედგინათ.
არ გამოუვიდათ. მე მძულს ფუფუნება. ამხანაგო დამლაგებელნო,
მოდით, წაიღეთ ეს სავარძელი. ჩქარა გაიტანეთ. (შემოდინ დამლა-
გებელი)



გებელნი) ეს ხალათიც! ოო, ასე, წაიღეთ ყველაფერი. ახლა შემოვტანეთ აქ თქვენი სარდაფებიდან... უბრალო სკამები, მაგიდები. მეც უბრალო ხალათი მომეცით. თითონ მოვისხამ. ასე მირჩევნია. უბრალო სკამზე ვზივარ, მხოლოდ სავსე ვარ სამართლიანობით. იოტის ოდენას არაფერს ვაპატიებთ, რომ უბრალო სკამზე დამაჯინეთ. ახლა მოყვებით თქვენი ცოდვები და განაჩენი ჩემზე იყოს.

ზ ე ფ ო რ ე — ჩვენ არ ვიცით, რა არის ცოდვა და რა არ არის.

ლო პ ი ა ნ ე — თავს ნუ ისაწყლებთ. ქვეყანას ქირდავთ (შეკრთება) უი! (წამოდგება) ეს რა უბედურებაა! (დახედავს სკამს) რა-ღაცა შემესო. ლურსმანია, შარვალი გამიხნია, აბა, დახედე მიჭუჭუნე, სისხლი მოდის?

მიჭუჭუნე — არა, დაიცა. მგონი გაფხაჭნილია.

ზ ე ფ ო რ ე — უი, ღმერთო მომკალი!

გ ე რ ა ს ი მ ე — როგორ მოხდა!

მიჭუჭუნე — ცოტა გაფხაჭნილია და ახლა სისხლი ოდნავ დააჩნდა კანს.

ლო პ ი ა ნ ე — სისხლი! უი! ლურსმანზე მიკრობი იქნება.

მიჭუჭუნე — (აკვირდება) არა, არ ეტყობა.

ლო პ ი ა ნ ე — რას გაარჩევ, რამდენად შენ ჩემზე პატარა ხარ, იმდენად შენზე პატარაა მიკრობი და თვალით რას დაინახავ.

მიჭუჭუნე — ნუ გეშინია, ექიმს დაუძახებ.

ლო პ ი ა ნ ე — ჩქარა, ჩქარა! მხოლოდ, ვის მოიწვევ!

მიჭუჭუნე — ქირურგს, შინაგანს, კანის ექიმს.

ლო პ ი ა ნ ე — თვალის ექიმსაც დაუძახე.

მიჭუჭუნე — რატომ?

ლო პ ი ა ნ ე — კარგად დახედავს. თანაც, გაიხაროს. მაგათ

ერთ კვირას ეყოფათ სიხარულად რომ პატივი მცეს.

მიჭუჭუნე — მაშ, ოთხ ცნობილ პროფესორს დაუძახებ.

ლო პ ი ა ნ ე — ჰო, მხოლოდ თითომ თითო ნამდვილი ექიმი წამოიყვანოს, უბრალო, დაუჯილდოებელი, თორემ მაგენმა ისე შემომიარეს, ჩემი წარდგენითა აქვთ წოდება მიღებული და როცა თვითონ ჭირდებათ მკურნალობა, ერთმანეთს არ ენდობიან. აბა, ჩქარა მოიხმე.

მიჭუჭუნე — ერთ წუთში დავრეკავ და ორ წუთში აქ გაჩნდებიან. (მიჭუჭუნე მიდის)

ზ ე ფ ო რ ე — ზომ არ გტკივა, ლოპიანე, შენი ჭირიმი.

ლო პ ი ა ნ ე — რა ვიცი, ექიმები როგორ იტყვიან.

ზ ე ფ ო რ ე — ეს სულ ჩვენი ბრაღია.

გ ე რ ა ს ი მ ე — მართალია. ჩვენი მიზეზით მოუვიდა.

ლო პ ი ა ნ ე — არა, რომავთ, ეს ჩემი დანაშაულია. ჩვენ განატყუილად გვიფენენ ია-ვარდს. ჩვენი სიცოცხლე სჭირდება დეკაჟიანს და მისთვის გვიდგამენ რბილ სავარძლებს, თან ხალხსაც შეტი მორიდება ექნება, როცა პატივში დაგვინახავენ. ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ, რომ მოწამვლას გვიპირებენ, ტერორს გვიმზადებენ

და ყველა გაგვიფრთხილდება. მე კი მისი ურჩობა გავბედე, უნდა
ლოება წამოვიწყე და საშიში ჭრილობა მივიღე... გესმით, არ გამა-
ცხადოთ, რომ ამოდენა დანაშაული ჩავიდინე, თორემ...

ზ ე ფ ო რ ე — ნეტავ მალამოდ მაქცია და მაგ ჭრილობაზე დამ-
ლო მოსაშუშებლად.

ლ ო პ ი ა ნ ე — მალამოდ — უკან?... ო, ეს თბილი სიტყვაა. აი,
ბევრი გიტრიალე, მინდოდა ორგულობაში დამეჭირე, მაგრამ უმ-
წიკვლო აღმოჩნდი... ბოლოსდაბოლოს, ნამდვილი დანაშაული ერ-
თია: ჩემი ორგულობა. დიახ, ჩემი ერთგული უნდა იყოთ, მისთვის,
რომ მე დევკაჟიანის ერთგული ვარ.

ზ ე ფ ო რ ე — სადა ვარ, სად. რა ღირსი ვარ ამოდენა ადამი-
ანის წინაშე ასე უბრალოდ ვიდგე, ჭირიან ორ ფეხზე.

ლ ო პ ი ა ნ ე — ციც, ენა ჩაიგდე და ეს სხვაგან ილაპარაკე.

ზ ე ფ ო რ ე — მართალია.

ლ ო პ ი ა ნ ე — არა.

ზ ე ფ ო რ ე — მართალია-მეთქი შენი სიტყვა.

ლ ო პ ი ა ნ ე — არა. არც ერთი სიტყვა არ არის მართალი, რო-
ცა სხვა ლაპარაკობს. ყოველი აზრი სწორია, როცა მე გამოვთქვამ.
დევკაჟიანმა მე ჭეშმარიტების ნაჩაღნიკად დამსვა.

ბ ე ე ა ნ ი — მესმის, აი, ეს კარგად მესმის. ჩვენ აზრს მხოლოდ
ყურიდან ვღებულობთ, ჩვენს თავში კი არც გვებადება და არც
გვაბადია.

ლ ო პ ი ა ნ ე — თქვენ რა გესმით, ზარის ხმას გაიგონებთ, მაგ-
რამ საიდან არის, ეს მე ვიცი, მხოლოდ ჩემზე კარგად დევკაჟიანმა
იცის. მის ყურში ხალხის ტირილი ტკბილ გალობად მიდის, ხოლო
ხალხის გალობა და სიცილი ესმის აჯანყებად და აღშფოთებად. მეც
მისი ყურით ვისმენ და აქ მისთვის ვარ, რომ გაცილებული აკატი-
რო და ატირებულს „ვაშა“ ვაძახებინო.

გ ე რ ა ს ი მ ე — ვაჟკაცური სიტყვაა.

ლ ო პ ი ა ნ ე — ნუ ფლიდობ. ნუ გგონია, რადგან ქარხნის ღი-
რექტორად წაგწიე, თავი ქუდში გაქვს.

გ ე რ ა ს ი მ ე — ვიცი, როცა მეტი პატივი მეცი, მეტ სიამოვნ-
ებითაც დამსჯი, თუ დავაშავე.

ლ ო პ ი ა ნ ე — ნუ სოფისტობ.

გ ე რ ა ს ი მ ე — სწორია.

ლ ო პ ი ა ნ ე — ყველაფერი სწორი როგორაა, ცოტა კრიტიკაც
მინდა.

გ ე რ ა ს ი მ ე — მეც კრიტიკის წესით ვამბობ.

ლ ო პ ი ა ნ ე — რას ამბობ.

გ ე რ ა ს ი მ ე — ასე თუ ისე... აქეთ თუ იქეთ... საითაც გადავ-
წიოთ... რასაც ვფიქრობ, ჭკვეტილია.

ლ ო პ ი ა ნ ე — უფრო ნათლად მითხარი.

გ ე რ ა ს ი მ ე — მისთვის მიყვარხარ და გადიდებ ლოპიანე,
რომ მიუხედავად ჩვენი შეგომბრობისა, შეუყოყმანებლად დამხგრეტ.



ლოპიანე — სწორია. მხოლოდ ნუ ძუნწობ ჩემს წინააღმდეგობას.
 ცოტა დანაშაული დამანახე. **(შემოდის მიჭუჭუნე)**

მიჭუჭუნე — ისეთი ოხვრა გამაგონეს ექიმებმა ტელეფონში, ისე შეწუხდნენ სისხლი არ მოეწამლოსო, მგონია, უქუდლოთ გამოქანდნენ.

ლოპიანე — ისინი უფრო იმაზე შეწუხდნენ, რომ საშიში აკადემიკოსი არ ვარ, ვიცი მლიქვნელების ფასი. ჩემგან კი მართლა მოითალონ დუმა, მაგრამ მეც მათებურად და ბამბის ძაფით დაჯახრობ მაგ უნამუსოებს.

მიჭუჭუნე — სამინისტროებიდან დღეს პასუხისმგებელი მომუშავეები მოგიხმია დაწესებულებაში და რადგან იქ ვერ გინახულეს, აქ მოგაკითხენ.

ლოპიანე — შემოაუშვი.

მიჭუჭუნე — ექიმები რომ ახლავე მოვლენ?

ლოპიანე — მეორე, ან მესამე დარბაზში დაიცადონ. აბა, შუაში ხომ არ გავიხლიჩები.

ზეფორე — ოო, რამდენ საქმეს ართმევს თავს. **(მიჭუჭუნე კარებს ალებს. შემოდის მომუშავენი)**

I მომუშავე — აბა, მხნეთ მოახსენეთ. ცოტა მოლანჭალე-ბულად გაქვთ საქმე.

მე-2 მომუშავე — პირველად შენ მიესალმე.

მე-3 მომუშავე — ო. ჩვენი მეგობარი ხარ.

I მომუშავე — დიახ.

ლოპიანე — ძველი მეგობრობითაც ვერავინ შემაშინებს.

I მომუშავე — არა, მე მხოლოდ კმაყოფილება გამოვთქვი.

ლოპიანე — როდის დაგავალე მაგის გამოთქმა.

I მომუშავე — რა ვიცი, ლოპიანე ძვალძვალის, წინათ თბილად შემხვდი. ისიც დამპირდი, კარგად ყოფილხარ ოჯახში მოწყობილი და გესტუმრებო... სამსახურებრივი დავალებებიც მომეცით. მერე თუ გინმემ ჩამიფურთხა ჩამში...

ლოპიანე — მე ცხოვრებაში ათას შუკაში გამივლია და რომელ შუკაში ვის შევხვდი, საუ დავიზებო. ისე, შენისთანებს გადაეცი, რომ მე სხვა მეგობრები არ მყავს, ჩემი მეგობარი მხოლოდ ხალხია.

I მომუშავე — ეს მესმის და მომწონს, ძვაძვალის.

მე-2 მომუშავე — **(მესამეს)** აბა, ჩვენ წარუვლდეთ ძვაძვალის. **(მე-2 და მე-3 მომუშავე უახლოვდებიან)**

ლოპიანე — **(მომუშავეებს)** ისე იკრიბებით, თითქო სურათს იღებდეთ გაზეთისათვის.

მე-2 მომუშავე — გუშინ, ლოპიანე ძვაძვალის ძევ, უხალისოთა ხართო, გვისაყვედურე.

ლოპიანე — მე გუშინდელზე მეტი დღეს ვიცი. ყოველ მამლის ყვირლზე ჭკუა მემატება.

მე-3 მომუშავე — სწორია... ამ დილას შემოგივლიათ ქა-

ლაქი და ბევრი რამ გაგივიათ.

ლოპიანე — ხალხისთვის ის კი არაა საჭირო, რა გავაკეთებთ, არამედ — რა გავაკეთეთ.

მე-1 მომუშავე — სწორია, ლოპიან ძვაძვალში, სწორია — რა გავაკეთეთ.

ლოპიანე — არა, მთავარი ის კი არაა რა გავაკეთეთ, არამედ, რა დაენახეთ ხალხს.

მე-2 მომუშავე — გვესმის და ჩვენს ჭაბანს მთელი ძალით ვეწვევით.

ლოპიანე — თქვენ, ვატყობ, კული გაქვთ ერთმანეთზე გადასკვნილი. მაგრამ იმ კულს მიგაჭრით.

მე-3 მომუშავე — თავით ვაგებ პასუხს, თუ კული აღმომაჩნდება.

ლოპიანე — რად მინდა შენი თავი, მე ფაიფურის საფურთხებელი მაქვს. — შეხედე, მე საქმი მინდა.

მე-3 მომუშავე — სწორია.

მე-2 მომუშავე — სწორია, იძახი, მაგრამ თითონვე უშლი ხელს საქმეს.

მე-3 მომუშავე — მე უშლი თუ შენ?

მე-2 მომუშავე — მე ყველაფერი აწყობილი მაქვს, რათა სადღესასწაულოდ დამთავრდეს ხიდი და ხალხმა იგრძნოს ჩვენი მშენებლობის პათოსი, შენ კი მასალას არ მაწოდებ.

ლოპიანე — აჰა, ხომ შეგისწარით ქაჯის ჯამში.

მე-3 მომუშავე — მე?

ლოპიანე — ჩემთვის პიროვნება ნულია. ვადაზე ხიდი არ გაკეთდება ორივეს ზედ წაგასაკრავთ თქვენი თანამშრომლებიანად. არა ვარ სწორი? მე არ გამოვაცხადე ვადა? ხალხს მოვატყუებ?

მე-2 მომუშავე — სწორი ხარ, ძვაძვალში.

ლოპიანე — ერთი საათით რომ შეფერხდეს მდინარეში ხიდის მშენებლობა, თქვენს სისხლს შეუერთავ იმ მდინარეს. მორჩა, მთავარი ქუჩების გუდრონირება როგორ მიდის?

მე-3 მომუშავე — ის ვადაზე იქნება.

ლოპიანე — ორი კვირით ვადაზე აღრე მოათავებ. ხვალ დილას გამოცხადდება გაზეთებში და მეტი შენი გულისთვის საბჭოთა პრესას ვერ გავაყალბებ.

მე-3 მომუშავე — მუშა ხელი უნდა დაუმატო.

ლოპიანე — გინდა ხელი დაუმატე, გინდა ფეხი. იმ დღეს გამოვისეირნებ მანქანით და გუდრონი არ დამხვდება, შენს გვამზე გადმოვივლი.

მე-2 მომუშავე — არ არის სიმაგრე მე რომ შენი ბრძანებით არ ავილო ლოპიან ძვაძვალში.

ლოპიანე — უი, მუხლები გიკანკალებს, რის ამლები ხარ, შე ცანცარა. რაც გაკეთდება — ჩემი სიმტკიცით, რაც წახდება, თქვენი სიგლახეა.

მე-3 მომუშავე — ეს ასეა.

ლოპიანი — (I მომუშავეს) ახლა ისეა შენთან მაქვს საქმე.

I მომუშავე — დიახ. გავიგე, რომ გუშინ დაგითვალისწინებია ქარხნები და ორ ქარხანაში მუშებაც შეგიკრება.

ლოპიანი — ო, ჩემი პირით შევეკითხე მუშებს, რა გაჭირვება აქვთ და შენ მაგიერ შემრცხება.

I მომუშავე — რისთვის?

ლოპიანი — მუშებს პური და შაქარი ვერ უპოვიათ საყიდლად თავიანთ კოოპერატივებში.

I მომუშავე — სწორია.

ლოპიანი — ეს იცოდი?

I მომუშავე — მაშ, ბრმა ხომ არ ვიყავი.

ლოპიანი — მერე, რა ნაშუსით დაამშიე მუშები.

I მომუშავე — ის პური, ძვაძვალჩი, თითონ თქვენი მითითებით გადავისროლე რაიონში, ხომ მაქვს ამის დოკუმენტი.

ლოპიანი — არა, მავნებლობა გაქვს ჩადენილი. და მე შეცდომაში შემიყვანე? ეს უარესი შენთვის.

I მომუშავე — არა, ლოპიან ძვაძვალჩი, გაიხსენეთ, ძველი მეგობრობით არაფერს გთხოვ, საშსახურებრივი დაჯალება პირნათლად შევასრულე.

ლოპიანი — არა, ისე როგორ ააღელვეე მუშები, რომ მე გამიბედონ ამის თქმა, პური გვაკლიაო.

I მომუშავე — მოიგონეთ, მე მოგახსენეთ, მუშებს ხორცი არა აქვთ და ამისთვის ღელავენ-მეთქი. მირჩიე — მაშ მათი პური და შაქარი საწყობებიდან რაიონში გადაგზავნე და ესეც რომ არ ექნებათ, მაშინ ხორცი დაავიწყდებათ, მოიკაკვებიან და პურს და შაქარს ინატრებენო. პურის და შაქარის ახალი პარტია გზავია, ამასობაში მიიღებენ და აღდგომასავით გაიხარებენო. ახლა, მართლაც, მოაღწია და დაუბრუნებ.

მე-2 მომუშავე — ეს ისეთ რამეს ეუბნება, უნდა გავიგონოთ.

ლოპიანი — (მომუშავეებს) გესმით!

მე-3 მომუშავე — დიახ, გვესმის — შესანიშნავად გალობენ შაშვები თქვენს ბაღში.

ზეფორე — სწორედ პატარა სამოთხეა ეს ბაღი.

ლოპიანი — არა, ამის ბეჭეტური თუ გესმით.

მე-2 მომუშავე — არა, გვაპატიე ძვაძვალჩი, ბალისკენ ვეკონდა ყური.

ლოპიანი — (I მომუშავეს) მე რომ უკან რამე წამეცდეს, შენ წინ თავის თავზე უნდა გადაიბრალო და ხალხის წინაშე ბოდიში უნდა მოიხადო. ისინი ჩემთან გიჩივლებენ და მე გაპატიებ, როგორც პირველ დანაშაულს, შეიძლება მეორეთაც გაპატიო, თუ კარგ ხასიათზე ვიქნები. შენ ეს ანბანი არ იცი და აქ თანამედრობაზე მოძარბები!



I მ ო მ უ შ ა ვ ე — მე შენ სიტყვას ბეწვზეც არ გადაუხვევ.
 ლ ო პ ი ა ნ ე — მე როდის გითხარი მუშები ამიჯანყდნენ?
 ისე როგორ ააღელვე მუშები, რომ მე ამის თქმა გამიბედეს — პუ-
 რი გვაკლიათ. მათი თავხედობა რომ დეკავაიანის ყურამდე მივი-
 დეს, ო, რა ცხელ პანლურს დამირთავს, მისი მუხლების ჭირიმი.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — მე, შენ რომ მიბრძანო, საფლავზე სალორეს
 გავაკეთებ. მე მოვასხენე, ხორცს მოითხოვინებ-მეთქი, შენ მიბრძანე,
 — პურიც რაიონში გადაგზავნეო. არ შემისრულებია?

ლ ო პ ი ა ნ ე — მე სწორად მითქვამს, მაგრამ შენ ვერ გაგიგია.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — როგორ გამეგო.

ლ ო პ ი ა ნ ე — როდესაც ეს გითხარი, უნდა მიმხვდარიყავი,
 რომ მე ამით მტკიცედ გამოვიცხადე, ხორცი იშოვე-მეთქი.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — თქვენც იცით, რომ არ იყო.

ლ ო პ ი ა ნ ე — როგორ, ამოდენა რესპუბლიკაში ხორცი არ
 იშოვებოდა, შე სალახანა!

I მ ო მ უ შ ა ვ ე — ლიმიტი ამოწურული დამხვდა. ყველაფე-
 რი გეგმითაა.

ლ ო პ ი ა ნ ე — იმის მაგიერ, რომ თვალი დაგეთხარა და ხორ-
 ცი გეშოვა მუშებისთვის, უკანასკნელი შაქარი და პური წაართვი
 და გეგმის ვადაზე ადრე შესრულება მოთხოვი დამშეულებს. არა,
 ასე გულუბრყვილო არა ხარ, ეს მავნებლობით ჩაიღიწე, გამყლაგ-
 ნებული მტერი ხარ.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — მტერი?

ლ ო პ ი ა ნ ე — მე გამოვუცხადე მუშებს, რომ ისინი მავნებ-
 ლობის მსხვირპლნი არიან და გავეცი განკარგულება, რომ ახლავე
 დაურიგონ პური და შაქარი თავსაყრელად, ხოლო მავნებლებს ულ-
 მობლად დაესჯით. ო, რა აღტაცებით მოისმინეს ეს ჩემგან!.. დამ-
 პირდნენ, რომ ერთი-ორად შეასრულებენ გეგმას.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — მე ხომ არ დამასახელე იმ მავნებლებში?

ლ ო პ ი ა ნ ე — ხალხის ხმას ყურადღება მივაქციე. დაარწმუნ-
 დი, რომ სავაჭრო ქსელებში დიდი მავნებლობაა (სხვებისკენ) თქვენ
 საით იხედებით! აქ ვეფხი ღრიალებს და თქვენ ჩიტებს უსმენთ!..

ზ ე ფ ო რ ე — კი, გენაცვალე, ის ჩიტებიც ამას ჭიკჭიკებენ,
 ვეფხს მოუსმინეთო.

ლ ო პ ი ა ნ ე — მე კი ჩიტებმა გადმომძახეს, სავაჭრო ქსელებ-
 ში მავნებლობაა, ნახევარზე მეტი ქურდიაო და გამოვყავი რევიზია.
 იმ რევიზიასაც რევიზია დაუნიშნე და სუყველას სამუდამოდ უკ-
 რავთ თავს დამნაშავეთა ლაგერებში. იქ ვასწავლით პატიოსან
 შრომას.

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — კი, შენი ჭირიმი.

ლ ო პ ი ა ნ ე — არ დავზოგავთ, ვაშ, ახალი კადრები მოდიან!
 ახალგაზრდობას უმუშევრად დავტოვებთ და ქურდებს და სპეკუ-
 ლიანტებს ვაპარპავებთ! ამისთვისა ვართ ხალხის მთვარობა რომ
 ახალი ბურჟუაზია წამოვიჯინოთ თავზე?!..

I მ ო მ უ შ ა ვ ე — სწორი ხართ ძვაძვალში, მხოლოდ ჩემ
მიმართ გთხოვ... ვერ გავიგე, გულუბრყვილობით დავაშავე. ჩემი
ბიოგრაფიაც გადასინჯეთ. მოიგონეთ, მე თვითონ რამდენი მავნებ-
ლები ამილაგმავს.

ლ ო პ ი ა ნ ე — ეს კარგად გამახსენე. ბევრ პატიოსნისთვის და-
გებრალეზია მავნებლობა და დაგილუპავს.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — ასე ნუ მომიჭერ ხელს.

ლ ო პ ი ა ნ ე — ფუფუნებაში ცხოვრობ, რომელ დამსახურე-
ბით!

I მ ო მ უ შ ა ვ ე — მოგახსენებ.

ლ ო პ ი ა ნ ე — რევიზიას მოახსენე.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — როგორც მიბრძანებ.

ლ ო პ ი ა ნ ე — რომელ თანხიდან აიშენე კონტა კოტეჯი ბალით,
გარაჟით, ტალავერით — შუა ქალაქში.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — მლიქვნელებმა გადამაცდინეს. ეს ქალაქს
დაამშვეწებსო, ძვაძვალში, თვალში ესიაშოვებათო. მშრომელი
ხალხის ინტერესები მოითხოვსო. ასე მითხრეს.

ლ ო პ ი ა ნ ე — მშენებლობა მოეწონათ, მაგრამ შიგ შენ რომ
დავინახეს, აღშფოთდენ, რა ჯაშაგირით აიშენათ.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — გეფიცები, ძვაძვალში, თუ ხალხს არ სია-
მოვებდა, დავთმობ, მე სულ არ მჭირდება.

ლ ო პ ი ა ნ ე — ეს მაგარი პასუხია, კარგი. მთლად არ მინდა
შენი გაფუჭება — გამომადგები.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — დიახ, რაღაც გინდა მომიხმარე. ჰა, სულით
და ჰა, ხორციით.

ლ ო პ ი ა ნ ე — შენ ხომ არ ივიწყებ ძველ მეგობრობას.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — დიახ, თუ მიკადრეხები.

ლ ო პ ი ა ნ ე — დიდი კაცის მეგობრობა ასე იოლი კი არაა,
რაღაც მსხვერპლი უნდა გაიღო.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — ო, შავ ცეცხლში თუ არ ჩავდგი შენთვის
— ცეცხლი მომიკიდოს.

ლ ო პ ი ა ნ ე — მას, ერთი რამ ამისრულე. ჩვენ გიცით, რომ
მავნებლებს საიდუმლო ცენტრი აქვთ.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — ო, ეს მჯერა, მეც სულ მაგას ვამბობდი.

ლ ო პ ი ა ნ ე — ჰო და, შენ ერთ დიდი მავნებლისაგან წერილი
მიგიღია.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — არა, ბატონო.

ლ ო პ ი ა ნ ე — მე ვიცი, რასაც ვამბობ. ნუ იხევი უკან თქვანი
ხარივით. ის წერილი მომიტანე. ხვალამდე გაძლივ გადას. გულწრ-
ფელად აღიარე ცოდვები და გაუკაცურად გაპატიებ.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — ლოპიანე ძვაძვალში!

ლ ო პ ი ა ნ ე — თუ დაწვი ის წერილი, ამის ნებასაც გაძლივ:
შინაარსი მოიგონე და დასწერე.

I მ ო მ უ შ ა ვ ე — რა გავიხსენო, რაც არ მომიხდარა.



ლოპიანე — (სხვებს) თქვენ ისევე ბალში გაიხედეთ **მომუშავეს** მოიწი აქეთ. ჩუმად გეუბნები, დასწერე, ვისი გავლენით ააყბედენ მუშები. ვინ მობინდომო დეკანოზთან ჩემი ავტორიტეტის დაცემა.

I მომუშავე — შენ თავს ვფიცავ. მე ეს სიზმრადაც არ მომსკლია.

ლოპიანე — გვერდებს რომ შეგალეწავინ ცხადად გაგახსენდება.

I მომუშავე — გინდა მომკლან, რაც არ მომხდარა რა გამახსენებს.

ლოპიანე — მაშ, რადგან მეცოდები, ასეთ შეღავათს გაძლევ: გამოიგონე და დასწერე. აბა, გასწი, გააკეთე ეს საქმე.

I მომუშავე — ლ...ლოპ...ძვ...ძვ...

ლოპიანე — უკან არ მოიხედო. (I მომუშავე მიდის)

ზეფორე — ო, რა სამართლიანი კაცი ხარ, ლოპიანე.

ლოპიანე — (მე-3 თანამშრომელს) შენ გავალეებ, მაგარი რევიზია გააგზავნე ზეფორეს რაიონში. ეს იქ დიდ ობობასავითაა ჩამჯდარი. რამდენიმე თანამდებობა აქვს.

ზეფორე — რატომ აცდენ ხალხს, ლოპიანე?

ლოპიანე — ამის მოადგილე და თანამშრომლები სულ ვერაგებია. მკაცრად გამოიძიონ მათი საქმეები და სასამართლოს გადასცენ. რაიკომსაც გადავქექავთ. მხოლოდ ზეფორეს... რადგან ხალხში დიდი სახელი აქვს, როგორც ლატაკებიდან დაწინაურებულს, ჯერ დავტოვებთ. დროს მივცემთ გამოსწორების.

ზეფორე — სწორი ხარ ლოპიანე — შეიძლება არიან ისეთები, რომელთა საქმეებიც ჩირქს მცხებენ. (შემოდის მიჭუჭუნე)

მიჭუჭუნე — ეჭიმები მოვიდნენ.

ლოპიანე — გამოვალ. მხოლოდ ნემსს არ ვაჩხვლეტინებ.

მიჭუჭუნე — ვინ იცის, რა მიკრობი შეყვას სისხლშიო. თუ დროზე არ მივიღებ ზომები ჩვენ დაგვბრალდებაო.

ლოპიანე — აბა, ახლა წადით და რაც გითხარით გულში ჩაიბეჭდეთ. (ლოპიანე და მიჭუჭუნე მიდიან)

ზეფორე — მე კი ქმარ-შვილს ვახარებ, რომ გადავრჩი. ციციხოს შემოვივლე, ცოტა კი არ დამეხმარა მისმა თვალებმა. (ზეფორე მიდის)

მე-3 მომუშავე — აბა, გადაზე დაამთავრე ხიდი, თორემ...

მე-2 მომუშავე — ამისთვის გეხვეწებოდი, მასალა მომაშველე, ნუ მატარკოლებ-მეთქი.

მე-3 მომუშავე — საიდან მოგიტანო?

მე-2 მომუშავე — ერთ ტაფაზე ვართ!

მე-3 მომუშავე — უკანონო გზით რომ გიშოვო, გამოქე-ქავს.

მე-2 მომუშავე — ეს ხიდი დავამთავროთ და დანაშაულის დაფარვაზე მერე ვიზრუნოთ.

მე-3 მომუშავე — რას იზამ! (აპირებენ წახვლას)
მე-3 მომუშავე — (უცებ) დაცა, ლოპიანეს თანამშრომ-
ლებია. ტკბილად დაველაპარაკოთ. ეგებ რამეში დაგვეხმარონ. (შე-
მოდიან ლოპიანეს თანამშრომლები)

მე-3 მომუშავე — სალამი, ძვირფასო ამხანაგებო!
I თანამშრომელი — ლოპიანე სად არის?
მე-2 მომუშავე — მეორე დარბაზშია. ექიმები გახლენ.
მე-3 მომუშავე — ცოტა ავათაა. მაგრამ კანკალი ჩვენ
გვაქვს შემდგარი.
I თანამშრომელი — ისეთი ჭირი მოადგა, ექიმები რას
უშველიან?

მე-2 მომუშავე — რა დაემართა?
I თანამშრომელი — ჰო, ახალი ამბავია.
მე-3 მომუშავე — რა მოხდა?
მე-2 თანამშრომელი — ეჰ, ისეთი ამბავია, ყურიდან
მივიღე და პირიდან ვერ ამოდის.
I თანამშრომელი — ლოპიანეს დევკაყიანი დაილუბა.

მე-3 მომუშავე — ვინ. დიდი კაცი?
I თანამშრომელი — დიახ. ის, საამაყო შვილი, მოხსნეს.
მე-2 მომუშავე — როგორ? მას ვინ მოხსნიდა!
მე-2 თანამშრომელი — მეტიც უყვის. დაჭერილია,
როგორც მოლალატე.

მე-2 მომუშავე — მოლალატე? (ჩურჩულებენ ერთმანეთ-
ში. შემოდის მიჭუჭუნე)
მიჭუჭუნე — ეს რა საცოდაობა ვნახე. გული კინალამ წა-
მივიდა.

I თანამშრომელი — შენც გაიგე ახალი ამბავი?
მიჭუჭუნე — მე — აბა თქვენ რა იცით. მე თავზე ვადექი,
როდესაც ექიმებმა ამოდენა ნემსი შეარჭვეს საწყალ ლოპიანეს. ავ-
ტირდი მის მაგიერ. მაგრამ ჩემი ტირილი რას უშველიდა. (შემო-
დიან ზეფორე და ბეჟანი)

ზეფორე — როგორ არის ლოპიანე, რა თქვეს ექიმებმა.
მიჭუჭუნე — ბრწყინვალეთაა, მაგრამ ისე აწვალეს, პოემა
უშდა დაწვერო მაგის გამობაზე.
ზეფორე — ოჰ, დამლაგებლებმაც თქვეს, ნემსი გაუკეთეს
და მშობიარე დედაკაცივით აკივლდაო.

მიჭუჭუნე — აბა, ორჯერ ჩხვლიტეს მუცელზე.
ბეჟანი — ძალიან ეტკინა?
მიჭუჭუნე — მხეცივით იღრიალა. ექიმებს აგინა, — თქვენ
რა ადამიანები ხართ, როცა კაცს ასე გულგრილად აწვალებთ.
ერთი ისე აკანკალდა, ერთ ხელში დაჭერილი ნემსი თვითონვე იჩხ-
ვლიტა მეორე ხელში. (შემოდის ლოპიანე, დამლაგებელს შემოაქვს

კრესლო. ლოპიანე ჯდება).

ზეფორე — გაგტანჯეს ექიმებმა?

ლოპიანე — ჩემი ბრალია. დეკაკიანის სიტყვას რომ გადავუხვიე.

ზეფორე — კი, უბრალო სკამზე რომ დაჯექი, არა შეჩდა მწყერი ხესა — არა იყო გვარი მისიო.

ლოპიანე — თქვენ კიდევ არ წასულხართ? იმ ოხერ ექიმებიდან ჩემ სიკვდილს ხომ არ უცდიდით. ას წელიწადს ვიქნები აქ ღამჯდარი.

მე-2 მომუშავე — აგერ, თქვენმა თანამშრომლებმა შეგვაჩერეს. რაღაც სათქმელი აქვთ.

მე-2 თანამშრომელი — აბა, უთხარი.

I თანამშრომელი — შენ დაიწყე.

ლოპიანე — რამ წაგახდინათ, თქვე გლახებო. გარეთ ვიფხებივით დაქრისართ და ჩემთან რომ მოხვალთ კურდღლებივით იკუყებით. ჰო, მოიწით, არა ვარ გაწყრომის ხასიათზე.

მიჭუჭუნე — ვაპ, ყბები აუცახცახდათ.

ლოპიანე — უკან იხვევენ. ზურგიც მოიბრუნეს. აბა, ალბათ ბეჟანს რომ მოკრეს თვალი მაზე აღშფოთდენ.

ბეჟანი — მე? მე რა საფრთხობელა ვარ?!

ლოპიანე — მიძებრებივით სუნით იგრძნეს, რომ მათგან გასაშვები არა ხარ. ახლა, ამათ გაგატან ბეჟან და მოგონებებს დაგაწერიებენ.

ზეფორე — ო, რა ღამაზად ხუმრობს. შენც გაუმართე სიტყვა, ბეჟან. ნუ გეშინია.

ბეჟანი — მე რა მაქვს მოსაგონებელი, აკი მოგახსენე, სულ ხვრელში ვიყავი.

ლოპიანე — ყველა მტერი ხვრელში საქმიანობს.

ბეჟანი — ჩემი მტრობა მხოლოდ მასში გამოიხატებოდა, რომ ცოცხალი ვიყავი.

ლოპიანე — მერე, ეს პატარა დანაშაულია, ცოცხალი რომ ხარ! ეჰე, სიცოცხლეს ჩვენს სამოთხეში რა დამსახურება უნდა, იცი! არა-თუ საქმე, ფიქრებიც კი სპეტაკი უნდა გქონდეს. ესეც არ კმარა, ლოპიანეს ხელში ტანჯვა და სიკვდილი გერჩიოს სხვის ხელში ფუფუნებას.

I თანამშრომელი — უთხრათ.

მე-2 თანამშრომელი — ჰო, აბა სანამდე ვიდგით. (თანამშრომლები ლოპიანეს უახლოვდებიან)

ლოპიანე — ჰო, რა ხდება დაწესებულებაში, თქვენ ხართ ჩემი თვალი და ყური... ახალი ხომ არაფერია?

I თანამშრომელი — დიახ, არის.

ლოპიანე — მართლა? არისო! რას ამბობ. მე კი აქ ისე შემბოჭეს... თავი ვერ ავიშვი. ზოგი კოკობზიკა ვარო და გულში მიხიცილებს, ზოგი ერთგული ვარო და მეკვრება ბუძვივით... ზოგი ლა-

მაწი ვარო და თავზე მაჯდება, ზოგი პოეტი ვარო და ქვევიდან მიმ-
დრება... (რეჩეტატივით) გამწიეს და გამომწიეს მატრიალეს (განმარტება)
ზედაო, ცალი გვერდი ცეცხლზე იწვის, ცალი ერბოს აღზედაო, გა-
დამრიეს კაცი!

I თანამშრომელი — ძალიან ცუდი ამბებია.

ლოპიანე — ო, ეს სანატრელია, მივიღებ ზომებს, თორემ
დეკაჟიანი მიბლვერსა ზევიდაა, ნუთუ ყველაფერი რიგზეა, არც
დასაჭერია ვინმე, არც დასასჯელიო. ეჰ, რა ვთქვა. ესაა. — თუ მარ-
ტო მტყუანი დასაჯე, მაშინ მართალი თავს აიშვებს. პირიქით, მტყუ-
ანი ისედაც შეშინებულა. მართალი უნდა დაისაჯოს და მაშინ ყვე-
ლა მორჩენილია.

მე-2 თანამშრომელი — ამიერიდან მაგ სიბრძნე დაგ-
მოზილია.

I თანამშრომელი — ყველაფერს მოგახსენებთ, მხო-
ლოდ ეს ხალხი...

ლოპიანე — ოო, რაღაც ფარსავია. აბა, მიჭუჭუნე, გაიყვა-
ნი სტუმრები ბაღში. მხოლოდ საშვები ჯერ არ მისცეთ. ციცინოს
უნდა მოვილაპარაკო.

მიჭუჭუნე — კეთილი (მიდიან ზეფორე, მიჭუჭუნე, ბეჟანი,
ციცინო).

ლოპიანე — ვაჰ, თვალბშიც სხვანაირად იყურებით.

I თანამშრომელი — ასეა. კაცის თვალი კი არა, უბრა-
ლო შუშაც ფერს ამინდისაგან ღებულობს.

ლოპიანე — რა ამბავია, ბარემ გამაგებინეთ.

მე-2 თანამშრომელი — დეკაჟიანი დაიღუპა (ტირის)

ლოპიანე — ვინ? რა, დეკაჟიანი?

I თანამშრომელი — აი, საამაყო შვილს რომ ვეძახდით
(ჩახჩურჩულებს)

ლოპიანე — მოკვდა?

I თანამშრომელი — უარესი ჭირს. რომ მომკვდარიყო
რა გვიჭირდა, მოხსნეს.

ლოპიანე — ვინაა მისი მომხსნელი, შე სულელი.

I თანამშრომელი — გაკოჭეს. შენ აქ ზიხარ და ჩვენს
დაწესებულებაში მისი დამუშავება მიდის.

ლოპიანე — ეს ხომ არ გადაირია!.. დაიკარგი აქედან, შე
რეგვენო! (სცემს I თანამშრომელს) აბა, მანქანა! შეუვარდი ერთი
იმ...

მე-2 თანამშრომელი — მანქანა გავიდა შენი გარაჟი-
დან, დაცვაც მოიხსნა.

ლოპიანე — ასე უცებ?

I თანამშრომელი — მაშ.

ლოპიანე — არა, ეს შეუძლებელია. წავიდეთ. მე მაინც
მისი მარჯვენი ვარ უკანასკნელ სულს მოთქმამდე. (ლოპიანე, I და
მე-2 თანამშრომლები მიდიან. შემოდიან მიჭუჭუნე და ზაბლონია)



ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — ჩემზე წერ ლექსს, მიტუტუნე? დამანახე
 მიტუტუნე — გული ნუ მოგივა, ლოპიანემ მომთხოვა შენი
 გინება დაწერო.

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — ჩემ გინებას წერ!
 მიტუტუნე — არ გამცე. შენი ხათრით უთმენ.

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — ჩემი ხათრით კი არა, მისი გეშინია.

მიტუტუნე — რა ვქნა, დეკაჟიანის სახრე აქვს და ნუ შე-
 გეშინდება.

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — თუ ასე გქონდა საქმე, რად გამაცანი.

მიტუტუნე — შენ არ შემოპიჩნდი, მამას გამინთავისუფ-
 ლეხსო!..

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — შენ არ იკვებინდი, მეგობარიო.

მიტუტუნე — კი, უჩემოდ ძაღლს არ წაიყვანს სანადიროდ.

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — მამას ვერ ვუშვილი და მეც ვიღუბები. წე-
 ლან გვერდით რომ მომისვა მიჩქმიტა და როგორ შემაშინა, თავის
 გადასარჩენად ისეთი მლიქვნელობა დავიწყე, რომ გამახსენდება,
 ჩემი ენა-პირი მძულს.

მიტუტუნე — მე ქალისგან მოვიტხოვ, ისეთი წმინდა იყოს,
 რომ კაცი ვერ უბედავდეს ჩქმეტას.

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — კი ამბობდა მამაჩემი, ახლანდელ კაცს კაცი
 ტყუილად ქვიაო. ქალებისაგან მოითხოვთ მამაცობას, თვითონ კი
 სიმხდალის მაგალითს გვაძლეეთ.

მიტუტუნე — კიდევ მე მკიცხავ. შენ რა იცი, რა ჭირში ჩა-
 მაგდე.

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — შენ რომ გიბედავს ყურის აწევას, მეც მისთ-
 ვის ამიგდო. ჩემს საგინებლად ლექსს გაწერინებს, არა? და თითონ
 მეპატიება!

მიტუტუნე — პოეტობაში მაკარჯიშებს.

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — სიყვარულმა რომ პოეტად გახადოს კაცი —
 შეიძლება, მაგრამ სახრემ რომ გააპოეტოს, არ გამიგონია.

მიტუტუნე — დეკაჟიანზე ლექსს მაწერინებს. მფარველი
 გადავიმტერო?! მერე, როგორი მფარველი. მისი მტრობა და ჩემი
 გაქრობა ერთია. იმიტომ ვარ შენზე გაციცხლებული, რომ თავს თვი-
 თონ ვერ იცავ. ცხვარს ძაღლი იცავს, ქალს კი თავის სინდისი.

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — მას სინდისი არა აქვს და შენ — ძაღლის ლი-
 რსებაც გაკლია.

მიტუტუნე — ჩუ, რამოდენა კაცს ლანძღავ, გესმის!

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — შენ არც სიყვარული შეგიძლია, არც პოე-
 ტობა.

მიტუტუნე — მთლად არ მომსპო!

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — როგორც იქნა მივხვდი, რომ აქედან უნდა
 გავიქცე.

მიტუტუნე — ლოპიანემ დამიბარა, ნუ გაუშვებო, დაშიცო-
 დოსო.



ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — მერე, შენ გადამცემ მის ხელში? შენ, ვინც მეწრიბინებოდი, პოეტს წიხლს ნუ კრავო.

მ ი ჭ უ ჭ უ ნ ე — მე ნიჭით მიჭირს; თორემ ბედით შემოძლია ბევრ დიდ პოეტსაც დავემსგავსო. რამდენ მათგანს ყვარებია ვინმე და სხვას ჩაუსანსლავს და პოეტს ჩლიქები დარჩენია დასატირებლად.

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — მერე საგინებელ ლექსს აწერიებდენ დაშინებოთ?! შენ პოეტის ცილისწამება ხარ!

მ ი ჭ უ ჭ უ ნ ე — მართალია. ეს არ უნდა მეჩვენებინა შენთვის. მაგრამ ავღელდი, დავიბენი, სულ შენი ბრალია. აქ რისთვის შემოიჭერი, მეც მღუპავ და მამაშენსაც.

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა — მამაჩემს. მამა... არა, მამაჩემის ლანდით ნუ მაშინებთ... წავალ... მაცალეთ... დაფიქრდები... **(აპირებს წასვლას)** რა ვქნა, იმ სანთელზე მაფურთხებენ, რომლითაც ქალიშვილს ოჯახი უნდა შემექმნა. ქვეყანაზე რომ მამაკაცები იყოს, მე ქალი არ ვიქნებოდი?! **(ზაბლონია მიდის)**

ზ ა ბ ლ ო ნ ი ა ს ხ მ ა — მაქ აწი ფეხს არ დავადგამ! შენ კი თვალით არ დამენახო **(ბრაზით)** თვალით არ დამენახო, მიჭუჭუენე!

მ ი ჭ უ ჭ უ ნ ე — **(თვალს გააყოლებს)** ოპოპო! რა გმირობა ჩაიღინა. ხვლიკივით გადაცოცდა და გაიპარა. იცი, ლოპიანე არ აბატიებს ამ წიხლის კვრას და მაინც თავი გაწირა. ვინ იტყვის, რომ ცუდი არჩევანი გავაკეთე, როდესაც ეს სატროფოდ ავირჩიე. მაგრამ გაფრინდა, აწი ჩემ საკენეს არ ენდობა. ლოპიანე რომ მკითხავს რისთვის გაუშვიო! ვინ იცის, რა შავ დღეს დამაყენებს. მაგრამ მე რატომ ვერ ვწირავ მისთვის თავს? ჩანს, ისე არ მიყვარს, როგორც წიგნებში წამიკითხავს. რატომ? ლექსებს რომ ვწერ? რას ვწერ ფლიდობის მიტს. როგორც ჩრდილ ქვეშ ხე ვერ ხარობს, ისე მშისარა მონის გულში არ იზრდება მალალი სიყვარული. მხოლოდ სხვების, ოდესმე გულწრფელად თქმულ სიტყვებს ვიპარავთ და ვაქუჩებთ. ეს არის ჩვენი პოეტობა? ეს არის? არა, არც ასეა საქმე, მიჭუჭუენე. რას მოგიტანს დიდ ლოპიანესთან შებმა, რა ტაბლაკვერებს გაქმევს... დალუპვის შემდეგ შენთვის სულერთი არ არის რა იყავი? არა, სანამ მოახერხებ, იცოცხლე, მკვდარ ლომს ცოცხალი ძალლი სჯობს, ჩემზე ჭკვიანს უთქვამს. **(მიჭუჭუენე მიდის. შემოდინან ზეფორე, ბეჟანი, ციციხო)**

ბ ე ჟ ა ნ ი — სად ვაგებთ თავს!

ზ ე ფ ო რ ე — ყველგან რომ მოხდენილი ენა გაქვს, აქ რა მოგივიდა, რა იქნა შენი ჭკუა.

ბ ე ჟ ა ნ ი — სწორედ ამან დამლუპა — მაგათ ჭკუა არ უყვართ. არაფრის არ ეშინათ ისე, როგორც კაცის ჭკუის.

ზ ე ფ ო რ ე — ციციხომ ისე მოალობო, არ მოგელოდი. რა მაქცია ყოფილხარ, გოგო, აწი შენთან ბეწვის ხიდზეც უშიშრად გავივლი.

ც ი ც ი ხ ო — არა, დედა, თვალთმაქცობა არ შემიძლია. რაფი-

ელი ნამდვილად მეცოდება.

ზე ფ ო რ ე — არა, ის დაივიწყე, არ გააფხუტო საქმე. **(შემო-
დიან ლოპიანე და გერასიმე)**

ლოპიანე — ისევ აქ ბრძანდებით! გამარჯობათ, სტუმრებო!
(ხელს ართმევს ყველას მოწიწებით) ხელს მოსთვის გართმევთ, რომ
წელან ეშმაკის ნიღაბი მქონდა აფარებული, ახლა ვარ ანგელოზი
ლოპიანე.

გერასიმე — მართალია.

ლოპიანე — ეი, ამხანაგო დამლაგებელნო, მომხედეთ **(ვა-
ლკე გერასიმეს)** ხალხი წლობით რომ აწვალო, ერთ დღეს მოხდენი-
ლად თუ მოეფერები, ყველაფერს დაივიწყებს, ხომ ხედავ, როგორ
გაეხარდათ. **(შემოდიან დამლაგებლები)** საყვარელო და-ძმებო, მე
რომ დეკაჟიანს ვეძახდი, მისი სურათები ყველა ოთახებიდან ჩა-
მოსხენით.

I დამლაგებელი — დიახ, ჩვენი დაგვირეკეს, თან და-
ურთეს, კომისია მოგაო.

ლოპიანე — კომისიაო? **(გერასიმეს)** ჩემი სახელით მიესალ-
მე იმ კომისიას, გაიგე, კიდევ ხომ არ მინაყავენ პილპილს, თუ მყრალ
ნიშადურს.

I დამლაგებელი — გვესმის. **(შირმის იქედან მიაქვთ
დამლაგებლებს დახვეული ქაღალდები).**

ბეჟანი — **(ზეფორეს)** გესმის, რა უთხრა!

ზეფორე — ყურს არ უჯერებ.

ლოპიანე — მოიწით, კეთილებო.

ზეფორე — დეკაჟიანს რაღაც ბრძანე. კარგად ვერ გავი-
გონე.

ლოპიანე — მოისპო. დაუმტყიცდა, რომ საბჭოთა სახელმ-
წიფოს მტრობდა, ხალხს აწიოკებდა.

ციცინო — აკი თქვენი გმფარველობდათ.

ლოპიანე — მატყუებდა: გულით ისევ სუფთა დავრჩი, რო-
გორც შენი მშობლები.

ზეფორე — არ გადამრია ქალი! **(შემოდიან მიჭუჭუნე და მ
მომუშავე)**

ლოპიანე — მოუდით, ჩემო პირნათელო მეგობრებო.

მიჭუჭუნე — შენ კიდევ აქ ხარ!

მე-3 მომუშავე — სულს ითქვამ ქვეყანაზე?

მიჭუჭუნე — გარეთ ისეთი ამბავია. პირზე ყველას შენი
გინება აკერია. ცოლშვილიც გასაბღღვენელად გეძებს. გაგვადო და
ახლა არ გაგვეკაროსო.

ლოპიანე — ვიცი რა ღჯუ დედაკაცია. ცხვრად რომ მნახოს,
მაინც მგლად მომეჩქევა.

მიჭუჭუნე — შენზე ახია, მე რას მერჩიან, შენგან გული
ამოჭმული მაქვს და მაინც მკრულავენ, მისი ფინია ხარო.

მე-3 მომუშავე — მეც მაყვედრიან, შენი მეგობარი იყოო,

შენ იცი, ისეთი კანკალი შემიყენე, წინ სამი დღე არ მქონდა
ლოპიანი — აბა, თქვენ ცუდათ გქონიათ საქმე და არ გა-
მეკაროთ, სპეტაკი კაცი არ გამსვაროთ, მე გამართლებული ვარ.

მიჭუჭუნე — რამ დაგიხსნა?

ლოპიანი — დეკაჟიანმა.

მიჭუჭუნე — რას გვასულელებ.

ლოპიანი — იქ რომ მივედი და წინასწარ ამოუშვი ღრიალი,
ჩემთვის გამზადებული შოლტის წინაშე, ამ დროს გახსნეს თითონ
დეკაჟიანისგან დალუპვის წინ გამოგზავნილი დახურული წერილი.
შიგ წერს, ლოპიანი დაამუშავეთ და გახურებულ თონეში ჩააყუ-
დეთ, არ შეცივდესო და... მისი მეგობრების სიიდან ამომშალეს.

(შემოდის გერასიმე)

ლოპიანი — პიმპილის და ნიშადურის საქმე როგორაა, გე-
რასიმე.

გერასიმე — სხვებს უმზადებენ, შენ გაქმარეს.

ლოპიანი — აბა, ეს მონელებული მაქვს.

გერასიმე — აშხანაგებო, დახურული წერილის წყალობით
ლოპიანეს უფრო რბილად მოეპყრენ, ვიდრე დეკაჟიანის სხვა მე-
გობრებს და ჩემს ქარხანაში გადმოგზავნეს, სადაც ერთ დროს ინ-
ჟინრად მუშაობდა.

ლოპიანი — ჰო, რაც აქამდე გამიკეთებია ავი და კარგი, გა-
ქვითეს და თავიდან დამაწყებინეს ცხოვრება.

მიჭუჭუნე — აბა, მე რას მერჩიან.

ლოპიანი — მას გერჩიან, რომ შეგნება არა გაქვს. ახლა მე
მოვითხოვე, რათა სასახლე საბავშვო ბაღს გადასცენ მთელი მო-
წყობილობით.

ზეფორე — მერე შენ რა დავრჩება?

ლოპიანი — პატიოსნება.

ზეფორე — ვაი, თუ, მეც ასე მიწერია.

ლოპიანი — შენ, როგორც ციცინოს მშობელს, ვიცდები
შეგარჩინო ნაცოდვილარი. სხვისი დაცვა უფრო ადვილია.

ზეფორე — რასაკვირველია, შენ ქონება გადაეცი, თორემ
ჭკუა კი არ დაგიბრუნებია მთავრობისათვის.

ლოპიანი — ისიც დავაბრუნე. დეკაჟიანის კლანჭებით ნაღ-
რძობი ჭკუა რად მინდოდა. ახლა მე ვგივარ გალიიდან გამოსულ
არწივს.

ბეჟანი — ესეცაა, ზოგიერთი არწივი გალიაში ისე დაიხუ-
თება, კიდევ რომ გაანთავისუფლო მიწაზე დაიწყებს ლაპლასს.

ლოპიანი — ფრთას გული ატრიალებს. ახლა მე მჭირდება
ციცინოს თანაგრძობა, ბეჟანისგან დარიგება, ზეფორესთან მეგობ-
რობა, გერასიმეს ხელმძღვანელობა და ძველი მეგობრებისგან გა-
ტანა.

მე-3 მომუშავე — რა პირით ლაპარაკობ მეგობრის გა-
ტანაზე.



ლოპიანე — შენ ისეთი ხათრიანი ხარ, წელან თავის ცილისწამების დაწერა დაივალე.

მე-3 მომუშავე — მერე, ასე მკაცრად როგორ გამწირე.

ლოპიანე — ახალმა პავამ ორივე გამოგვცვალა. ღამემ თუ ერთმანეთს დაგვაჯახა, ამისთვის დღისით ქვა ვესროლოთ ერთმანეთს? მე და მიჭუჭუნეს მაინც ვერაფერი ვერ გაგვთიშავს.

მიჭუჭუნე — არა, აწი არ გაგეკარები. შენი შეკვეთილი ლექსებზე სულ მეზარალა, ცხოვრებაც დამიმახინჯე.

ლოპიანე — ის შენზე ახია, — აქ დიდ კაცებზე წერდი ხოტბას, ახლა ქარხანაში წამყევი და მუშებზე სწერე. დიდი კაციბი თოვლის ბაბუებივით ქრებიან, მუშა კი უკვდავია.

ზეფორე — მე მიხარია ჩვენს მეზობლად რომ ფეხს იკიდებ.

ლოპიანე — ციციხო რას იტყვის ჩემ მეზობლობაზე?

ციციხო — იქ რა გიზიდავთ?

ლოპიანე — ჩემი ერის სიყვარული, კომუნისმის დასამყარებლად შრომა.

ციციხო — როგორი შრომით?

ლოპიანე — ინჟინრად ვიმუშავებ, გერასიმეს ხელქვეით.

ზეფორე — იქედან ისევ მალლა ისკულებ.

ლოპიანე — ვნახოთ, ვინ მაჯობებს პატიოსნის სახელის მოხვეჭაში.

ზეფორე — როცა ასეთ მორევიდან ამოდი, რას არ შექლებ. ჩემი საქმე სულ უბრალოა. ცალი ხელი რომ მომამშველო გამომიხსნი.

ლოპიანე — ბეჟანსაც პატივს არ დავაკლებ. კაცს გენიოსების საფლაგებზე უტირია.

ბეჟანი — ეს დედაკაცს არ ესმის.

ლოპიანე — (გერასიმეს ჩუმად) ზეფორეს ვატყობ, სჯერა რომ ისეგ ვაგდიდკაცდები, ციციხოც შემომცინის.

გერასიმე — (ჩუმად) მე ხელს შეგიწყობ.

ლოპიანე — (ჩუმად) ჰო, ჩემო მფარველო!

გერასიმე — (ჩუმად) ამ სახლს ბევრად არ ჩამოუვარდება მაგათი კარ-მიდამო.

ლოპიანე — (ჩუმად) მაქ მოვიმაგრებ ფეხს და ახლად ვისკულებ. (შემოდინან დამლაგებლები)

I დამლაგებელი — მოვიდნენ.

ლოპიანე — ვინ მოვიდა?

I დამლაგებელი — რა მოგახსენოთ.

ლოპიანე — მობრძანდნენ, ვინც არიან სულეერთია. (შემოდინან კომისიის წევრები) — მოდით მტრედებო, ეპისკოპოსებო, სპორტსმენებო, პოეტებო, შახტიორებო, ფილოსოფოსებო, აწი ნურავის ნუ გეშინიათ — მომხსნეს. საშვები არ გჭირდებათ, კარი ღია!

I დამლაგებელი — ესენი კომისიის წევრებია.



ლოპიანი — რა კომისიის? შენ რისთვის იცინი თვალგაღებულ
ციცინო?

ციცინო — აწი რაფიელს შენი გინებისთვის ვერ დაჩაგრავენ.
კომისიის წევრი — ჩვენ პედაგოგიური საბჭოს გამო-
ყოფილი კომისია ვართ, ამ სახლის ჩასაბარებლად მოვედით.

ლოპიანი — ჰო, მაშ მშვიდობიანად მივდივარ ჩემი სტუმ-
რებით. ჩემს მეტს აქედან ტყავი არავის გაუტანია.

ზეფორე — რა მხნე კაცია!

ბეჟანი — მეც მაგრად ვარ.

ხმები — აწი ლოპიან ძვაძვალისით ვერავინ შეგვაშინებს.

ლოპიანი — მე თქვენზე მეტად მათრთოლებდა მისი საქ-
მეები. აწი არც მე მეშინია ლოპიან ძვაძვალისი. (აპირებენ წასვ-
ლას. დამლაგებელს გამოაქვს ლოპიანეს დიდი სურათი)

I დამლაგებელი — მოითმინეთ, სურათი დავრჩათ.

ლოპიანი — ო, ამას ცხრა მხატვარი აკვდებოდა, და მაინც
ვუწუნებდი.

მე-2 დამლაგებელი — კომისია ამ სურათს სახლისთვის
არ ღებულობს. მხოლოდ ჩარჩო დაიტოვა.

ლოპიანი — დაიცათ, დამეხმარეთ, ამხანაგებო, დავხიოთ
სურათი ძველი ლოპიანისი.

ხმები — აი, ყოჩაღ, ძვაძვალისი!

ლოპიანი — აწი მთლად ახალი ვარ!

(ფ ა რ დ ა)

1958 წელი

«ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБА» («ТЕАТР И ЖИЗНЬ»)

№ 3 (216) 1996 გ. Тбилиსი

ტექნიკური რედაქტორი

კორექტორი

წელი თვეური

მარინა ვასაძე

გადაეცა წარმოებას 5/IV-96 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VI-96 წ.

საარტიცხოვო-საგამომცემლო თაბახი 5,75

ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 5,75

შეკვეთა № 151

ტირაჟი 500

ინდექსი 76143

ფასი სახელშეკრულებო

რედაქციის მისამართი: თბილისი-380007, გ. ლეონიძის ქ. № 11-ა. ტელ. 99-90-

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სტამბა,
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. № 133.